ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

ახალი უნივერსიტეტი

3
ოქტომბერი, ორშაბათი
2016 წ., №11

ნომერში

- თსუ-ის სენატმა კანცლერად ნუნუ ოვსიანიკოვა დაამტკიცა

გვ. 16

- თსუ - პირველი ქართული უნივერსიტეტი TIMES HIGHER EDUCATION-ის რანჟირებაში — გვ. 9
- 26 სექტემბერს საზეიმო მისალმების ჩაშლის გამო პირველკურსელები „აუდიტორია 115“-ის მოქმედებებს სხვადასხვაგვარად აფასებენ — გვ. 2
- „115“-ელების ხმაურიანი შეხვედრა რექტორთან — გვ. 5
- დადებული ნაძლევი და „აუდიტორია 115“-იდან წევრთა გამოყოფის მიზეზი — გვ. 6
- რა უსამართლო კონკურსზე საუბრობს და რას ითხოვს ვახტანგ ჭარაია — გვ. 11
- ევროპის ლექსიკოგრაფთა ასოციაციის მე-17 საერთაშორისო კონგრესი თსუ-ში

გვ. 7-8

26 სექტემბრის აქციის შედეგად
აკადემიური რეგისტრაციის უფლება მიეცა **1320** სტუდენტს, რომლებიც თანხის გადაუხდელობის გამო ვერ ახერხებდნენ სწავლის გაგრძელებას

აკადემიური რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია **3 ოქტომბრამდე**, რისთვისაც საჭიროა უნივერსიტეტის კანცელარიაში განცხადების დაწერა პირველადი შესატანის სახით 100 ლარის გადახდასთან დაკავშირებით

*** გაუგებრობის შემთხვევაში დაგვიკავშირდით**

აუდიტორია 115

აკადემიური საბჭოს მყისიერი პასუხი მეამბოხე სტუდენტებს

26 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ აკადემიური საბჭოს სხდომაზე უნივერსიტეტის ახლად არჩეულმა რექტორმა გიორგი შარვაშიძემ საბჭოს წევრებს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მუშაობის დაწყება შესთავაზა და სტუდენტთა რეგისტრაციების გახანგრძლივებასთან დაკავშირებული საკითხები განიხილა. თსუ-ის რექტორმა აკადემიურ საბჭოს სტუდენტთა იმ ჯგუფის მოთხოვნები გააცნო, რომლებიც ადმინისტრაციული და აკადემიური ვადების გახანგრძლივებას ითხოვდნენ. საბჭომ ამ საკითხის მოგვარების გზებზეც მყისიერად იმსჯელა. რექტორის ბრძანებაში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც ფინანსური დავალიანების მქონე სტუდენტებთან უნივერსიტეტი გააფორმებს შეთანხმებას დავალიანების რესტრუქტურიზაციის შესახებ.

თსუ-ის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსის დალი კანდელაკის ინფორმაციით, უნივერსიტეტში სტუდენტების მიერ შემოსულია განცხადებები, რომელთაც აქვთ წინა სემესტრების საფასურის დავალიანება, ამ ეტაპზე მიმდინარეობს ინდივიდუალურად თითოეული განცხადების შესწავლა. სტუდენტებს რომ პრობლემები არ შეექმნათ, ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია 3 ოქტომბრის ჩათვლით გახანგრძლივდა.

თსუ-ის აკადემიური საბჭოს წევრის, პროფესორ ამირან ბერძენიშვილის ინფორმაციით, ახლად არჩეულმა რექტორმა საბჭოს წევრებს კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლის მისეული ხედვა გაუზიარა: „ჩემი აზრით, ბევრი რამ, რასაც სტუდენტები ითხოვენ, სამართლიანია და ამასთან დაკავშირებით საჭიროა შეიქმნას საინიციატივო ჯგუფი, რომელიც ამ და სხვა პრობლემების დარეგულირებაზე იმსჯელებს. მნიშვნელოვანი და მისასალმებელია ის ფაქტიც, რომ ახალ ხელმძღვანელობას აქვს მზაობა, ერთად გამოვიდეთ ამ რთული სიტუაციიდან“, — განაცხადა ამირან ბერძენიშვილმა.

შეხვედრის დამთავრების შემდეგ თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ პრობლემების გადაჭრის გზებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა და სტუდენტებს ურთიერთთანამშრომლობა შესთავაზა: „უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა — ეს იქნება ღია დოკუმენტი, რომელიც ყველამ ერთად უნდა შევიმუშაოთ, რადგან რაც უფრო მაღალი იქნება საზოგადოებრივი კონტროლი და რაც უფრო ბევრი პროფესიონალი ჩაერთვება ამ საქმეში, უკეთესია. ამიტომ ვთხოვეთ საბჭოს წევრებს, აქტიურად ჩაერთონ ამ პროცესში, განსაკუთრებით განათლების სპეციალისტები და იურისტები, რადგან ბევრი საკითხი ჩვენი მოსაგვარებელია. გარდა ამისა, ზოგიერთი საკითხი, უნივერსიტეტის კომპეტენციას სცდება, კერძოდ,

მე-2 გვერდზე

26 სექტემბერს დაგეგმილი ცერემონია საპროტესტო აქციის გამო ვერ შედგა

26 სექტემბერს თსუ-ში სწავლის დაწყებისადმი მიძღვნილ ცერემონიაზე დასასწრებად მოსულ მთავრობის წევრებსა და ახლად არჩეულ რექტორ გიორგი შარვაშიძეს პირველკურსელებისთვის მისასალმებელი სიტყვის თქმის საშუალება არ მისცეს ღონისძიების დაწყებისთანავე მიკროფონებთან მიცვენილმა „აუდიტორია 115“-ის წევრებმა. ღონისძიება, ფაქტობრივად, ჩაშალა საპროტესტო აქციამ, რომლის მოთავენი „აუდიტორია 115“-ის წევრები იყვნენ. ღონისძიებაზე დასასწრებად თსუ-ში მოსული იყვნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა, საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი, ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი და ქ. თბილისის მერი დავით ნარმანია.

რექტორ გიორგი შარვაშიძესთან ერთად პირველკურსელებს თსუ-ის სხვადასხვა ფაკულტეტების დეკანებიც უნდა

მე-3 გვერდზე

26 სექტემბრის ცერემონიის დაწყებამდე

„აუდიტორია 115“-მა „ტრიბუნა“ დაიკავა

აკადემიური საბჭოს მყისიერი პასუხი მეამბოხე სტუდენტებს

დალი კანდელაკი

პირველი გვერდიდან

საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის ინიცირებაც უნდა მოხდეს. საბედნიეროდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს იმის ინტელექტუალური რესურსი, რომ გახდეს პოზიტიური ცვლილებების კატალიზატორი“, — განაცხადა გიორგი შარვაშიძემ.

თსუ-ის აკადემიური საბჭოს წევრების განცხადებით, სხდომაზე დასმული საკითხების გადაწყვეტას საბჭო უახლოეს მომავალში გეგმავს და თსუ-ის რექტორის ინიციატივით, ამ პროცესში სტუდენტებიც აქტიურად ჩაერთვებიან. თსუ-ის პროფესორის აკაკი ყულიჯანიშვილის თქმით, უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მუშაობა უახლოეს დღეებში დაიწყება და ახალ წლამდე დამთავრდება, სტუდენტთა მოთხოვნები კი გათვალისწინებული იქნება.

აკადემიური საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ თავიანთი მოსაზრება გამოთქვეს სტუდენტებმაც. სტუდენტთა დავალიანებების რესტრუქტურიზაციის შესახებ და, ასევე, ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის ვადების გახანგრძლივების თაობაზე საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას მეამბოხე სტუდენტთა დიდი ნაწილი დადებითი შეფასებებით გამოეხმაურა. „აუდიტორია 115“-ის წევრის გიორგი ჯავახაძის თქმით კი, ისინი მომავალშიც კატეგორიულები და რადიკალურები იქნებიან, რაც საპროტესტო გამოსვლებით გამოიხატება იმ შემთხვევაში, თუკი თსუ-ის ხელმძღვანელობა ყურადღებას მოადუნებს აუცილებლად და დროულად გადასაწყვეტი საკითხების მიმართ.

შურთხია ბეროშვილი

26 სექტემბერს საზეიმო მისალმების ჩაშლის გამო პირველკურსელები „აუდიტორია 115“-ის მოქმედებებს სხვადასხვაგვარად აფასებენ

პირველკურსელები, რომლებიც 26 სექტემბრის დილას თსუ-ის პირველი კორპუსის წინ შეიკრიბნენ, საზეიმო ღონისძიების ჩაშლის გამო გაურკვევლობაში აღმოჩნდნენ. მათი პოზიციები განსხვავებული გახლდათ: სტუდენტების ნაწილი საერთოდ ვერ მიხვდა — რა ხდებოდა და რატომ? ნაწილი „აუდიტორია 115“-ის მოთხოვნებს ეთანხმებოდა, პროტესტის გამოხატვის ფორმას კი — არა; ნაწილი ყველა მოთხოვნას იზიარებდა; ნაწილმა ნეიტრალური პოზიცია დააფიქსირა. რამდენიმე პირველკურსელმა უკვე იცოდა „აუდიტორია 115“-ის არსებობის შესახებ და გაერთიანებაში გაწევრიანებასაც გეგმავდა, თუმცა საზეიმო ღონისძიების ჩაშლის არსებული ფორმის მიუღებლობის გამო გადაიფიქრა. ჩვენ მიერ გამოკითხული პირველკურსელების უმეტესობამ აღნიშნა, რომ თსუ-ში პრობლემები არსებობს, მათაც სურთ უნივერსიტეტის ავტონომია, დაფინანსების გაზრდა, თუმცა აღნიშნული საკითხები, მათი აზრით, მოლაპარაკებების ფორმატში უნდა გადაწყდეს.

„რა უფლებებსაც თვითონ მოითხოვენ, იგივე უფლებები დაურღვიეს სხვა სტუდენტებს“

გთავაზობთ თსუ-ის პირველკურსელების კომენტარებს:

თაკო ძიძიკაშვილი, თსუ-ის პირველი კურსის სტუდენტი: — სულ სხვა რაღაცას ველოდით და დაგვხვდა არეულობა, აყალ-მაყალი, ალბათ, მალე წავალთ. ერთი რამ გავიგეთ, სურთ განათლების რეფორმა, თუმცა, კონკრეტულად რა უნდათ, ვერ ვხვდებით. უზრდელური ფორმით აზრის გამოხატვა ჩემთვის მიუღებელია“.

არაქართულენოვანი სტუდენტების მოსამზადებელი კურსის სტუდენტი (სახელისა და გვარის დასახელება არ ისურვა): — ვარ ქართულ ენაში მოსამზადებელი კურსის სტუდენტი. ჩემი აზრით, „აუდიტორია 115“ ასე არ უნდა მოქცეულიყო. უნივერსიტეტის ავტონომიის საკითხით უბრალოდ ითამაშეს. მესმის, რომ უნივერსიტეტში ბევრი პრობლემაა, სურთ ავტონომია და რეფორმების გატარება, მაგრამ გამოხატვის ასეთი ფორმა არასწორია. ეს უნივერსიტეტის იმიჯზე ცუდად მოქმედებს და შეეძლოთ სხვანაირად მოქცეულიყვნენ.

ლევან ჩეგიანი, თსუ-ის პირველი კურსის სტუდენტი: — დემოკრატიაა და ყველას აქვს თავისი აზრის გამოხატვის უფლება, თუმცა პირველკურსელებისთვის შესაბამისი დახვედრა უფრო კარგი იქნებოდა. ზოგიერთი პირველკურსელი იმედგაცრუებულია.

თეონა დემეტრაშვილი, თსუ-ის პირველი კურსის სტუდენტი: — ვფიქრობ, რომ რა უფლებებსაც თვითონ მოითხოვენ, იგივე უფლებები დაურღვიეს სხვა სტუდენტებს.

თამთა ბარბაქაძე, თსუ-ის სტუდენტი: — კარგი იქნებოდა, რომ ახალი სასწავლო წელი საზეიმო ცერემონიით დაწყებულიყო და ეს ყველაფერი დიალოგის რეჟიმში გაგრძელებულიყო. ვფიქრობ, მოთხოვნები სრულიად სამართლიანია, მაგრამ უმჯობესია მათი მშვიდობიანი გზით მოგვარება.

ქეთი წულუკიძე, თსუ-ის მაგისტრატურის პირველი კურსის სტუდენტი: — ვეთანხმები ყველა მოთხოვნას, გაოცებული ვარ იმით, რაც დამხვდა. ეს პრობლემები სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ყველანაირად მიუღებელია. ყველა მოთხოვნას ვეთანხმები.

სალომე ვაწაძე, თსუ-ის პირველი კურსის სტუდენტი: — არ მომწონს აქციის ფორმატი, რადგან ჩვენ, პირველკურსელებს, არ გვაცადეს გაგვეცნო რექტორი, გაგვეცნო უნივერსიტეტი და, ფაქტობრივად, ჩაშალეს ღონისძიება.

ანა ტურიაშვილი, თსუ-ის პირველი კურსის სტუდენტი: — ჩემი აზრით, სხვა ფორმით უნდა გამოეხატათ საკუთარი სათქმელი. ანუ ამ ფორმით აქცია ჩემთვის მიუღებელია, თანაც სხვა დროს ჯობდა ამ აქციის მოწყობა.

მაია აბულაძე, თსუ-ის პირველი კურსის სტუდენტი: — როგორც „აუდიტორია 115“ მოიქცა, ცივილიზებული ფორმა არ არის. პირველკურსელების თვალში ცუდად გამოჩნდა. აქამდეც ვიცოდი ამ გაერთიანების შესახებ, ვაპირებდი გაწევრიანებას, თუმცა დღეს გადავიფიქრე.

ნათია ბერაძე, თსუ-ის პირველი კურსის სტუდენტი: — გასაგებია, რომ ეს მათი მოთხოვნებია, თუმცა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას საკუთარი აზრის დაფიქსირების საშუალება უნდა მისცენ. საჭიროა, რომ პირველკურსელები უნივერსიტეტის ცხოვრებაში გაერკვნენ. პროტესტის გამოხატვის ასეთი ფორმა ჩემთვის მიუღებელია.

თამთა ბერაძე, თსუ-ის პირველი კურსის სტუდენტი: — უკეთეს დღეს ველოდი, უფრო სხვანაირს, თუმცა ყველას აქვს თავისი აზრის გამოხატვის უფლება და იმედია, პრობლემები მოგვარდება.

ნინა ხურციძე, თსუ-ის პირველი კურსის სტუდენტი: — ჯერჯერობით არ ვიცი — რა ხდება, არ ვიცი — თითოეული მხარე რისთვის იბრძვის. ავტონომიის მოთხოვნა გასაგებია, მაგრამ კონკრეტულად რას ითხოვენ, ვისი იმედი აქვთ, ვისგან აქვთ მხარდაჭერა — არ ვიცი, ამიტომ ვერ შევაფასებ.

ნანა ბალიაშვილი, თსუ-ის პირველი კურსის სტუდენტი: — საზეიმო ღონისძიებას ველოდებოდი და ვერ მივხვდი - ახლა რა ხდება.

ზურა გოგლიჩიძე, თსუ-ის პირველი კურსის სტუდენტი: — საერთოდ არ ვიცი რა ხდება, რას ითხოვს ეს ხალხი... მივხვდი, თვითმმართველობის დამხობას ითხოვენ და მეცნიერების პრიორიტეტად გამოცხადებას. ამ სიტუაციის შეფასება მიჭირს, რადგან, ზოგადად, არ ვიცი რა ხდება თსუ-ში.

მარიამ თედიაშვილი, თსუ-ის პირველი კურსის სტუდენტი: — მივხვდი, რაც სურთ და რის გამო გამართეს აქცია, მაგრამ არ ვიცი — უნივერსიტეტში რა სიტუაციაა, ამიტომ ვერაფერს ვიტყვი.

ელენე დავლაძე, თსუ-ის პირველი კურსის სტუდენტი: — ვფიქრობ, რომ როდესაც რექტორს ირჩევდნენ, იმ დღეს ჯობდა ეს აქცია გაემართათ. გასაგებია, რომ პირველკურსელების ინფორმირება სურდათ და ამიტომ დაგეგმეს დღევანდელი დღე, მაგრამ პირველკურსელ სტუდენტებში უფრო მეტად დაბნეულობა გამოიწვიეს. ჩვენ ჯერ არ ვიცით — შიგნით რა ვითარებაა და როდესაც ასეთი სიტუაცია დაგვხვდა, გაურკვევლობაში ჩავვარდით. გვესმის მათი მოთხოვნები, ჩვენც გვინდა, უნივერსიტეტს მეტი დაფინანსება და ავტონომია ჰქონდეს, თუმცა გამოხატვის ფორმა მიუღებელია.

ნატო ოგოლაძე

„სწავლის ხელშეწყობის ფონდის" მორიგი დახმარება სტუდენტებს

7 სექტემბერს თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ჩატარდა საქველმოქმედო ორგანიზაცია „სწავლის ხელშეწყობის ფონდის" კომისიის სხდომა. კომისიამ განიხილა შემოსული განცხადებები და ფონდში აკუმულირებული თანხით დააფინანსა ფაკულტეტის ხელმოკლე და სოციალურად დაუცველი მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტები. ჯამში ფინანსური დახმარება გაეწია 17 ბაკალავრსა და 5 მაგისტრანტს. აქედან, 12 სტუდენტს დაუფინანსდა სწავლის გადასახადი, ხოლო 10 სტუდენტს დაენიშნა ყოველთვიური სტიპენდია. ფონდი მადლობას უხდის შემომწირველებს, რომელთა დახმარებითაც იგი უკვე ოთხი სემესტრის განმავლობაში ახორციელებს ხელმოკლე და სოციალურად დაუცველი წარმატებული სტუდენტების დაფინანსებას.

26 სექტემბერს დაგეგმილი ცერემონია საპროტესტო აქციის გამო ვერ შედგა

პირველი გვერდიდან

მისალმებოდნენ და თსუ-ში ჩარიცხული ყველაზე მაღალრეიტინგული სტუდენტები უნდა დაეჯილდოვებინათ. უნივერსიტეტის ეზოში ასეთი ფორმით დაგეგმილი ცერემონია ველარ შედგა, რადგან „გარე ტრიბუნის მთელი პერიმეტრი" „აუდიტორია 115"-მა აიღო. „ავტონომია უნივერსიტეტს!" — ამ შეძახილებით დაიკავეს „115"-ელებმა პირველი კორპუსის მთავარი კიბეები, საიდანაც მათ ეზოში შეკრებილ პირველკურსელებს და სტუდენტებს მიმართეს. „აუდიტორია 115"-ის წევრები აცხადებდნენ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესები მათ ხარისხიან სწავლებას ვერ უზრუნველყოფს. ისინი, ასევე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ყოფილი მოადგილის, გია შარვაშიძის რექტორად არჩევას აპროტესტებდნენ. სწორედ აღნიშნულმა გამოიწვია „აუდიტორია 115-ის" სტუდენტების უკმაყოფილება, რომელთა განცხადებით, შარვაშიძის არჩევა უნივერსიტეტის ავტონომიის შეზღუდვას ნიშნავდა. ისინი აგრეთვე ითხოვდნენ განათლების სისტემის ცვლილებას, რეფორმების გატარებას, სტუდენტური თვითმმართველობის გაუქმებას და თანხის გადაუხდელობის გამო სტატუსშეჩერებული სტუდენტების სასწავლო პროცესში დაბრუნებას.

„აუდიტორია 115"-ის წარმომადგენელმა გიორგი ჩიხლაძემ პირველკურსელებს მანიფესტი გააცნო, სადაც ნათქვამია, რომ უნივერსიტეტის ძირითადი მიზანი — ხარისხიანი სწავლა — დღეს ნაკლებად აქტუალურია. „აუდიტორია 115"-ის წევრები მიიჩნევენ, რომ თსუ-ში კვლავ გრძელდება კლანური მმართველობა და ანტისამეცნიერო პროცესები.

აქციაზე „აუდიტორია 115"-მა საკუთარ მოთხოვნები წამოაყენა, რომელიც 6 პუნქტად არის გაწერილი:

1. ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლება; 2. საუნივერსიტეტო ავტონომია; 3. გარე რეფერირების პრინციპის დანერგვა; 4. სტუდენტური თვითმმართველობების არსებული სტრუქტურის ძირეული რეფორმა; 5. უნივერსიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში თანხის გამოყოფა სტუდენტური საერთო საცხოვრებლის პირობების გასაუმჯობესებლად; 6. სტუდენტებს, რომელთაც სურთ სწავლის გაგრძელება და თანხის გადაუხდელობის გამო არ ეხსნებათ ბაზა, მიეცეთ აკადემიური რეგისტრაციის შესაძლებლობა.

„აუდიტორია 115"-ის წევრმა გიორგი ჩიხლაძემ „აუდიტორია 115"-ის სახელით მოუწოდა სტუდენტებსა და სამოქალაქო საზოგადოებას — აქტიური მონაწილეობა მიიღონ მიმდინარე პროცესებში; იბრძოლონ ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლებისთვის, უნივერსიტეტის ავტონომიისთვის: „ჩვენ გვინდა არსებული მცდარი პრაქტიკისა და სისტემის შეცვლა, პოზიტიური ალტერნატივის ჩამოყალიბება, რომელიც თავისუფლების, თანასწორობის და სოლიდარობის იდეებზე იქნება დაფუძნებული და თუ ჩვენ ერთად დავდგებით, ამ იდეების განხორციელებას ნამდვილად შევძლებთ. ჩვენ ვიბრძვით იმ ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც უნივერსიტეტში პარტიული ინტერესების გატარებას ცდილობს. არც უნივერსიტეტის შიდა კლანს არ მივცემთ უფლებას — აქ თავისი ინტერესები გაატაროს", — ამ სიტყვებით დაასრულა თავისი გამოსვლა გიორგი ჩიხლაძემ, რომელსაც სტუდენტების მხრიდან შეძახილები მოჰყვა — „ავტონომია უნივერსიტეტს!" „თავისუფლება უნივერსიტეტს!"

„აუდიტორია 115"-ის წევრმა ლევან ლორთქიფანიძემ გიორგი შარვაშიძის რექტორად არჩევა და უნივერსიტეტის დაფინანსების პოლიტიკა გააპროტესტა. „რექტორი გიორგი შარვაშიძე იყო იმ მოლაპარაკებების მონაწილე, რომლის ფარგლებშიც მოგვატყუეს და ამ შეურაცხყოფას არავის ვაპატიებთ! ჩვენ დავიცავთ იმ ღირებულებებს, რომელიც უნივერსიტეტის დამაარსებლებს ჰქონდათ. მოვითხოვთ მეცნიერებაზე ორიენტირებულ განათლებასა და პრაქტიკაზე ორიენტირებულ თეორიას და ამის მისაღწევად ბრძოლის ყველანაირ კანონიერ ფორმას გამოვიყენებთ. რაც მთავარია, ბრძოლას გამოვუცხადებთ ყველა იმ პოლიტიკურ ძალას, ვინც ჩვენთან მოახლოებას გადაწყვეტს. ჩვენ არ ვართ პოლიტიკური სპექტრის ნაწილი, ჩვენი მოთხოვნები სრულიად სხვაა და ის განათლების რეფორმას და უნივერსიტეტის ავტონომიას მოიცავს. უნივერსიტეტის სივრცე არის სტუდენტების და ჩვენ ვაცხადებთ, რომ ბრძოლა განათლების რეფორმისთვის ნებისმიერი რექტორის პირობებში გაგრძელდება მიზნის მიღწევამდე!" — განაცხადა ლევან ლორთქიფანიძემ.

„დღეს საზოგადოების მხოლოდ ერთ ნაწილს ეძლევა საშუალება განათლება მიიღოს, მეორე ნაწილს კი სახელმწიფო წარუმატებლობისთვის წირავს. ჩვენ, პირველ რიგში, ხარისხიან და ხელმისაწვდომ განათლებას ვითხოვთ. დღევანდელი აქციის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა, რომელიც დღესვე უნდა შესრულდეს — სტუდენტებისთვის ბაზების გახსნაა, რათა მათ საშუალება მიეცეთ სასწავლო საგნები აირჩიონ. უსახსრობა არ უნდა იყოს სწავლის შეწყვეტის მთავარი მიზეზი. განათლების მიღება არის ადამიანის ფუნდამენტური უფლება და ეს მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს", — განაცხადა „აუდიტორია 115"-ის წევრმა გიორგი არობელიძემ.

„ჩვენ უკეთესი უნივერსიტეტი გვინდა! ჩვენ ვართ სტუდენტები, რომლებიც უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებს ვაპროტესტებთ. ასეთ აქტიურ სტუდენტებს სხვაგან ვერსად ნახავთ! სწორედ ამიტომ ებრძოდა ყველა ხელისუფლება დედაუნივერსიტეტს და ცდილობდა აქ ისეთი რექტორი მოეყვანა, რომელიც უნივერსიტეტის ავტონომიისა და თავისუფლებისთვის მებრძოლ სტუდენტებს შეაჩერებდა. მაგრამ ეს ვერც ერთმა რეჟიმმა ვერ მოახერხა", — განაცხადა „აუდიტორია 115"-ის წევრმა თორნიკე შევარდნაძემ, რომელსაც სტუდენტების მხრიდან სკანდირება — „ავტონომია უნივერსიტეტს!" „პრიორიტეტი მეცნიერებას!" — მოჰყვა.

აქციის მსვლელობის დროს „აუდიტორია 115"-ის წევრებმა ზვარეში გაფიცულ მუშებს სოლიდარობა გამოუცხადეს.

უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ მიმდინარე აქციის უკან მდგომ მთავრობის წევრებსა და თსუ-ის რექტორს გიორგი შარვაშიძეს მხოლოდ ინტერვიუების აღებისას მიეცათ თავიანთი აზრის გამოთქმის საშუალება: „ის მოთხოვნები, რაც სტუდენტებმა აქციაზე წამოაყენეს, მეც არაერთხელ გამიჟღერებია. უნივერსიტეტის ავტონომია, დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა, მაღალი ხარისხის განათლება, სწავლის მიღების ხელმისაწვდომობა — ეს ის პრიორიტეტებია, რომლის განხორციელებასაც ვგეგმავთ. ასევე მინდა, სტუდენტები უფრო მეტად იყვნენ ჩართულნი უნივერსიტეტის მართვაში. მართალია, მათ პოზიციების გამოსახატავად დღეს ასეთი ფორმა აირჩიეს, რომელიც, ჩემი აზრით, არ არის კონსტრუქციული და მიმართული მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიაა და მათ სიტყვის თქმის საშუალებას არავინ წაართმევს. მეჩვენება, რომ ეს ღია კარის მტვრევას ჰგავს. სტუდენტების მიერ წამოყენებული ინიციატივების მიტანას ადრესატამდე, მათ განხილვას და განხორციელებას დრო სჭირდება. სტუდენტს ყოველთვის ექნება საშუალება საკუთარი აზრი გამოხატოს, მაგრამ ამით სასწავლო პროცესის დაწყებას ხელი არ უნდა შეეშალოს და ვისაც სწავლა უნდა — იმას საშუალება უნდა მიეცეს — ისწავლოს", — განაცხადა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

„ის რაც დღეს აქ ხდება, ჩემთვის მიუღებელია! არის მცდელობა, რომ მოხდეს ამ საკითხის პოლიტიზირება. ჩვენ ადრეც ვამბობდით და ახლაც ვიტყვით, რომ უნივერსიტეტი უნდა იყოს დეპოლიტიზებული და ის არ უნდა გახდეს არც ერთი პარტიის, არც ერთი პოლიტიკური ძალის არენა. უნივერსიტეტი გახდება დეპოლიტიზებული და ეს იქნება ავტონომიის ყველაზე მაღალი ხარისხი! ყველა იმ მოთხოვნას, რომელიც აქ გაჟღერდა, მეც ვუერთდები. უნივერსიტეტის ავტონომია და დამოუკიდებლობა — ეს ჩვენი მოთხოვნაც არის! უნივერსიტეტი კვლავ რჩევა წამყვან სამეცნიერო და სასწავლო კერად მთელს რეგიონში. მოვუწოდებ ყველას, რომ დიალოგის რეჟიმზე გადავიდეთ. დემოკრატიულ საზოგადოებაში დიალოგს ალტერნატივა არ აქვს! ჩვენ მოვუსმენთ ყველა სტუდენტს, თითოეულ სტუდენტურ დაჯგუფებას, რაც უნდა ხმაურიანი პერფორმანსები მოაწყონ ყოველ ახალ სასწავლო წელს. პირობას ვდებ, რომ მომავალ წელს სხვანაირად ვიზეიმებთ! უნივერსიტეტის პრობლემებზე უნივერსიტეტის შიგნით უნდა ვილაპარაკოთ და არა უნივერსიტეტის წინ, მით უმეტეს მაშინ, როდესაც საზეიმო ვითარებაში გვინდოდა პირველკურსელები მიგველო.

რაც შეეხება სტუდენტების დაფინანსებას, დღეს აქ მოსული პირველკურსელების 70%-მა სახელმწიფო გრანტი მიიღო. ვისაც სწავლა უნდა, აქვს შანსი, სახელმწიფოსგან 100-70-50%-იანი დაფინანსება მიიღოს, თუმცა აბიტურიენტთა 100% სტუდენტი ვერ გახდება, რაღაც ნაწილი ახალგაზრდებისა ხელობას უნდა დაეუფლოს. არ არის აუცილებელი, სახელმწიფოს ხარჯზე ყველამ უმაღლესი სასწავლებელი დაამთავროს. შევედაროთ მეზობელ ქვეყნებს — უმაღლესი განათლების მიღების შანსი ახალგაზრდებს ჩვენთან უფრო მეტი აქვთ, ვიდრე აზერბაიჯანსა და სომხეთში", — განუცხადა ჟურნალისტებს გიორგი შარვაშიძემ, რომელმაც დასძინა, რომ სტუდენტებთან დიალოგი უნივერსიტეტის განვითარებისთვის აუცილებლად შედგება და შედეგებიც მალე დაიდება.

ხმაურიანი აქციის ფონზე უნივერსიტეტის რექტორმა მიიღო გადაწყვეტილება საზეიმო ცერემონია და მაღალრეიტინგული სტუდენტების დაჯილდოება პირველ კორპუსში გაეგრძელებინათ. რექტორმა და მოწვეულმა სტუმრებმა უნივერსიტეტის პირველი კორპუსის 107-ე აუდიტორიაში გადაინაცვლეს.

თამარ დადიანი

ყველაზე მაღალრეიტინგული სტუდენტების დაჯილდოება 107-ე აუდიტორიაში მოხერხდა

სტუდენტების მღელვარების ფონზე შეუძლებელი გახდა საზეიმო ცერემონიალი უნივერსიტეტის წინ გაგრძელებულიყო და ამიტომ, რექტორის გადაწყვეტილებით, სტუდენტების დაჯილდოება პირველი კორპუსის 107-ე აუდიტორიაში გადაიტანეს, სადაც რექტორმა და მოწვეულმა სტუმრებმა პირველკურსელებს სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს.

თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ ბოდიში მოიხადა შექმნილი მდგომარეობის გამო და პირველკურსელებს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „სამწუხაროა, რომ დღეს დაგეგმილი ზეიმის გაგრძელება აქ მოგვიწია. წელს 3500 აბიტურიენტი გახდა უნივერსიტეტის სტუდენტი და ამათგან 70%-ი სახელმწიფო გრანტის მფლობელია. მინდა მათ წარმატებები ვუსურვო და ყველა სტუმარს მადლობა მოვახსენო მობრძანებისა და უნივერსიტეტის დაფასებისთვის. გპირდებით, რომ მომავალ სასწავლო წელს საზეიმო ვითარებაში შევხვდებით, რომ უნივერსიტეტი გახდება წამყვანი სამეცნიერო კვლევითი და სასწავლო დაწესებულება არა მარტო რეგიონული, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც. ჩემი ამბიცია არის ის, რომ უახლოესი 4 წლის განმავლობაში უნივერსიტეტში სწავლა და სამეცნიერო კვლევა გაერთიანდეს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მართლაც ლიდერი გახდეს სწავლების ბევრი მიმართულებით.

რაც შეეხება სტუდენტების მოქმედებას, ის ღია კარის მტვრევას ჰგავს. ჩემთვის გასაგებია მათი ემოციები და ახალგაზრდული მაქსიმალიზმი. ყველა სტუდენტს უნდა ჰქონდეს თანაბარი უფლება და ნებისმიერ საუნივერსიტეტო სიკეთეზე უნდა შეეძლოს წვდომა. სტუდენტებთან ურთიერთობას დიალოგის რეჟიმში გავაგრძელებთ და არ დავუშვებთ ,,დიქტატურას", რადგან უნივერსიტეტი თავისუფალი აკადემიური სივრცეა!", — განაცხადა რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

მე-4 გვერდზე

ყველაზე მაღალრეიტინგული სტუდენტების დაჯილდოება 107-ე აუდიტორიაში მოხერხდა

მესამე გვერდიდან

რექტორმა თავისი გამოსვლის შემდეგ სიტყვა გადასცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ალექსანდრე ჯეჯელავას, რომელმაც გიორგი შარვაშიძეს რექტორის არჩევნებში ღირსეული გამარჯვება მიულოცა, ხოლო პირველკურსელებსა და პროფესორ-მასწავლებლებს წარმატებები უსურვა. მისი თქმით, უნივერსიტეტს მეტი დამოუკიდებლობა და ავტონომია უნდა ჰქონდეს, რომ უნივერსიტეტმა საერთაშორისო ხარისხის და მასშტაბის კვლევა და სწავლა უზრუნველყოს და რომ სტუდენტებმა უნივერსიტეტის მართვაში სრულფასოვანი მონაწილეობა უნდა მიიღონ. „ვიზიარებ სტუდენტების მოთხოვნებს და პირობას ვდებ, რომ სამინისტროს მხრიდან თსუ-ს ექნება ისეთი მხარდაჭერა, როგორიც მას ეკადრება. მესმის სტუდენტების გულისტკივილიც, რომ უფრო სწრაფად ვერ ვითარდებით, მაგრამ დარწმუნებული ვარ, უნივერსიტეტის სახელი როგორც ადრე ქუხდა, ისევ ისე დაიქუხებს!“, — განაცხადა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

სტუდენტების შემართება და ენთუზიაზმი საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმაც მოიწონა და აღნიშნა, რომ განათლების რეფორმა არ არის პროცესი, რომელიც სტატისტიკასთან მიგვიყვანს, ის დინამიკური პროცესია, რომელსაც მუდმივად სჭირდება გაუმჯობესება. მისი თქმით, ასევე მნიშვნელოვანია ამ პროცესში სტუდენტების ჩართვა და რომ სტუდენტებთან დიალოგს ალტერნატივა არ აქვს. გამოსვლის ბოლოს, ნოდარ ხადურმა სტუდენტებს დიდი ქართველი მწერლის ნოდარ დუმბაძის პერიფრაზიც შეახსენა: „ლექციაზე ერთი ჩვეულებრივი სტუდენტი ქუჩაში ყველაზე დიდი მოქალაქე ვარ“... მან სტუდენტებს, ასევე, მოუწოდა ღირსეულად ატარონ თსუ-ის სტუდენტის სახელი.

შემდეგ ჯერი ყველაზე მაღალრეიტინგული სტუდენტების დაჯილდოებაზე მიდგა. გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, ყველაზე მაღალრეიტინგული აბიტურიენტი სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედო“-მ თსუ-ში სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი თამარ მენთეშაშვილი დაასაჩუქრა. მას გადაეცა აგრეთვე თსუ-ის სასაჩუქრე ნაკრებიც.

თსუ-ის მეგობარმა კომპანიამ „Martini Shot“ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მაღალრეიტინგული პირველსემესტრელი ეკატერინე ჯანიაშვილი დაასაჩუქრა.

ამის შემდეგ თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ თსუ-ის 7 ფაკულტეტის 7 მაღალრეიტინგული პირველკურსელი დააჯილდოვეს. ესენი არიან: მარიამ იმერლიშვილი (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი), თამარ ბალახაძე (მედიცინის ფაკულტეტი), თამარ ბარნაბიშვილი (იურიდიული ფაკულტეტი), მერი მესხიძე (ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი), ელენე წიკლაური (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი), ცისია მოისწრაფიშვილი (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი) და გვანცა მელითაური (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი).

შვიდივე ფაკულტეტის მაღალრეიტინგული სტუდენტები: თათია ვახტანგაძე (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი), მარი გოგიჩაშვილი (მედიცინის ფაკულტეტი), ლელა თოთაძე (იურიდიული ფაკულტეტი), ანა მუკბანიანი (ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი), ირაკლი გამხვრეტელაშვილი (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი), გრიგოლ ამანათიშვილი (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი) და ლევან ბაძგარაძე (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი) უნივერსიტეტის პარტნიორი კომპანიის გამომცემლობის „წიგნები ბათუმში“ წარმომადგენლებმა დააჯილდოვეს. ხოლო თსუ-ის წიგნების მაღაზიათა ქსელის „Scribta Manent“-ის რჩეულები გახდნენ ასევე თსუ-ის მაღალრეიტინგული სტუდენტები: ნინო მეტრეველი (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი), ოთარ გოხაძე (მედიცინის ფაკულტეტი), ნინო ივანიშვილი (იურიდიული ფაკულტეტი), თინათინ ქარელი (ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი), გიგა სიუკაევი (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი), ხატია ჭიღლაძე (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი) და სალომე შეყილაძე (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი).

საზეიმო ცერემონიის დამთავრების შემდეგ პირველკურსელები ფაკულტეტის დეკანებსა და პედაგოგებს შეხვდნენ. საღამოს კი თსუ-ის საქტო დარბაზში თბილისის მერიის ბიგ-ბენდის კონცერტი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა სხვა ცნობილმა შემსრულებლებმაც მიიღეს.

თამარ დადიანი

„115“-ელი გიორგი ჩიხლაძე: „ასეთი ფორმით ბრძოლა უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გვაიძულა “

„აუდიტორია 115“-მა უნივერსიტეტის მთავარი შესასვლელიდან და ნულოვანი სართულიდან კორპუსში შეჭრა მოახერხა. როდესაც ,,აუდიტორია 115”-ის წევრებმა აუდიტორია 107-თან მისვლა სცადეს, სადაც რეიტინგული პირველკურსელების დაჯილდოების ცერემონია დასასრულს უახლოვდებოდა, მათ თსუ-ის დაცვის წარმომადგენლებმა წინააღმდეგობა გაუწიეს.

„ეს არის უკანონობა, სტუდენტებს უნივერსიტეტში თავისუფლად გადაადგილებას გვიკრძალავენ, მიაწექით,“ „ავტონომია უნივერსიტეტს!“ — ისმოდა სტუდენტების შეძახილები. ვითარების დაძაბვისთანავე პირველ კორპუსში საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებიც გამოჩნდნენ. დაძაბულობა სტუდენტებთან თსუ-ის რექტორის გიორგი შარვაშიძის მისვლამ განმუხტა, რომელმაც დაცვას სტუდენტების დერეფნებში შემოშვების ნება დართო და სტუდენტებს მოლაპარაკება შესთავაზა. „აუდიტორია 115“-ის წევრებმა ნათია ქარჩილაძემ და გიორგი არობელიძემ გიორგი შარვაშიძეს სამართალდამცავების გამოძახების მიზეზები ჰკითხეს და სტუდენტების ცემის შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია. რექტორმა აღნიშნა, რომ თუ ფიზიკურ ძალადობას ჰქონდა ადგილი, მაშინ შესაბამის უწყებებს საქმის კურსში ჩააყენებდა და სტუდენტებს დამატებითი ინფორმაციის მიწოდება სთხოვა.

„აუდიტორია 115“-ის წევრებმა პირველ კორპუსში შეჭრის მიზეზები ჩვენთან საუბრისას განმარტეს. „ჩვენ 6 თვეა გიორგი შარვაშიძესთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის პოსტზე მუშაობისას მას გაცილებით მეტი ბერკეტი ჰქონდა, რათა ჩვენ მიერ წაყენებული მოთხოვნები შეესრულებინა. გვჭირდება გარანტიები, თუნდაც ზეპირი. ამ ეტაპზე კი კანონის დარღვევა ის იყო, რომ სტუდენტებს უნივერსიტეტში თავისუფლად გადაადგილებას გვიკრძალავენ“, — აღნიშნა „აუდიტორია 115“-ის წევრმა გიორგი ჯავახაძემ.

„სტუდენტური პროტესტის პარალელურად უნივერსიტეტში საპატრულო პოლიცია მობილიზდა. დაცვა თავისუფლად გადაადგილების საშუალებას არ გვაძლევდა, მოგვაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. ჩვენ დაცვის კორდონი გავარღვიეთ და ვთხოვეთ რექტორს, რომ მობრძანდეს 115-ე აუდიტორიაში და უპასუხოს ჩვენს კითხვებს. ეს არის ლოგიკური პროტესტის ფორმა. ასეთი ფორმით ბრძოლა გვაიძულა უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ, პირველ რიგში, ბატონმა შარვაშიძემ, რომელიც კომფორტის ზონას იქმნის. მან მინისტრის მოადგილედ მუშაობისას მოგვატყუა და არ გაატარა ის ცვლილებები, რაც დაგვპირდა. არ ვართ დარწმუნებული, რომ გიორგი შარვაშიძე განათლების ძირეულ რეფორმაზე დაიწყებს ლაპარაკს. ჩვენ დარწმუნებულები ვართ, მმართველი პოლიტიკური ძალა გიორგი შარვაშიძეს უნივერსიტეტში პარტიული ინტერესების გასატარებლად იყენებს“, — განაცხადა „აუდიტორია 115“-ის წევრმა გიორგი ჩიხლაძემ.

„პროტესტის მიზეზი მარტივია — რექტორი არის ის ადამიანი, რომელიც გაზაფხულისა და ზაფხულის განმავლობაში არაერთხელ შეგვხვდა და არაერთი დაპირება მოგვცა, მათ შორის კანონში ,,უმაღლესი განათლების შესახებ” სამი მიზერული ცვლილების გატარების თაობაზე. ეს ცვლილებები პარლამენტში არ შესულა და, ბუნებრივია, ნებისმიერს, რომელმაც სიტყვა არ შეასრულა, ჩვენ დავუპირისპირდებით და ვაგრძნობინებთ, რომ ამ ხალხის გაცურება ძვირად დაუჯდება. დაცვა უნივერსიტეტის თანამშრომლების ყველაზე პატიოსანი ნაწილია. მათ ბრძანება ჰქონდათ, რომ სტუდენტები არ მიეშვათ მინისტრებთან, თანამდებობის პირებთან, რომ მათთვის ერთი-ორი სიტყვა გვეთქვა. ჩვენ გვინდა, ,,უმაღლესი განათლების შესახებ” კანონში შესატანი ცვლილებები განხორციელდეს, რაზეც თანახმა იყო პრემიერ-მინისტრი და რისი პირობაც მოგვცა განათლების სამინისტრომ და თუ მოცემულ პირობას არ შეასრულებენ, დიალოგს აზრი არ აქვს. რექტორის გადაყენების საკითხი, ამ ეტაპზე, ჯერჯერობით, არ დგას. არავინ იფიქროს, რომ ჩვენ დიალოგის წინააღმდეგნი ვართ“, — აღნიშნა „აუდიტორია 115“-ის წევრმა ლევან ლორთქიფანიძემ.

თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე „აუდიტორია 115“-ის წევრებს თსუ-ის ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ერთად პირველი კორპუსის 115-ე აუდიტორიაში იმავე დღეს შეხვდა.

ნატო ოგოლაძე

„115“-ელების ღმაურიანი შეხვედრა რექტორთან

„115“-ელები თსუ-ის დაცვის უფროსს პასუხს სთხოვენ

„აუდიტორია 115“-სა და თსუ-ის რექტორის გიორგი შარვაშიძის შეხვედრა სტუდენტებისა და თსუ-ის დაცვის სამსახურის დაპირისპირებისა და საპატრულო პოლიციის გამოძახების საკითხის განხილვით დაიწყო. სტუდენტები ყველა იმ პირის პასუხისმგებლობას მოითხოვდნენ, რომლებმაც ძალადობაში მიიღეს მონაწილეობა და მათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თავისუფლად გადაადგილების უფლება არ მისცეს. „ჩვენი მოთხოვნაა, რომ აუცილებლად გამოვლინდეს მოძალადე, მათ შორის ჩვენს რიგებშიც“, — ამბობდნენ სტუდენტები. „აუდიტორია 115“-ის წევრებმა, ასევე, აღნიშნეს, რომ მათი აზრით, სრული პასუხისმგებლობა მომხდარზე უნდა დაეკისროთ არა დაცვის წევრებს, არამედ თსუ-ის დაცვის სამსახურის უფროსს გიორგი გორაშვილს, რომელმაც ბრძანება გასცა და, ასევე, საპატრულო პოლიციაც გამოიძახა.

„დაცვის თანამშრომელს არ მოეთხოვება პასუხი, რადგან ბრძანება დაცვის უფროსმა გასცა. გიორგი გორაშვილს მოსთხოვეთ პასუხი“, — აღნიშნა „აუდიტორია 115“-ის წევრმა ნათია ქარჩილაძემ.

„რის საფუძველზე შეეზღუდა სტუდენტებს უნივერსიტეტში თავისუფლად გადაადგილების უფლება? რატომ დაირღვა ჩვენი კონსტიტუციური უფლება?“ — იკითხა გიორგი არობელიძემ.

თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ სტუდენტებს პირობა მისცა, რომ ყველა მოძალადეს მოეთხოვება პასუხი განურჩევლად იმისა, სტუდენტი იყო იგი, დაცვის თანამშრომელი, თუ სხვა პირი...

„ამ შემთხვევაში ჩვენი მოთხოვნები ერთმანეთს ემთხვევა. ვფიქრობ, რომ უნივერსიტეტში სტუდენტებმა გადაადგილება ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე უნდა შეძლონ. ინციდენტის დაწყებისას მე გახლდით 107-ე აუდიტორიაში, პირველკურსელებს ვაჯილდოვებდი, გამოვედი და დამხვდა ეს სიტუაცია. ჩემი თვალით დავინახე, რომ რამდენიმე ძალადობის შემთხვევა ნამდვილად იყო, ორივე მხარე ჩხუბობდა“, — განაცხადა გიორგი შარვაშიძემ.

„აუდიტორია 115“-ის წევრებმა დაასახელეს საპატრულო პოლიციის თანამშრომელი კობა შენგელია, რომელიც, მათი ინფორმაციით, სტუდენტებზე ფიზიკურად ძალადობდა. ასევე, მოითხოვეს ახსნა-განმარტება თსუ-ის პირველ კორპუსში საპატრულო პოლიციის გამოძახების თაობაზე.

„კობა შენგელიას არ ვიცნობ. როგორც შემატყობინეს პოლიცია დაცვის სამსახურმა გამოიძახა. ყოველი ფაქტი გასარკვევია და უნდა დადგინდეს - ვინ არის დამნაშავე“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა.

საპატრულო პოლიციის გამოძახების მიზეზები თსუ-ის დაცვის სამსახურის უფროსმა გიორგი გორაშვილმა განმარტა.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ პოზიციაზე დაახლოებით 8 წელია ვმუშაობ. ჩავიბარე საკმაოდ სუსტი სტრუქტურა და მას შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა. დიდი ხანია ურთიერთობა გაქვთ ჩვენს სამსახურთან და დაცვის წევრების მხრიდან ძალის გადამეტებას არასდროს ჰქონია ადგილი. სხვა თემაა, თუ თქვენ მე, როგორც პერსონა, არ მოგწონვართ. საპატრულო პოლიცია გამოვიძახე, რადგან შეიქმნა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის საფრთხე. თავის დაზღვევის მიზნით, ასეთ დროს, სასწრაფო დახმარებასაც წინასწარ ვიძახებთ. ეს გახლავთ ჩემი პოზიცია. რაც შეეხება თანამდებობიდან ჩემს წასვლას, თუ ხელმძღვანელობა დამავალებს, ნებისმიერ დროს დავწერ განცხადებას“, — მიმართა სტუდენტებს გიორგი გორაშვილმა.

გიორგი გორაშვილის განმარტებას სტუდენტების მხრიდან საპროტესტო შეძახილები მოჰყვა. „აუდიტორია 115“-მა დაცვის სამსახურის უფროსს აუდიტორიის დატოვება მოსთხოვა.

მოთხოვნა – დაინერგოს გარე რეფერირების პრინციპი

ინციდენტის დეტალების განხილვის შემდეგ რექტორთან საუბარი თსუ-ში გარე რეფერირების დანერგვის თემაზე წარიმართა. სტუდენტებს აინტერესებდათ — გეგმავს თუ არა ახალი რექტორი გარე რეფერირების დანერგვას? როგორ აპირებს ის თსუ-ში კვლევისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას? განხორციელდება თუ არა ცვლილებები სტუდენტური თვითმმართველობის, როგორც ინსტიტუციის, რეფორმის დასაწყებად? „აუდიტორია 115“-ის წევრებმა იქვე აღნიშნეს, რომ ისინი გიორგი შარვაშიძეს ხელისუფლების მიერ დანიშნულ რექტორად მიიჩნევენ.

„ბატონო რექტორო! მიგვაჩნია, რომ თქვენი პიროვნება გამოგზავნილია სამინისტროდან და საფრთხეს უქმნის უნივერსიტეტის ავტონომიას. თუმცა, იმ საშინელი პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, როდესაც სახელმწიფოში ავტონომიური უნივერსიტეტის არსებობის პოლიტიკური ნება არ არის, ჩვენ ვიტყვით, რომ თქვენი პიროვნება ჩვენთვის ნაკლებად საინტერესოა. თქვენ გევალებათ შეასრულოთ ის, რასაც სტუდენტობა გეუბნებათ. თქვენს გარდა ჩვენ ორი რექტორობის კანდიდატი შეგვხვდა და, რატომღაც, არც ერთი მათგანის მოსვლის შემთხვევაში არ მდგარა კარებთან დაცვა და არ შემოსულა პიარის სამსახური, მათ არც განათლებისა და მეცნიერების წარმომადგენლები ახლდათ. კონკრეტულად გვითხარით, როდის დაიწყება მუშაობა გარე რეფერირებაზე? რა ცვლილებებს აპირებთ ამასთან დაკავშირებით? რომელი მუხლი უნდა შეიცვალოს უნივერსიტეტის წესდებაში? არის თუ არა საჭირო ცვლილებების შეტანა კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ?“, — განაცხადა გიორგი ჯავახაძემ.

შეკითხვის პასუხად თსუ-ის რექტორმა სტუდენტებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში ჩართვა შესთავაზა. დოკუმენტი უახლოესი 3 თვის განმავლობაში უნდა შემუშავდეს, პროცესი ღია იქნება და მასში, სტუდენტების გარდა, ყველა დაინტერესებულ და კომპეტენტურ პირს შეეძლება მონაწილეობის მიღება.

„დღეს 4 საათზე იკრიბება აკადემიური საბჭო და ვაპირებ გარე რეფერირების საკითხის განხილვას, რომელიც დაკავშირებულია უნივერსიტეტში სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლებასთან, „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანასთან. კონცეფციაშიც მეწერა, რომ უახლოესი 3 თვის მანძილზე უნდა შეიქმნას უნივერსიტეტის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა. ყველას, ვისაც ხელეწიფება და გული შესტკივა უნივერსიტეტზე, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს. ყველა მხარემ ერთად უნდა შევქმნათ ერთიანი ხედვა. კონკრეტულად როგორ დაინერგება გარე რეფერირება, ტექნიკური საკითხია, პრინციპულად მისი დანერგვა უკვე გადაწყვეტილია. კიდევ ერთი, ხარისხის ამაღლება მხოლოდ გარე რეფერირება არ არის. ჩვენ ვაპირებთ, რომ ძალიან სერიოზული ყურადღება მივაქციოთ მეცნიერების დაბრუნებას სწავლებაში და ძალიან ცუდია, რომ დღეს ამაზე საუბარი მიწევს. სასურველი იყო გაცილებით ადრე დაწყებულიყო ეს პროცესი. ჩემი პოზიციაა - მეცნიერება შემოვიდეს უმაღლესი განათლების ყველა სასწავლო საფეხურზე“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა.

რას გეგმავს რექტორი სტუდენტური თვითმმართველობის რეფორმირებაზე?

„აუდიტორია 115“-ის წევრმა ლევან ლორთქიფანიძემ თსუ-ის რექტორს გიორგი შარვაშიძეს შეახსენა მიმდინარე წლის გაზაფხულზე მოლაპარაკებების შედეგები, როდესაც შეთანხმებული ცვლილებები „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში არ შევიდა. მან თსუ-ის რექტორს 3 კითხვით მიმართა: „განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის პოსტზე მუშაობისას თქვენ გქონდათ ძალაუფლება, რატომ არ განახორციელეთ რადიკალური ცვლილებები? განახორციელებთ თუ არა ცვლილებებს სტუდენტურ თვითმმართველობასთან დაკავშირებით? რას გეგმავთ თსუ-ის საერთო საცხოვრებლის პრობლემის მოსაგვარებლად?“.

„წელს 15 მაისს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შემდეგ ჩვენ მოვედით თქვენთან იმ არაჩვეულებრივი აგურის შენობაში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო რომ ჰქვია. შევთანხმდით სამ კონკრეტულ ცვლილებაზე, რომელიც უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების შესახებ კანონში უნდა შესულიყო, თუმცა შეთანხმება არ განხორციელდა. მაინტერესებს, რატომ არ გატარდა ეს ცვლილებები? ხართ საკუთარი სიტყვის ერთგული? ისევ თანახმა ხართ თუ არა, რომ უნივერსიტეტში სტუდენტებისთვის გამოყოფილ თანხაზე ყველა სტუდენტს მიუწვდებოდეს ხელი და რომ საფაკულტეტო საბჭოებში პირდაპირი წესით ავირჩიოთ სტუდენტები და არა — რომელიმე ინსტიტუციის გავლით. ასევე, მოგვეცით პირობა, რომ საერთო საცხოვრებელი წლის ბოლომდე გადმოეცემა უნივერსიტეტს და იქ ნორმალური საცხოვრებელი პირობები შეიქმნება“, — განაცხადა ლევან ლორთქიფანიძემ.

„შეუძლებელია ნორმალური საუნივერსიტეტო ცხოვრების გარეშე უცხოელი სტუდენტი მოიზიდო ან უნივერსიტეტი ერთიანი ევროპული სივრცის წევრი გახადო. სტუდენტებს, რომლებსაც საშუალება არ აქვთ, რომ თბილისში ბინა იქირაონ, მათ უნდა ჰქონდეს საერთო საცხოვრებელში ნორმალური პირობები. ამ ყველაფრის გაკეთება მხოლოდ უნივერსიტეტის ფინანსებით შეუძლებელია, ამიტომ ძალიან მინდა, მოხდეს გარე დაფინანსების მოზიდვაც დონორების მეშვეობით. სტუდენტური თვითმმართველობა საჭიროებს რადიკალურ რეფორმას, ასევე გეთანხმებით საფაკულტეტო საბჭოებში არჩევის წესთან დაკავშირებით... აუცილებელია, რომ ყველა სტუდენტს თანაბარი წვდომა ჰქონდეს ყველა სიკეთეზე. ჩემი კარი თქვენთვის ღიაა. დავსხდეთ ერთად და შევიმუშაოთ ერთობლივი ხედვა“, — განაცხადა გიორგი შარვაშიძემ.

დავალიანების მქონე სტუდენტების თაობაზე „115“-ელების მოთხოვნა

აუდიტორია 115-ში შეხვედრა აქტიური კითხვა-პასუხის რეჟიმში, დაძაბულობის ფონზე მიმდინარეობდა. მორიგი საკითხი, რომლის მოგვარებაც სტუდენტებმა მოითხოვეს, იმ სტუდენტებისთვის სწავლის გაგრძელების უფლების მიცემა გახლდათ, რომლებსაც დავალიანების გამო მიმდინარე სემესტრში სასწავლო ბაზა არ გაეხსნათ და სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფრთხის წინაშე დადგნენ.

„დღეს უნივერსიტეტში უამრავი სტუდენტია, რომელიც დავალიანების გამო ვერ აგრძელებს სწავლას. მათ სთხოვენ დავალიანების დაფარვას და პლუს ახალი სემესტრის საფასურის გადახდას. ეს ყველაფერი მეტყველებს, რომ საქართველოში სწავლა პრივილეგიაა. მაინტერესებს თქვენი პოზიცია, როდის მიეცემათ ამ სტუდენტებს სწავლის გაგრძელების საშუალება. აუცილებელია, პასუხი ამ კვირაში მივიღოთ, რადგან სასწავლო პროცესი უკვე დაიწყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენ ნახავთ - რა მოხდება ერთი კვირის შემდეგ“, — მიმართა რექტორს „აუდიტორია 115“-ის წევრმა გიორგი სოფრომაძემ.

„თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა დარეჯან თვალთვაძემ გამოსცა ბრძანება, რის შედეგადაც სტუდენტებს აღარ აქვთ შესაძლებლობა, რომ სიმბოლურად 100 ლარი შეიტანონ, გაეხსნათ ბაზები და დარჩენილი თანხა ნელ-ნელა დაფარონ“, — განაცხადა მარიამ ბაღდავაძემ.

„ახალ სემესტრში ვერ ვირჩევ საგნებს, რადგან მთხოვენ დავფარო წინა წლის დავალიანება და თან შევიტანო ახალი სემესტრის გადასახადი. წინააღმდეგ შემთხვევაში მიჩერდება სტუდენტის სტატუსი. ადრე შემეძლო სიმბოლური თანხის შეტანა და დავალიანების ნელ-ნელა დაფარვა, ეს ამჟამად შეუძლებელია“, — აღნიშნა „აუდიტორია 115“-ის წევრმა ლევან ჭოველიძემ.

თსუ-ის სასწავლო დეპარტამენტის უფროსმა დალი კანდელაკმა განმარტა, რომ აღნიშნული პრობლემა დარეჯან თვალთვაძეს არ უკავშირდება. ადმინისტრაციას სურდა დავალიანების მქონე სტუდენტების ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა და შემდეგ ინდივიდუალური მიდგომით მათი პრობლემის მოგვარება, რის შემდეგაც სტუდენტები საგნების არჩევას ჩვეულებრივად შეძლებდნენ, რადგან, კანონით განსაზღვრული წესის მიხედვით, სასწავლო ბაზა სწავლის დაწყებიდან ერთი კვირის განმავლობაში ისევ ღია იქნება.

„სტუდენტების სტატუსის შეჩერება ცუდი პრაქტიკაა. ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს აკადემიური წელიწადი, ჩვენთან ამის შესაძლებლობა არ არის. როგორც გავარკვიე, ხშირ შემთხვევაში, სტატუსის შეჩერება გადასახადის გადაუხდელობასთან არის დაკავშირებული. პრობლემა გახლავთ ის, რომ სტატუსი უჩერდებათ 5, 10 ლარის დავალიანების გამოც. დღესვე გავერკვევი პირველადი 100 ლარის შეტანის პრაქტიკის საკითხში, განვიხილავთ აკადემიურ საბჭოზე და დღესვე მიიღებთ პასუხს“, — განაცხადა გიორგი შარვაშიძემ.

„115“-ელებმა რექტორის მათზე კომენტარი გააპროტესტეს

შეხვედრაზე „აუდიტორია 115“-ის წევრებმა ახალ რექტორს მისი ერთ-ერთი ინტერვიუდან ამოღებული ციტატა წაუკითხეს, სადაც გიორგი შარვაშიძე „აუდიტორია 115“-ს არარეგისტრირებულ არასამთავრობო ორგანიზაციას უწოდებს და ამბობს, რომ მათ ქმედებებში პოლიტიკური ინტერესები იკვეთება. სტუდენტებმა თსუ-ის რექტორს ნათქვამის დამამტკიცებელი არგუმენტების მოყვანა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბოდიშის მოხდა მოსთხოვეს. მათ აღნიშნეს, რომ მსგავსი განცხადება სტუდენტების შეურაცხყოფაა. „იმ ადამიანების ნაწილი, რომელიც „აუდიტორია 115“-ის სახელით არის ცნობილი, სტუდენტი არ არის. ამიტომ ვუწოდე მას არარეგისტრირებული არასამთავრობო ორგანიზაცია. არ მგონია, პოლიტიკური ინტერესების გატარება შეურაცხყოფა იყოს. ნებისმიერ სტუდენტს აქვს უფლება, იყოს ამა თუ იმ პოლიტიკური გაერთიანების წევრი“, — განაცხადა რექტორმა. შემდეგ გიორგი შარვაშიძემ სტუდენტებს მათ მიერ მოტანილი ლოზუნგების ჩვენება მოსთხოვა და მათი შინაარსობრივად განხილვის შედეგად, ნახევრად იუმორით, ამ ლოზუნგების სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა მთავარ მესიჯებთან შესაბამისობაზე მიუთითა.

ნატო ოგოლაძე

დადებული ნაძლევი და „აუდიტორია 115“-იდან წევრთა გამოყოფის მიზეზი

გიორგი შარვაშიძის რექტორად არჩევის დღეს „აუდიტორია 115”-ის წევრმა გიორგი ჯავახაძემ და „აუდიტორია 115”-ის ყოფილმა წევრმა ალექსანდრე ცაგარელმა ნაძლევი დადეს. გიორგი ჯავახაძე ყოფილ თანაგუნდელს დაჰპირდა, რომ ახალ რექტორს 4 წლამდე დაატოვებინებენ პოსტს. ალექსანდრე ცაგარელი კი რექტორ გიორგი შარვაშიძის პრინციპულობასა და პროგრესზე ორიენტირებულობაშია დარწმუნებული და თვლის, რომ გიორგი შარვაშიძეს, კარგი იქნება, თუ დააცლიან უნივერსიტეტისთვის რეალურად სასიკეთო საქმის კეთებას.

„ბოლო ათწლეულების განმავლობაში თსუ-ს ეყოლება პროგრესზე ორიენტირებული რექტორი. ვულოცავ ბატონ გია შარვაშიძეს. დროა თსუ-ის ჭაობი გაირღვეს“, — ასე გამოეხმაურა ახალი რექტორის არჩევას სოციალური ქსელის საშუალებით თსუ-ის დოქტორანტი, „აუდიტორია 115“-ის ყოფილი წევრი ალექსანდრე ცაგარელი. როგორც გავარკვიეთ, ალექსანდრე ცაგარელმა დაახლოებით სამი თვეა, რაც „აუდიტორია 115“ დატოვა და თანამოაზრეებთან ერთად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესში ჩართვას გეგმავს. მისი ინფორმაციით, სტუდენტური გაერთიანებიდან კიდევ ბევრი სტუდენტი წამოვიდა. „აუდიტორია 115“-ის წევრი გიორგი ჯავახაძე ადასტურებს, რომ ალექსანდრე ცაგარელი სტუდენტური მოძრაობის წევრი აღარ არის, თუმცა ამბობს, რომ იგი თავისი ნებით არ წასულა, ატარებდა პარტიულ ინტერესებს, რის გამოც „აუდიტორია 115“-მა წასვლა აიძულა.

„ჩემ გარდა ძალიან ბევრი წამოვიდა, რადგან მთავარი ნიშნული და ღირებულებები, რაც ამ გაერთიანებას ჰქონდა, დაიკარგა. დღეს, უბრალოდ, არსებობს სახელი „აუდიტორია 115“ და მის გარშემო გაერთიანებული რამდენიმე ათეული ადამიანი. მე ჩემი პოზიცია მაქვს, ვიცნობ გიორგი შარვაშიძეს, ვიცი მისი ხედვა, თუ როგორ სურს უნივერსიტეტის განვითარება და, შესაბამისად, მაქვს დადებითი პოზიცია. ვერც ერთ მიზეზს ვერ ვხედავ, თუ რატომ არ უნდა დამეჭირა მხარი მისთვის. რა თქმა უნდა, ვიღაცებს განსხვავებული პოზიცია ექნებათ, მათ შორის „აუდიტორია 115“-საც და სტუდენტურ თვითმმართველობასაც. თუმცა, როგორც ჩანს, მათ თავისი პირადი ინტერესები გააჩნიათ. სასწავლო წლის დაწყების ცერემონიის ჩაშლა რაღაც შოუ იყო, სურთ მიიქციონ ყურადღება, რადგან მედია მათ ქმედებებს იმდენად აღარ აშუქებს. საქართველო დემოკრატიული ქვეყანაა და ყველას შეუძლია აზრის გამოხატვა, მაგრამ მთავარია — ადამიანები რამდენად არიან შედეგზე ორიენტირებულები. თუ რექტორთან შეხვედრის შემდეგ კიდევ უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ მის მიმართ, მაშინ ვერ ვხვდები — რა სურთ. გიორგი შარვაშიძემ შესთავაზა თანამშრომლობა და უნივერსიტეტის წესდებაში იმ ცვლილებების შეტანა, რაც მათ სურთ. თუმცა, ეს ცვლილებები არგუმენტირებული უნდა იყოს და აკადემიურ საბჭოსა და სხვა ორგანოებთან ერთად შეჯერებული“, — განაცხადა ალექსანდრე ცაგარელმა.

გიორგი ჯავახაძემ ალექსანდრე ცაგარელის განცხადებას 26 სექტემბრის საპროტესტო აქციასთან დაკავშირებით ამორალური უწოდა. მისი თქმით, იგი არის ადამიანი, რომელიც სტუდენტურ მოძრაობაში პარტიული ინტერესების გატარებას ცდილობდა, ოფიციალურად არის სოციალურ-დემოკრატიული პარტიის წევრი და „აუდიტორია 115“-ის წევრებმა ტყუილშიც გამოიჭირეს.

„აუდიტორია 115“-ში ხშირად იყო საუბარი, რომ მას პარტიულობის გამო მოძრაობა უნდა დაეტოვებინა. ალექსანდრე ცაგარელი „აუდიტორია 115“-ში პირველად 9 მარტს მოვიდა, იმავე დღეს უთხრეს მოძრაობის წევრებმა, რომ უნდა წასულიყო. თუმცა, შემდეგ აქტიური პროტესტი დაიწყო და არავის ეცალა ამ საკითხისთვის. 18 მარტიდან ისევ დაიწყო საუბარი მისი წასვლის შესახებ. ჩვენ ვემიჯნებით ყველანაირ პოლიტიკურ პლატფორმას. ალექსანდრე ცაგარელს ამ ყველაფერს ვუხსნიდით, თუმცა იგი მაინც არ მიდიოდა. საბოლოოდ იძულებული გავხადეთ — მოძრაობა დაეტოვებინა, ამ საკითხზე საკმაოდ მწვავე საუბარი გვქონდა. მან მოგვატყუა, რომ თითქოს დაუკავშირდნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან და რაღაც საბუთების გადაგზავნას ითხოვდნენ. და ახლა, როდესაც ეს ადამიანი „აუდიტორია 115“-ის ქმედებას პოპულისტურად აფასებს, უბრალოდ ამორალურია. ალექსანდრე ცაგარელთან ერთად „აუდიტორია 115“ ოფიციალურად დატოვა დაახლოებით 10-მა ადამიანმა, რომლებიც მას მიზნების განხორციელებაში ეხმარებოდნენ“, — აღნიშნა „აუდიტორია 115“-ის წევრმა გიორგი ჯავახაძემ.

„აუდიტორია 115“-ს გარკვეულ გარიგებებში ბრალს სდებს ალექსანდრე ცაგარელიც.

„სწავლის დაწყების დღეს აქცია უჩვეულო არაა და დამკვიდრებულია 2011 წლიდან. რაც შეეხება ჩემ წინააღმდეგ ბრალდებებს, ერთხელ მაინც კონკრეტული რამე თქვან. მე დავტოვე „აუდიტორია 115“, რადგან ვამხილე გიორგი არობელიძე და ნათია ქარჩილაძე თვითმმართველობასთან ფარულ კომუნიკაციაში, რაც მათ აღიარეს; ასევე, იმ მიზეზების გამო, რომ ადამიანები ინტრიგებზე გადავიდნენ. მე არასდროს დამიმალავს ჩემი პოლიტიკური პრეფერენციები, მაგრამ „აუდიტორიის 115“-ის წევრი სენატის წევრი სტუდენტები ჩუმად პაპავასთან კომუნიკაციაში რომ იყვნენ, ეგ რა წესია? ან პაპავა ჩემზე მესიჯებს რომ წერდა, „სუს“-ის აგენტიაო... მოკლედ, ზედმეტად ბევრი სიბინძურეა და ახლა არ ვაპირებ შევყვე ჭორაობას. თანაც, მხოლოდ 10 კაცს რომ არ დაუტოვებია „აუდიტორია 115“, ფოტოებსაც ეტყობა,“ — აღნიშნა ალექსანდრე ცაგარელმა.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი თორნიკე ჩივაძე „აუდიტორია 115“-ის დატოვების ფაქტს ასე ხსნის: „აუდიტორია 115“ დავტოვე იმის გამო, რომ არ იყო სამუშაო გარემო შექმნილი, წევრების უმრავლესობას, განსაკუთრებით კი წამყვან წევრებს, არ აღმოაჩნდათ საკმარისი პოლიტიკური ცნობიერება და თანმიმდევრულობა, რაც საჭიროა სტუდენტური მოძრაობისთვის. მე უარი ვთქვი იმ მუდმივ წვრილმან დაპირისპირებებსა და ინტრიგებზე, რაც შეუძლებელს ხდიდა მათთან მუშაობას. მაგალითად, ორჯერ მოვაწყვეთ კონფერენცია გარე რეფერირების და ტენურირების საკითხის შესახებ, რასაც მოძრაობის წევრების ძალზედ მცირე ნაწილი ესწრებოდა, სანაცვლოდ კი პირადი საკითხების განხილვებისას და უშინაარსო სკანდალების დროს ივსებოდა ხოლმე 115-ე აუდიტორია. ზურგს უკან მოძრაობის რამდენიმე წევრზე, მათ შორის, ჩემზეც ავრცელებდნენ ჭორებს, რამაც საბოლოოდ მიმიყვანა იმ აზრამდე, რომ ორგანიზაცია უუნაროა — გახდეს ფუნდამენტური ცვლილებების კატალიზატორი და დავტოვე მოძრაობა“.

რაც შეეხება „აუდიტორია 115“-დან სხვა სტუდენტების წასვლის საკითხს, გიორგი ჯავახაძის ინფორმაციით, მოძრაობაში გაწევრიანების არანაირი ოფიციალური პროცედურა არ არსებობს, „აუდიტორია 115“ სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა მოთხოვნებს აყენებს და, შესაძლოა, ზოგიერთი სტუდენტი, რომელიც ამა თუ იმ მოთხოვნას არ ეთანხმება — დროებით გვერდზე გადგეს, ზოგიერთი მათგანი კი შეუერთდეს და ისინი იმ ეტაპზე ავტომატურად „აუდიტორია 115“-ის წევრები ხდებიან.

P.S. გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ სხვა სტუდენტებსაც დაუკავშირდა, რათა განემარტათ „აუდიტორია 115“-ის დატოვების მიზეზი, თუმცა ბევრმა თავი შეიკავა პასუხისგან.

ნატო ოგოლაძე

ჩვენ პროცესების დაკვირვების რეჟიმში ვართ

ინტერვიუ სტუდენტური თვითმმართველობის ამჟამინდელ ხელმძღვანელთან

*სტუდენტური თვითმმართველობა „აუდიტორია 115“-ის პროტესტის გამოხატვის ფორმას აკრიტიკებს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული პრობლემების გადაჭრისთვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობაზე საუბრობს. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს **ბახვა კვირიკაშვილს** მიაჩნია, რომ ამისათვის თსუ საერთო მიზნის გარშემო უნდა გაერთიანდეს.*

ბახვა კვირიკაშვილი

— ერთერთ ტელე-გადაცემაში ახსენეთ, რომ პირველკურსელების მიღების საზეიმო ცერემონიაზე აპირებდით პოზიციის დაფიქსირებას, კონკრეტულად რის თქმას გეგმავდით?

— როგორც მოგეხსენებათ, 26 სექტემბერს პირველკურსელებთან შეხვედრა ჩაიშალა კონკრეტული პირების მარგინალური ქმედების გამო, რის შედეგადაც ჩვენი პირველკურსელები უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან შეხვედრის ნაცვლად აღმოჩნდნენ რამოდენიმე ადამიანის პიარაქციაზე. ამ შეხვედრაზე, რა თქმა უნდა, სტუდენტურ თვითმმართველობას უნდა დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დღეს უნივერსიტეტში არ არის ჯგუფებად დაყოფის დრო. ყველა ადამიანს აქვს საკუთარი მოსაზრება და დამოკიდებულება, მაგრამ მიზანი საერთო უნდა იყოს, კერძოდ, უნივერსიტეტში იმ რეალური პრობლემების მოწესრიგება, რომელიც დღეს არსებობს. ეს საკითხები კი გადასაჭრელია ქმედითი ნაბიჯებით, რომელიც საბოლოოდ დადებით შედეგს მოგვცემს და არა პოპულისტური აქციით. უნივერსიტეტი უნდა გაერთიანდეს საერთო მიზნის გარშემო და პირველ რიგში ეს ერთიანობა უნდა ვაჩვენოთ სტუდენტებმა. აი, ეს მინდოდა მეთქვა ჩემს გამოსვლაში.

— რას ფიქრობთ „აუდიტორია 115“-ის მიერ 26 სექტემბრს გამართულ საპროტესტო აქციაზე და, ზოგადად, მათ მოძრაობაზე?

— „აუდიტორია 115“-ის აქცია იყო უნივერსიტეტის, საუნივერსიტეტო საზოგადოების და პირველკურსელების უპატივცემულობა. არ შეიძლება, როცა ადამიანი პირველად მოდის უნივერსიტეტში და ცუდ მაგალითს აძლევ, საზოგადოებამ უნდა ისწავლოს პროტესტის გამოხატვის სწორი ფორმა, რითაც არ შეიზღუდება სხვა ადამიანის უფლებები და ინტერესები. ეს ჯგუფი კი არის მარგინალური და ყველა დამოკიდებულებას გამოხატავს არეულობით, დაძაბულობით და პროტესტის მსგავსი ფორმებით. რეალურად კი ეს გახლავთ საკუთარი თავის პიარი და არა საქმის კეთების, უნივერსიტეტის განვითარების სურვილი. კარგი იქნება, თუ ერთხელ მაინც, ეს ადამიანები პრობლემის დასახელებასთან ერთად გადაჭრის გზებსაც შემოგვთავაზებენ.

— რას გეგმავს სტუდენტური თვითმმართველობა უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით?

— სტუდენტური თვითმმართველობა არის განვითარების გზაზე, პროცესში, როდესაც აუცილებელია ცვლილებები, რათა სტრუქტურა გახდეს უფრო მოქნილი, ვიდრე არსებობს და, რა თქმა უნდა, ჩვენი პრიორიტეტი, როგორც ბოლო ორი წლის ტენდენცია არსებობდა, არის განათლების მიმართულებით მუშაობა. ჩვენ, უნივერსიტეტში სტუდენტების ერთადერთი ლეგიტიმური წარმომადგენლობითი ორგანო, ობიექტურად დავაკვირდებით ყველა პროცესს, რაც წარიმართება უნივერსიტეტში და გვექნება მყისიერი რეაქცია - თუ რაიმე გადაცდომას დავინახავთ.

და ბოლოს, ნოემბერში გაიმართება სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები და დიდი იმედი მაქვს, რომ სტუდენტებს მოგვეცემა საშუალება - გავაკეთოთ რეალური არჩევანი და არ იქნება კონკრეტული პირების მხრიდან რაიმე ჩარევის მცდელობა.

ნატო ოგოლაძე

ლექსიკოგრაფია და ლინგვისტური მრავალფეროვნება

ევროპის ლექსიკოგრაფთა ასოციაციის მე-17 საერთაშორისო კონგრესი თსუ-ში

ლექსიკოგრაფია და ლექსიკონები მჭიდროდაა დაკავშირებული ენასთან, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებს ამა თუ იმ ხალხის იდენტობისა და კულტურის განსაზღვრაში. ენას ცენტრალური როლი ეკუთვნის ეროვნული თვითმყოფადობის ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაში, ხოლო ლექსიკონი წარმოადგენს უმთავრეს ინსტრუმენტს ამ იდენტობის შესაცნობად და წარმოსაჩენად. ამდენად, ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ სექტემბრის დასაწყისში საქართველომ უმასპინძლა საერთაშორისო კონგრესს, რომელიც ქვეყანაში ენობრივი პოლიტიკის გატარების მძლავრ ინსტრუმენტს — ლექსიკოგრაფიასა და ლექსიკონებს ეძღვნებოდა.

6 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა ევროპის ლექსიკოგრაფთა ასოციაციის მე-17 საერთაშორისო კონგრესი. მასში მონაწილეობდა 150 დელეგატი მსოფლიოს 40 ქვეყნიდან. დელეგატთა შორის იყვნენ წამყვანი ლექსიკოგრაფები, გამომცემლები, მკვლევრები, პროგრამისტები და, ზოგადად, ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიით დაინტერესებული პირები.

კონგრესის ორგანიზატორები იყვნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიული ცენტრი და ევროპის ლექსიკოგრაფთა ასოციაცია.

კონგრესი გახსნა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, თსუ-ის ლექსიკოგრაფიული ცენტრის ხელმძღვანელმა, პროფესორმა თინათინ მარგალიტაძემ. მან მადლობა გადაუხადა ყველა მონაწილეს და ორგანიზაციას, რომელთა ძალისხმევითაც საქართველოში ამ კონგრესის ჩატარება გახდა შესაძლებელი: „ევროპის ლექსიკოგრაფთა ასოციაცია შეიქმნა გასული საუკუნის 80-იან წლებში. ასოციაცია დააარსეს თვალსაჩინო ევროპელმა ლექსიკოგრაფებმა, მათვე ჩაუყარეს საფუძველი ასოციაციის საერთაშორისო კონგრესის ამ საოცარ მოდელს, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება და ფართო საერთაშორისო საზოგადოებას იზიდავს. გამონაკლისი არც თბილისის კონგრესია. დღეს ჩვენი 150 დელეგატი წარმოადგენს 40 ქვეყანას და 4 კონტინენტს, ხოლო კონგრესის 100 მოხსენება მსოფლიოს 40-მდე ენას შეეხება“, — აღნიშნა მან თავის გამოსვლაში.

გარდა ზოგადი მიზნებისა, თინათინ მარგალიტაძემ ისაუბრა თბილისში გამართული კონგრესის ამოცანებზეც. აღინიშნა, რომ კონგრესის დევიზი: „ლექსიკოგრაფია და ლინგვისტური მრავალფეროვნება”, ხაზს უსვამს ლექსიკოგრაფიის მნიშვნელობას ენების შენარჩუნების, და ამდენად, ლინგვისტური მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და ენებსა და ერებს შორის სამეცნიერო და კულტურული კავშირების გაღრმავების საქმეში. „ჩვენი კონგრესის მიზანი ასევე არის წარმოაჩინოს ლექსიკოგრაფია, როგორც უაღრესად კომპლექსური, დინამიკურად განვითარებადი ინტერდისციპლინური დარგი, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ სემანტიკურ თეორიებს, არამედ კორპუსული ლინგვისტიკის მეთოდებს, ბუნებრივი ენის დამუშავების თეორიებსა და მეთოდებს, ელექტრონულ ლექსიკოგრაფიას, ისტორიულ ლექსიკოგრაფიასა და ეტიმოლოგიას და მრავალ სხვა“, — განაცხადა მან.

მე-17 საერთაშორისო კონგრესის მიზნებს შორის გამოიკვეთა ლექსიკოგრაფიის სტატუსის საკითხი. ითქვა, რომ ლექსიკოგრაფია არის სამეცნიერო საქმიანობა, ხოლო ლექსიკოგრაფიული პროდუქტი — ლექსიკონი — სამეცნიერო ნაწარმოები. „ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ჩვენი კონგრესისა არის ჩვენს ქვეყანაში ამ დარგის პოპულარიზაცია და ხაზგასმა იმისა, რომ ლექსიკოგრაფიას აქვს უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი ენისთვის და იმ ენებისთვის, რომლებიც გავრცელებულია საქართველოში. ლექსიკოგრაფიის განვითარების დონე პირდაპირ აისახება იმ ენობრივ პოლიტიკაზე, რომელიც ქვეყანაში ენების მიმართ ტარდება“, — განაცხადა პროფესორმა თინათინ მარგალიტაძემ.

კონგრესის მონაწილეებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე გიორგი შარვაშიძე მიესალმა: „ეს გახლავთ ევროპის ლექსიკოგრაფთა მე-17 კონგრესი, რომელიც პირველად ტარდება პოსტსაბჭოთა სივრცეში. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მასპინძლობს, რამეთუ ამ ტრადიციის აღორძინება სწორედ ამ კედლებს უკავშირდება. აქ დაიწყო აღორძინება იმ ძირძველი ისტორიული ტრადიციისა, რომელიც გაგვაჩნდა და დღეს, XXI საუკუნეში, როდესაც შემოდის ახალი დიგიტალური ლექსიკოგრაფია, როდესაც იცვლება ლექსიკოგრაფიის შინაარსი, მნიშვნელოვანია რომ შევაჯეროთ ჩვენი მაჯისცემა ჩვენს ევროპელ კოლეგებთან და არა მხოლოდ მათთან – მთელ მსოფლიოსთან, რადგან ამ კონგრესზე დღეს ოთხი კონტინენტის მეცნიერებია წარმოდგენილი“, — განაცხადა მან.

კონგრესის მონაწილეებს ასევე მიესალმნენ საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი კარლო ნატალე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი როინ მეტრეველი და ევროპის ლექსიკოგრაფთა ასოციაციის პრეზიდენტი ლარს ტრაპ-იენსენი.

კონგრესის პროგრამა მოიცავდა საჯარო ლექციებსა და სექციურ სხდომებს სხვადასხვა თემაზე, კომპიუტერული პროგრამების პრეზენტაციას, დისკუსიას მრგვალ მაგიდასთან, სპეციალიზებულ სემინარებს კონგრესის წინა პერიოდში, წიგნებისა და კომპიუტერული პროგრამების გამოფენას, აგრეთვე, კულტურულ პროგრამას კონგრესის მონაწილეთათვის.

კონგრესზე საჯარო ლექციები წაიკითხეს ცნობილმა ევროპელმა მეცნიერებმა, პატრიკ ჰენქსმა (დიდი ბრიტანეთი), რობერტ ილსონმა (დიდი ბრიტანეთი), იოსტ გიპერტმა (გერმანია), ჯეფრი უილიამსმა (საფრანგეთი), პიუს ტენ ჰაკენმა (ავსტრია). გაიმართა მრგვალი მაგიდა, რომელსაც უძღვებოდა ევროპის კავშირის დაწესებულებათა მთარგმნელობითი ცენტრის ხელმძღვანელი თიერი ფონტენელი (ბელგია).

კონგრესზე გაიმართა ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობის ახალი პროექტის — „ოქსფორდის მსოფლიო ენები“ — პრეზენტაცია.

სამეცნიერო სესიები გაიმართა 11 თემაზე, კერძოდ: ლექსიკონების შექმნის პროცესი, ლექსიკონის მომხმარებელთა კვლევა, ლექსიკოგრაფია და კორპუსული ლინგვისტიკა, ლექსიკოგრაფია და ბუნებრივი ენის დამუშავება, ისტორიული ლექსიკოგრაფია და ეტიმოლოგია, ტერმინოლოგია და ტერმინოგრაფია, ფრაზეოლოგია და შესიტყვება, ლექსიკოგრაფია და სემანტიკური თეორია და სხვა.

ინტერვიუ
თსუ-ის ლექსიკოგრაფიული ცენტრის ხელმძღვანელთან თინა მარგალიტაძესთან

ჩვენ გვჭირდება, რომ ჩვენმა სტუდენტებმა საუკეთესო ლექსიკოგრაფიულ ცენტრებში მიიღონ განათლება

— ქალბატონო თინათინ, რით არის გამორჩეული ევროპის ლექსიკოგრაფთა ასოციაციის კონგრესები?

— პირველი კონგრესი დიდ ბრიტანეთში, ექსეტერის უნივერსიტეტში გაიმართა 1983 წელს. ამ ასოციაციის წევრი მე 1997 წელს გავხდი. იმ წელს კემბრიჯის უნივერსიტეტში ვიმყოფებოდი მიწვეული მკვლევრის სტატუსით და მქონდა ბედნიერება, გამეცნო ბრწყინვალე ბრიტანელი მეცნიერი რაინჰარდ ჰარტმანი, ევროპის ლექსიკოგრაფთა ასოციაციის ერთ-ერთი დამაარსებელი. სწორედ მისი რეკომენდაციის საფუძველზე გავხდი ასოციაციის წევრი, რაც ძალიან მეამაყება. იმ დროისთვის ჩვენ უკვე გვქონდა გამოქვეყნებული დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის 4 ტომი.

ექსეტერის შემდეგ ასოციაციის კონგრესებმა მოიარა მთელი ევროპა და საქართველო არის ევროკავშირის პირველი არაწევრი ქვეყანა, სადაც ეს კონგრესი გაიმართა. სხვათა შორის, სტუმართაგან ყველა აღნიშნავდა, რომ იყო გარკვეული ფრთხილი დამოკიდებულება საქართველოსადმი, რადგან კოლეგების უმრავლესობა ჩვენს ქვეყანას არ იცნობდა.

ევროპის ლექსიკოგრაფთა ასოციაციის კონგრესები ძალიან მაღალი სამეცნიერო დონითა და საოცარი ორგანიზებულობით გამოირჩევა. კონგრესები ტარდება მკაცრად გაწერილი წესების მიხედვით და კონგრესის ორგანიზატორს აქვს წერილობითი ინსტრუქცია-მითითებები, რა უნდა გაკეთდეს კონგრესის გახსნამდე 24 თვით ადრე, 22 თვით ადრე, 20 თვით ადრე და ა.შ., ვიდრე თავად კონგრესის გახსნამდე. კონგრესზე წარსადგენად შემოსული ყოველი მოხსენება გადის რეცენზირებას ორი ანონიმური რეცენზენტის მიერ. საშუალოდ მოხსენებების 30 – 40% არ დაიშვება კონგრესზე. რეცენზენტების შენიშვნები ეგზავნება ავტორებს, რომლებიც შენიშვნების გათვალისწინებით მუშაობენ კონგრესის მოხსენებების საბოლოო ვერსიაზე. ევროპის ლექსიკოგრაფთა ასოციაციის კონგრესის გახსნამდე ქვეყნდება კონგრესის მოხსენებების სრული კრებული. ეს ეტაპები უდიდეს შრომას მოითხოვს ორგანიზატორებისაგან, მაგრამ განსაზღვრავს კიდეც კონგრესის მაღალ სამეცნიერო დონეს.

ბედნიერი ვარ, რომ ყველა მონაწილე ხაზგასმით საუბრობს კონგრესის მაღალ სამეცნიერო დონეზე. სხდომათა დარბაზები სავსე იყო და ბოლო დღემდე კონგრესი არც ერთ მონაწილეს არ დაუტოვებია.

— რა სამეცნიერო და პრაქტიკული სიახლეები გამოიკვეთა თბილისის კონგრესზე?

— ჩვენ მოვისმინეთ მოხსენებები ლექსიკოგრაფიის პრაქტიკულად ყველა მიმართულებით. კონგრესზე წარმოდგენილი იყო ანგარიშები უახლესი კვლევების შესახებ, რომლებიც მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში მიმდინარეობს. ბუნებრივია, ამგვარი სამეცნიერო ფორუმები ახალ იდეებსაც ბადებს. იმდენად საინტერესო მოხსენებები მოვისმინე ისტორიულ ლექსიკონებზე, რომ სურვილი გამიჩნდა — გავაცნო მსოფლიოს სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“, უაღრესად საინტერესო ლექსიკოგრაფიული პრინციპებით შექმნილი ლექსიკონი.

აღსანიშნავია, რომ გაჩნდა თანამშრომლობის პერსპექტივები, როგორც სტუდენტების სწავლების, ისე ერთობლივი პროექტების განხორციელების კუთხით.

— დაიგეგმა თუ არა ახალი თანამშრომლობა ქართველ და უცხოელ მეცნიერებს შორის და რა მიმართულებით უნდა ველოდოთ ერთობლივი პროექტების განხორციელებას?

— თუ ადრე ჩემთვის რთული იქნებოდა ჩემი კოლეგების დარწმუნება იმაში, რომ შეიძლება საქართველოში ჩამოსვლა და ერთობლივ პროექტებზე მუშაობა, ახლა ჩვენთვის და ჩვენი სტუდენტებისთვის ყველა კარი ღიაა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენმა სტუდენტებმა განათლება მიიღონ წამყვან ლექსიკოგრაფიულ ცენტრებში. როგორც აღინიშნა, ლექსიკოგრაფია უაღრესად სწრაფად ვითარდება, არის ინტერდისციპლინური დარგი. ყველაფერს საქართველოში ვერ ვასწავლით ჩვენს მაგისტრებს და დოქტორანტებს. საჭიროა მათ მიიღონ თანამედროვე ცოდნა ევროპის უნივერსიტეტებში და ეს ცოდნა მოიტანონ ჩვენს ლექსიკოგრაფიულ ცენტრში, იმ სამეცნიერო ცენტრში, რომელიც ჩვენ დავაარსეთ და ვცდილობთ განვავითაროთ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

ჩვენი კონგრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი არის ის, რომ მან საბოლოოდ დაუსვა წერტილი იმ ველურ დამოკიდებულებას, რაც ლექსიკოგრაფიისა და ლექსიკონების მიმართ არსებობს, კერძოდ, რომ ლექსიკონზე მუშაობა არ არის სამეცნიერო საქმიანობა, ხოლო სტატიის დაწერა ლექსიკონის შესახებ არის სამეცნიერო ნაშრომი. კონგრესის მრგვალი მაგიდა სწორედ ამ საკითხებს დაეთმო და კონგრესის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, მიმართვა-მოწოდება „იუნესკოსადმი“, მსოფლიოს სახელმწიფოთა მთავრობებისადმი, სამეცნიერო კვლევათა დამფინანსებელი ოფიციალური ორგანიზაციებისადმი და უნივერსიტეტებისადმი.

კონგრესის უმნიშვნელოვანესი შედეგია ისიც, რომ მან ხელი უნდა შეუწყოს ამ დარგის პოპულარიზაციას საქართველოში, იმის კიდევ ერთხელ გაცნობიერებას, რომ ლექსიკოგრაფია უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყანაში მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისთვის, სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლებისთვის.

მე-8 გვერდზე

ლექსიკოგრაფია და ლინგვისტური მრავალფეროვნება

ევროპის ლექსიკოგრაფთა ასოციაციის მე-17 საერთაშორისო კონგრესი თსუ-ში

მეშვიდე გვერდიდან

ევროპის ლექსიკოგრაფთა ასოციაციის XVII კონგრესის რეზოლუცია

ჩვენ, ევროპის ლექსიკოგრაფთა ასოციაციის (EURALEX) 2016 წლის კონგრესის მონაწილენი, მოვუწოდებთ „იუნესკოს“, მსოფლიოს სახელმწიფოთა მთავრობებს, სამეცნიერო კვლევათა დამფინანსებელ ოფიციალურ ორგანიზაციებსა და უნივერსიტეტებს, აღიარონ სიტყვების გადამწყვეტი როლი ენისა და კულტურისათვის. მოვუწოდებთ აღნიშნულ დაწესებულებებს, უფრო ქმედითი ზომები მიიღონ იმისათვის, რათა ყოველმხრივ წაახალისონ და აუცილებლად ცნონ შესწავლა სიტყვებისა, სიტყვათხმარებისა, ტერმინოლოგიისა, ფრაზეოლოგიისა და იმ კულტურული მოვლენებისა, რომლებიც სიტყვების მეშვეობით გამოიხატება და რომლებიც წარმოდგენილია ლექსიკონებში.

აგრეთვე მოვუწოდებთ აღნიშნულ დაწესებულებებს, პატივი სცენ ჰელსინკის 1975 წლის შეთანხმებას, რომლის მონაწილე სახელმწიფოებმაც გამოხატეს განზრახვა, „ხელი შეეწყოთ ლექსიკოგრაფიის დარგის ექსპერტთა შორის თანამშრომლობისთვის, რათა განსაზღვრულიყო აუცილებელი ტერმინოლოგიური ექვივალენტები, კერძოდ სამეცნიერო და ტექნიკურ დისციპლინებში, რაც გააადვილებდა ურთიერთობებს სამეცნიერო დაწესებულებებსა და სპეციალისტებს შორის“.

ბოლო ათწლეულებში ინტერნეტის სწრაფმა განვითარებამ უპრეცედენტოდ ფართო ასპარეზი გაუხსნა ენისა და მნიშვნელობის ობიექტურ შესწავლასა და კვლევას. ჩვენს მრავალენოვან სამყაროს ახლებური ტიპის ლექსიკონები ესაჭიროება, რაც ჯეროვან აღიარებასა და მხარდაჭერას მოითხოვს.

გამოხმაურებები

კონგრესის მონაწილეებმა კმაყოფილება გამოხატეს კონგრესის მიმდინარეობის თაობაზე და აღნიშნეს, რომ ის გამოირჩეოდა მაღალი სამეცნიერო ღირებულებითა და კონკრეტული შედეგებით:

ანდრეა აბელი (იტალია, ბოლზანო): „ჩემთვის საქართველოში ვიზიტი ძალიან საინტერესო იყო. აქამდე არაფერი ვიცოდი მის შესახებ. მოვისმინე ძალიან ბევრი საინტერესო მოხსენება სხვადასხვა თემაზე, მათ შორის იყო უმცირესობის ენები, ბუნებრივი ენის დამუშავების მეთოდოლოგია, როგორ შევქმნათ უფრო კარგი ლექსიკონები და სხვა. მნიშვნელოვანია, რომ ამ კონგრესზე მივიღეთ რეზოლუცია, რომელშიც არის მიმართვა იუნესკოსა და სხვადასხვა მნიშვნელოვანი ორგანიზაციების მიმართ. აღნიშნული რეზოლუციით ვითხოვთ, რომ გაიზარდოს ამ დარგის ცნობადობა, ლექსიკოგრაფიამ მოიპოვოს მეტი აღიარება. ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტები, რაც ამ კონგრესიდან შეიძლება გამოვარჩიო“.

ზოი გავრილიდუ (საბერძნეთი): „ეს იყო ძალიან კარგად ორგანიზებული კონგრესი. კმაყოფილი ვარ საორგანიზაციო გუნდის მუშაობით, რადგან ყველაფერი წარიმართა წარმატებულად. ამან მოგვცა შესაძლებლობა, რომ შევხვედროდით ბევრ საინტერესო და მეგობრულად განწყობილ ადამიანს, ასევე, გავცნობოდით თქვენს ქვეყანას, როგორც კულტურულად, ასევე ენობრივად, რადგან მოვისმინეთ ძალიან საინტერესო მოხსენებები ქართულ ენასთან დაკავშირებით. ეს კიდევ უფრო მეტად გვაძლევს შესაძლებლობას, რომ ვითანამშრომლოთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, იქნება ეს ლექსიკოგრაფია, თარგმანი თუ სხვა პროექტები. მინდა, მივულოცო ქალბატონ თინათინ მარგალიტაძეს ამ კონგრესის წარმატებულად დასრულება. თუ მომავალში ერთ-ერთი კონგრესი საბერძნეთში გაიმართება, ჩვენ აუცილებლად გავითვალისწინებთ მის გამოცდილებას“.

თიერი ფონტენელი (ბელგია): „ძალიან მნიშვნელოვანი კონგრესი იყო ლექსიკოგრაფიის სფეროში და წარმატებით დამთავრდა. ვულოცავ ქალბატონ თინათინს და მის გუნდს კონგრესის წარმატებას. მან კიდევ უფრო მეტად გაზარდა საქართველოს მიმართ ცნობადობა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ეს ძალიან პროდუქტიული კონგრესი იყო იმ მხრივ, რომ განვიხილეთ ორენოვანი და მრავალენოვანი ლექსიკონების შედგენის პრინციპები. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი იყო ლექსიკონების, მათ შორის, ელექტრონული ლექსიკონების შექმნის ძალიან ბევრი საინტერესო მოდელი. კიდევ ერთხელ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მნიშვნელოვანია ასეთი თემების განხილვა ლექსიკოგრაფიასთან დაკავშირებით, რადგან ლექსიკოგრაფია პირდაპირ უკავშირდება ენას, ენა კი თავის მხრივ დაკავშირებულია ჩვენს იდენტობასთან“.

* * *

ცალკე უნდა გამოიყოს კულტურული ღონისძიებები, რომლებიც კონგრესის მონაწილეთათვის დაიგეგმა. მათ დაათვალიერეს საქართველოს უძველესი ქალაქი მცხეთა, ძველი თბილისი, მიწვეულნი იყვნენ შატო მუხრანში ქართული ღვინის დეგუსტაციაზე, რამაც სტუმრებში აღფრთოვანება და, მათივე თქმით, დაუვიწყარი ემოციები გამოიწვია. მსოფლიოს 40 ქვეყნის 150-მა მეცნიერმა საქართველო უკან დაბრუნების სურვილით დატოვა, რაც მათ მიერ კონგრესის შემდეგ გამოგზავნილ წერილებშიც ჩანს:

„ეს იყო ტრიუმფი, ბრწყინვალედ ორგანიზებული კონგრესი“, წერს თავის წერილში პროფესორი პატრიკ ჰენქსი დიდი ბრიტანეთიდან; „ჩემი გული საქართველოში დარჩა“, აღნიშნავს დოქტორი რობერტ ილსონი, ევროპის ლექსიკოგრაფთა ასოციაციის ერთ-ერთი დამაარსებელი; „დიდი მადლობა, რომ გაგვაცანით დიდი კულტურა, დიდი წარსულის ქვეყანა“, — წერს თიერი ფონტენელი.

ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობამ მადლობის წერილი გამოუგზავნა კონგრესის ორგანიზატორებს:

„ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობის სახელით მინდა მადლობა მოვახსენო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და განსაკუთრებით თქვენს ცენტრს ასეთი საოცარი კონგრესის მასპინძლობისთვის.

... კონგრესმა უდიდესი წარმატებით ჩაიარა და თქვენ და თქვენი გუნდი ძალზე უნდა ამაყობდეთ: ყველაფერი უმცირეს დეტალამდე იყო დაგეგმილი, დაწყებული კულტურული ღონისძიებებითა თუ ექსკურსიებით და დამთავრებული მოხსენებების შერჩევითა და კონგრესის ჩატარების ადგილით.

... მოუთმენლად მოველი შემდგომ თანამშრომლობას ჩვენს ორგანიზაციებს შორის. ახლა, როდესაც უკვე გაეცანით „ოქსფორდის მსოფლიო ენების“ პირველ ეტაპს, ხომ არ მიგაჩნიათ, რომ შეიძლებოდა გვეფიქრა ამ პროექტის მეორე ფაზაში ქართული ენის ჩართვაზე და თქვენი შთამბეჭდავი ინგლისურ-ქართული ლექსიკონისთვის მსოფლიო ტრიბუნის დათმობაზე? გთხოვთ მაცნობოთ, თუკი გსურთ ამის თაობაზე რამდენადმე უფრო დეტალურად ვისაუბროთ.

კიდევ ერთხელ გმადლობთ ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობისთვის ესოდენ უნიკალურ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობის მიცემისთვის“, — აღნიშნულია ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობის წერილში.

ევროპის ლექსიკოგრაფთა ასოციაციის მე-17 საერთაშორისო კონგრესის მუშაობა 5 დღე გაგრძელდა და 10 სექტემბერს დასრულდა.

ლექსიკოგრაფთა შემდეგი კონგრესი ლუბლიანაში (სლოვენია) გაიმართება.

მაია ტორაძე

თამაზ ვაშაყმაძის ჯილდო — „მთელი ცხოვრება მათემატიკის სამსახურში“

ძნელია, მათემატიკური სიზუსტით დაითვალო მისი დამსახურებები თუ ჯილდოები, მაგრამ მათემატიკის ქართველი პატრიარქისთვის ბოლო დროს მიღებული ჯილდო მართლაც განსაკუთრებულია. „მთელი ცხოვრება მათემატიკის სამსახურში“ — ასე ჰქვია საპატიო სიგელს, რომელიც ცნობილმა ქართველმა მათემატიკოსმა და პედაგოგმა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორმა, ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური მოდელირებისა და რიცხვითი მეთოდების მიმართულების ხელმძღვანელმა, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილმა წევრმა, თეორიულ და გამოყენებით მექანიკაში საქართველოს მექანიკოსთა კავშირის ერთერთმა დამფუძნებელმა და პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა, მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა, მექანიკისა და მათემატიკის ურთიერთქმედების საერთაშორისო საზოგადოების წევრმა, პრეზიდენტის ბრწყინვალებისა და ღირსების ორდენების და ივანე ჯავახიშვილის მედლების ორგ ზის კავალერმა, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ილია ვეკუას პრემიის ლაურეატმა, პროფესორმა თამაზ ვაშაყმაძემ იმისთვის მიიღო, რომ თავისი ცხოვრება სწორედ ამ დარგის განვითარებისათვის მიეძღვნა.



2016 წლის 12-14 მაისს თურქეთში გამართულ მათემატიკოსთა რიგით VI კონფერენციის საზეიმო სხდომაზე, მათემატიკოსთა საზოგადოების “MATDER”-ის ინიციატივით, თამაზ ვაშაყმაძეს გამოყენებითი მათემატიკის, კერძოდ, უწყვეტი გარემოს მექანიკის რიგ პრობლემათა გადაჭრისა და მათთვის ეფექტური და ოპტიმალური პროექციულ-სხვაობიანი მეთოდების შექმნისა და რეალიზაციის მიმართულებით გადაეცა საპატიო ჯილდო „მთელი ცხოვრება მათემატიკის სამსახურში“.

„თქვენ ძალისხმევას არ იშურებთ საერთაშორისო სასწავლო-სამეცნიერო სკოლაში მონაწილე არა მხოლოდ ქართველი, არამედ თურქი მოსწავლეებისთვის მათემატიკის შესაყვარებლად, აგრეთვე თურქი ინჟინრებისთვის სტრატეგიული თემების შეთავაზებისა და მათი მიზანმიმართულად შესწავლის მიმართულებით“, — ასე მიმართა ქართველ მეცნიერს დაჯილდოების ცერემონიაზე თურქეთის მათემატიკოსთა კავშირის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ომარ აკინმა.

აღსანიშნავია, რომ ქართველი მეცნიერის საქმიანობა დიდი ხანია გასცდა საქართველოს ფარგლებს და თამაზ ვაშაყმაძის ნაშრომებს საზღვარგარეთის ცნობილ უმაღლეს სასწავლებლებშიც იცნობენ; მათ შორის აღსანიშნავია მისი სახელმძღვანელო The Theory of Anisotropic Elastic Plates, რომელიც ორჯერ გამოიცა (1999-2010 წლებში კლიუვერსა და შპინგერის გამომცემლობათა მიერ) და რომელიც გამოყენებითი მათემატიკისა და მექანიკის დარგებში 2000-2015 წლების ბესტსელერად არის აღიარებული. იგი მსოფლიოს წამყვან უმაღლეს სასწავლებლების შესაბამის დარგებში ერთ-ერთ ძირითად სახელმძღვანელოდ ითვლება.

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში მეცნიერს მჭიდრო სამეცნიერო-პედაგოგიური ურთიერთობა აქვს თურქეთის უნივერსიტეტებთან. იგი რეგულარულად მონაწილეობს კონფერენციებში, როგორც მომხსენებელი და საორგანიზაციო კომიტეტების წევრი; სამეცნიერო სემინარების მუშაობაში; მისივე ინიციატივით, თურქი მეცნიერების მონაწილეობით შეკრებები იმართება საქართველოშიც. ამ მიმართულებით აღსანიშნავია, რომ თამაზ ვაშაყმაძის ინიციატივით, საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის მოწვევითა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით, 2015 წლის ნოემბერში თურქეთის სამოქალაქო და თავდაცვითი ავიაციის

მე-9 გვერდზე

თსუ - პირველი ქართული უნივერსიტეტი TIMES HIGHER EDUCATION-ის რანჟირებაში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველი უნივერსიტეტია საქართველოდან, რომელიც თაიმსის მსოფლიოს უნივერსიტეტების რანჟირების ჩამონათვალში (Times Higher Education World University Rankings) მოხვდა.



თაიმსის რანჟირება მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟულ რანჟირებათაგანია, რომელსაც საქმიანობის 12-წლიანი გამოცდილება გააჩნია. 2016-2017 წელს თაიმსმა მსოფლიოს 980 საუკეთესო უნივერსიტეტის ჩამონათვალი გამოაქვეყნა. ამ ჩამონათვალში თსუ 801+ ადგილს იკავებს და ერთადერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა არა მხოლოდ საქართველოდან, არამედ მთელი კავკასიის რეგიონიდან. ევროპის მასშტაბით თსუ 354-3 ადგილს იკავებს და უსწრებს ისეთ უნივერსიტეტებს, როგორიცაა კაუნასის ტექნოლოგიის უნივერსიტეტი (ლიტვა), ლონდონის სამხრეთ სანაპიროს უნივერსიტეტი და სხვა.

თსუ-მ ყველაზე დიდი შეფასება აიღო საერთაშორისო ცნობადობისა და ინდუსტრიული შემოსავლის კომპონენტში:

— საერთაშორისო ცნობადობა გულისხმობს საერთაშორისო და ადგილობრივი სტუდენტებისა და საერთაშორისო და ადგილობრივი პერსონალის რაოდენობის შეფარდებას, ასევე საერთაშორისო თანამშრომლობას.

— ინდუსტრიული შემოსავლის კომპონენტი კი — გამოგონებებისა და ინოვაციების წარმოებაში დანერგვას ქვეყნის მასშტაბით. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე გლობალურ აკადემიურ სივრცეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება უნივერსიტეტის მიერ კომერციული ბაზრის დაინტერესებას კვლევების მეშვეობით სხვადასხვა სფეროში, რაც ინსტიტუციური ხარისხის სასარგებლო მაჩვენებელია.

რანჟირების თორმეტწლიანი ისტორიის მანძილზე პირველად ლიდერი უნივერსიტეტი გახდა ოქსფორდის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი). ბოლო 5 წლის განმავლობაში რეიტინგის სათავეში კალიფორნიის ტექნოლოგიის ინსტიტუტი (აშშ) იდგა.

აღსანიშნავია, რომ წელს მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირებაში საკონკურსოდ Times Higher Education-მა კვლევითი კომპონენტის შესაფასებლად გამოიყენა უნივერსიტეტების გამოცემების რაოდენობაც. რეიტინგში აისახა მხოლოდ ის პუბლიკაციები, რომელიც Elsevier's Scopus-ის ბაზაში იძებნება.

შეფასების კრიტერიუმი 5 ძირითად სფეროს მოიცავს:

— სწავლება (სასწავლო გარემო): 30%

— კვლევა (რაოდენობა, შემოსავალი და რეპუტაცია): 30%

— ციტირება (კვლევის გავლენა): 30%

— საერთაშორისო ცნობადობა (პერსონალი, სტუდენტები და კვლევა): 7,5%

— ინდუსტრიული შემოსავალი (გამოგონებებისა და ინოვაციების წარმოებაში დანერგვა) 2,5%

მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების შეფასებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება უნივერსიტეტის საერთაშორისო რეპუტაციას, თანამშრომლებისა და სტუდენტების რაოდენობრივ შეფარდებას, სამეცნიერო კვლევების პროდუქტიულობას, რეფერირებად ჟურნალებში კვლევების გამოქვეყნებას, ციტირების ინდექსს და სხვა.

უნივერსიტეტების მონაცემების შეფასების გამოთვლის პროცესს ადასტურებს დამოუკიდებელი აუდიტი (Pricewaterhouse Coopers (PWC). მონაცემთა შეკრების პროცესში გარდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა, ჩართულნი არიან სტუდენტები და პროფესორები, რომლებიც ავსებენ სპეციალურ კითხვარს.

დენიზა სუმბაძის ანალიტიკური აქცენტები ბოლო პერიოდის სტუდენტურ აქციებზე

2016 წლის 1 აგვისტოს თსუ-ის პირველი კორპუსის 214-ე აუდიტორიაში საზოგადოებრივი გაერთიანების – „თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის“ „ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზის“ ღია სხდომაზე 2016 წლის გაზაფხულის თვეებში გამართული სტუდენტური საპროტესტო აქციების ანალიტიკური შეფასებების შემცველი მოხსენება წაიკითხა თსუ-ის მოწვეულმა პროფესორმა დენიზა სუმბაძემ. ამ ანალიტიკურ მოხსენებას თქვენ შეგიძლიათ გაეცნოთ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ ვებ-გვერდზე (newspaper.tsu.ge) რუბრიკაში – დისკუსია.

ვახტანგ ლიჩელი წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის პრემიის ლაურეატი გახდა

თსუ-ის პროფესორი, თსუ-ის არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი ვახტანგ ლიჩელი ვარშავის უნივერსიტეტის წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის პრემიის ლაურეატი გახდა.

ვარშავის უნივერსიტეტის პოტოცკების სასახლეში, 13 სექტემბერს ვარშავის უნივერსიტეტის წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის პრემიის მიმნიჭებელთა საბჭოს სხდომამ ქართველი წმინდანის პრემიის ლაურეატები დაასახელა. თსუ-ის პროფესორ ვახტანგ ლიჩელთან ერთად პრემიის ლაურეატები გახდნენ ისტორიკოსი, თბილისის გრიგოლ ფერაძის სახელობის უნივერსიტეტის დამაარსებელი და რექტორი ვახტანგ ფერაძე, გერმანელი ენათმეცნიერი და კავკასიოლოგი, ფრანკფურტის უნივერსიტეტის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, ძველი ქართული პალიმფსესტების აღმომჩენი და შემსწავლელი იოსტ გიპერტი.

ვარშავის უნივერსიტეტის წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის პრემია 2010 წლის 6 დეკემბერს ქართული სამეცნიერო ჟურნალ Pro Georgia. Journal of Kartvelological Studies University of Warsaw ინიციატივით დაწესდა და მას ორ წელიწადში ერთხელ გასცემენ. ლაურეატების დაჯილდოება 2016 წლის 6 დეკემბერს ვარშავის უნივერსიტეტის წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის კავკასიოლოგთა მე-15 საერთაშორისო კონფერენციაზე ვარშავაში გაიმართება.

თამაზ ვაშაყმაძის ჯილდო – „მთელი ცხოვრება მათემატიკის სამსახურში“

მერვე გვერდიდან

ერთ-ერთი ლიდერი, 1982-1990 წ.წ. სტენფორდის უნივერსიტეტის და NANASA-ს წამყვანი მეცნიერი, ტობის პროფესორი უნვერ კაინაკი სტუმრობდა საქართველოს. მან და თამაზ ვაშაყმაძემ საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს აკადემიის სხდომათა დარბაზში.

„ჩემი საქმიანობა თურქეთში საინტერესოა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოწვეული გახლდათ თურქი დოქტორანტი იუსუფ გულვერი, რომელიც ჩემი ნაშრომებითაც დაინტერესდა. გარდა ამისა, ჩვენვე ჩამოვაყალიბეთ „თსუ საბავშვო უნივერსიტეტის“ ფარგლებში საერთაშორისო-სამეცნიერო-სასწავლო მათემატიკური სკოლა სახელწოდებით: „ნაბიჯ-ნაბიჯ ცოდნისკენ“, სადაც მოსწავლეები თურქ და ქართველ მაღალი კვალიფიკაციის პროფესორ-მასწავლებელთა გულისხმიერი და უანგარო მოღვაწეობით ეუფლებიან მათემატიკის საფუძვლებს. ამ სკოლამ დადებითი შედეგი გამოიღო და თურქული და ქართული საზოგადოებრიობის დიდი დაინტერესება გამოიწვია. ჩემთვის პიროვნულად ძალზე მნიშვნელოვანია მომავალ თაობაზე ზრუნვა და მათი დაინტერესება მათემატიკის დარგით“, — აღნიშნავს საუბარში თამაზ ვაშაყმაძე.

განსაკუთრებით ფასეულია ქართველი მათემატიკოსის მონაწილეობა თურქ და ამერიკელ მეცნიერებთან ერთად თავდაცვისა და უსაფრთხოების განმტკიცების დარგში. ამ ხაზით შექმნეს და წარადგინეს ერთობლივი პროექტი: „უპილოტო თვითმფრინავებისთვის ფრთის გათვლის თეორია და პრაქტიკა“, რომელიც ნატოს სპეციალისტთა მიერ შეფასდა, როგორც ძალზე ორიგინალური, მაღალი დონის სამეცნიერო-სიანჟინრო პერსპექტიული მიმართულება.

თამაზ ვაშაყმაძე ამბობს, რომ თურქეთის მხარესთან ამგვარი საქმიანი ურთიერთობა გახდა მიზეზი მისი ასეთი საპატიო დაჯილდოებისა (კონკურსში 2016 წელს მონაწილეობდა 15 უცხოელი პრეტენდენტი). თამაზ ვაშაყმაძე პირველია იმ უცხოელ მეცნიერთა შორის, რომელმაც ეს საპატიო წოდება დაიმსახურა. „ეს ჯილდო არის ფაქტიურად თურქეთის მათემატიკის საზოგადოების აღიარება იმ მათემატიკური ღვაწლისა, რასაც უცხოელი მათემატიკოსები აკეთებენ, პირველ რიგში, თურქეთში ამ დარგის განვითარებისთვის, ამიტომ ჩემთვის ეს დიდი პატივია“, — აღნიშნავს მეცნიერი.

პროფესორ თამაზ ვაშაყმაძის მონაწილეობა, როგორც წარდგენის დოკუმენტაციაშია აღნიშნული, დაიწყო ანკარის ტობის უნივერსიტეტის დოქტორანტთან იუსუფ გიულვერთან სამეცნიერო ურთიერთობით. იგი გაეცნო პროფ. თ. ვაშაყმაძის მათემატიკური ფიზიკის ამოცანების მიახლოებითი ამოხსნის მეთოდებს და გამოაქვეყნა ერთობლივი სტატია, რომელმაც დააზუსტა რიგი შედეგებისა, რომელიც მიღებული იყო ლ. გეკელერის, ლ. კანტოროვიჩისა და ს. მიხლინის მიერ. ამის შემდეგ ქართველი მეცნიერი იყო მიწვეული AMAT-ის ორ კონფერენციაზე პლენარული მოხსენებებით. კუნძულ როდოსზე, ანკარის ტობის უნივერსიტეტებში გამართულ საერთაშორისო კონფერენციებში თავის მოწაფეებთან ერთად გააკეთა ორ ათეულამდე მოხსენება რიცხვით ანალიზსა და მათემატიკური ფიზიკის ამოცანების ამოხსნის პირდაპირ მეთოდებში. იუსუფ გულერთან ერთად შექმნა და დააფუძნა სკოლა ,,ნაბიჯ-ნაბიჯ ცოდნისაკენ“, რომელიც მე-5 წელია ფუნქციონირებს, სადაც ჩატარდა 11 საგაზაფხულო და საშემოდგომო სკოლები, მასში 500-მდე მოსწავლე მონაწილეობდა. ამ მიმართულებით, აღსანიშნავია თურქ მოსწავლეთა და მასწავლებელთა მონაწილეობაც. ეს სკოლა ხელს უწყობს ქართველი და თურქი მოსწავლეების სამეცნიერო-სასწავლო ხასიათის კონაქტების გაღრმავებას არა მარტო მათემატიკაში, არამედ მის გამოყენებას საინჟინრო დარგებში.

სწორედ ამ დამსახურებების შედეგი იყო ის ფაქტი, რომ თურქეთის მეცნიერების ჯგუფმა თამაზ ვაშაყმაძე ამ ჯილდოზე წარადგინა, რომლებსაც მხარი ქართველმა მათემატიკოსებმაც დაუჭირეს. კონკურსის მნიშვნელობასა და პრესტიჟზე მიუთითებს თურქეთის მხარის აქტიური რეაქცია. უნდა აღინიშნოს, რომ საზეიმო სხდომისა და დაჯილდოების ცერემონია თურქეთის ტელევიზიის თითქმის ყველა ოფიციალური არხით გადაიცა.

თამაზ ვაშაყმაძე მადლიერებით აღნიშნავს, რომ მის მოღვაწეობას უკანასკნელ პერიოდში სამეცნიერო-სასწავლო დარგების განვითარების მიმართულებით ხელს უწყობდა ყოფილი რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა და თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი დარეჯან თვალთვაძე, რასაც დადებითი შედეგები მოჰყვა. პროფესორ უ. კაინაკისა და პროფ. თ.ვაშაყმაძის აზრით, ის ფაქტი, რომ თურქეთს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების დეპარტამენტსა (Tubitak) და რუსთაველის სამეცნიერო ეროვნულ ფონდს შორის დაიდო საგრანტო ხელშეკრულება, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა დარგებში თანამშრომლობას, გარკვეულწილად, ხელი შეუწყო ქართველი და თურქი მეცნიერების ერთობლივმა მოღვაწეობამაც.

როგორც ცნობილი გახდა, მიმდინარე წლის 3-6 ოქტომბერს ქ. ანკარაში „თურქეთის ახალი სტრატეგიული კვლევის ცენტრის” მიერ გაიმართება საერთაშორისო კონფერენცია მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში. კონფერენციის ჩატარებას, როგორც აღნიშნავს ცენტრის პრეზიდენტი პროფ. ჰ. სელალ გიუზლი, გარდა მრავალი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისა, გამორჩეულად მხარს უჭერს თურქეთის პრეზიდენტი რ. ერდოღანი, თურქეთის მთავრობის სახელით პრემიერ-მინისტრი ბ. იულდემირი, ასევე მეცნიერების, ინდუსტრიისა და ტექნოლოგიის მინისტრი ფაკურ იოზლუ. თამაზ ვაშაყმაძის მონაწილეობა განაპირობა ორგანიზატორების მიერ მისი შედეგების უშუალოდ გამოყენების ინოვაციურმა პერსპექტივამ ახალი მათემატიკური მოდელების და მათი შესაბამისი ტექნოლოგიის შექმნისა და ფუნქციონირების მიმართულებით უპილოტო საფრენი აპარატებისა და მილსადენების მშენებლობაში.

შურთხია ბერეშვილი

თსუ-ის კიდევ უფრო მეტ სტუდენტს ექნება საშუალება უფასოდ ისწავლოს პარტნიორ ევროპულ უნივერსიტეტებში

მიმდინარე სასწავლო წელს, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებიდან ყველაზე მეტი სრულად ანაზღაურებული მობილობა — 300-ზე მეტი დაფინანსებული საერთაშორისო გრანტი — სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოიპოვა ახლად შექმნილი ერაზმუს + საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროგრამის ფარგლებში, რაც თსუ-ის საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის წარმატებულ საქმიანობასა და საგანმანათლებლო პროგრამების, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მომზადების მაღალ ხარისხზე მეტყველებს.

ერაზმუს მუნდუსისა და ერაზმუს + პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პარტნიორობის შესახებ გვესაუბრება თსუ-ის საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი, თეა გერგედავა:

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე ათეული წელია წარმატებულად ხორციელდება ევროკომისიის მიერ დაფინანსებული თანამშრომლობისა და მობილობის პროგრამები. მიმდინარე წელს კი ხელთ გაქვთ 300-ზე მეტი დაფინანსებული გრანტი. გვიამბეთ, როგორ დაიწყო ეს თანამშრომლობა?

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის კოორდინირებით 2007 წელს შეუერთდა ევროპული უნივერსიტეტების პირველ კონსორციუმს, რომელიც ყველა საფეხურის სტუდენტებისა და პერსონალის სრულად დაფინანსებულ მობილობებს ახორციელებდა პარტნიორ უნივერსიტეტებში. აღნიშნული პროგრამა მოიცავდა უფასო სწავლას, ყოველთვიურ სტიპენდიას, მგზავრობისა და საერთაშორისო დაზღვევის ხარჯების ანაზღაურებას.

ზოგადი ინფორმაციისთვის, 2006 წლიდან დღემდე, ათწლიან მონაკვეთში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 872 სტუდენტს მისცა შესაძლებლობა უფასოდ ესწავლა ევროპის საუკეთესო უნივერსიტეტებში, სწავლების სხვადასხვა საფეხურზე. გასულ სასწავლო წელს, თსუ-ის 200-ზე მეტმა სტუდენტმა მიიღო მობილობაში მონაწილეობა და მოიპოვა იტალიის, ფინეთის, საფრანგეთის, ესპანეთის, გერმანიის, პორტუგალიის, ევროპის სხვა ქვეყნებისა და ჩინეთის უნივერსიტეტებში სწავლის უფლება.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლიდან თსუ-ის კიდევ უფრო მეტ სტუდენტს ექნება საშუალება უფასოდ ისწავლოს პარტნიორ ევროპულ უნივერსიტეტებში. 2018 წლის ჩათვლით განხორციელდება მობილობები ევროპის 19 ქვეყნის 45 წამყვან უმაღლეს დაწესებულებასთან. ეს კი დაახლოებით, 300-ზე მეტი დაფინანსებული საერთაშორისო გრანტია, რომელიც გულისხმობს 270-მდე სტიპენდიას სტუდენტებისთვის, ხოლო დანარჩენს თსუ-ის პროფესორებისა და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლებისთვის.

— რის საფუძველზე ხდება აპლიკანტების შერჩევა?

— კონკურსანტის შერჩევის კრიტერიუმები გამჭვირვალე და სამართლიანია, რაც რეგულირდება ევროკომისიის ინსტრუქციებით. გრანტის მიღების მსურველთათვის კონკურსის შესახებ ინფორმაცია თსუ-ის ვებ-გვერდსა და საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის Facebook-ის გვერდზე ვრცელდება. გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისთვის, სხვა მოთხოვნებთან ერთად, აუცილებელია, აპლიკანტი ფლობდეს B2 დონეზე ერთ-ერთ ევროპულ ენას. ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატის აღება შესაძლებელია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის, საგამოცდო და ენების ცენტრის მიერ ერთობლივად ორგანიზებული ენის ინსტიტუციონალური ტესტის ჩაბარების შედეგად.

მიმდინარე სასწავლო წელს აღნიშნული ტესტის ჩატარება უცხო ენაში იგეგმება 12 ოქტომბერს. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, კონკურსში მონაწილეობის მსურველთა რიცხვი რამდენიმე 1000 სტუდენტს აღემატება, რაც ერთ ადგილზე 4-5 კონკურსანტს ნიშნავს, დამეთანხმებით, საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

წელს მობილობა პარტნიორ უნივერსიტეტებში ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ ენებზე განხორციელდება. მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტი რეგისტრირდება აღნიშნულ პროგრამაზე და პარალელურად აბარებს გამოცდას უცხო ენაში.

— თანამშრომლობისა და მობილობის პროგრამა ერაზმუს მუნდუსისა და ერაზმუს + პარტნიორები ევროპის წამყვანი უნივერსიტეტეტები არიან, სადაც სწავლებისა და მეცნიერული კვლევების უმაღლესი სტანდარტებია. როგორ ართმევს თავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ასეთ პასუხისმგებლობას?

— 2007 წელს, სულ ერთი კონსორციუმის წევრი ვიყავით, 2012-2017 წლებში კი, 6 კონსორციუმის წევრი ვართ, მათ შორის 3 პროექტის თანაკოორდინატორი. თითო კონსორციუმის ბიუჯეტი დაახლოებით 3 მილიონამდეა. გეთანხმებით, ეს მართლაც დიდი პასუხისმგებლობაა არაევროპული უნივერსიტეტისთვის. თუმცა, როგორც ჩანს, გავამართლეთ ევროპელების მოლოდინი, რის საფუძველზეც 2015 წელს ახალი ერაზმუს + პროგრამის ფარგლებში 38, ხოლო 2016 წელს 45 ევროპულ უნივერსიტეტთან დაგვიფინანსდა ასეულობით მობილობა ყველა საფეხურის სტუდენტებისა და პერსონალისთვის.

რა თქმა უნდა, მობილობის რაოდენობის ზრდასთან ერთად იზრდება თსუ-ის, როგორც მშობლიური უნივერსიტეტის, პასუხისმგებლობა მობილობის მომზადებისა და იმპლემენტაციის პროცესში. მათ შორისაა: ღია კონკურსებისა და უცხო ენების ტესტირების დაგეგმვა-გამოცხადება-ადმინისტრირება, სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევა, სასწავლო ხელშეკრულებების მომზადება, დაგროვილი კრედიტების ტრანსფერი...

— თვითონ ამ პარტნიორი უნივერსიტეტებიდან თუ ხდება მობილობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში?

— რა თქმა უნდა, ეს მობილობა ორმხრივია. ბუნებრივია, უცხოენოვანი კურსების სიმცირის სტუდენტებს, იმავე რაოდენობით ვერ მივიღებთ, რასაც ვაგზავნით, თუმცა წელს 45 სტუდენტს ველით, რაც წინა წლებთან შედარებით მაღალი მაჩვენებელია.

— გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტები, მობილობის დასრულების შემდეგ ისევ თსუ-ს უბრუნდებიან?

— დიახ, რა თქმა უნდა. სტუდენტები უნივერსიტეტში ბრუნდებიან, ევროპულ უნივერსიტეტში დაგროვილი კრედიტების აღიარებას ახდენენ (ზოგჯერ სრულად, ზოგჯერ ნაწილობრივ) და სწავლას აქ ასრულებენ.

— საინტერესოა, სხვა ქართულ უნივერსიტეტებში თუ ხორციელდება ეს პროგრამები?

— დიახ, ხორციელდება. საქართველო ზოგადად მოპოვებული სტიპენდიების მიხედვით მე-5 ადგილზეა. ამ პროგრამის ფარგლებში, მიმდინარე წელს ქართული უნივერსიტეტებისთვის 600-ზე მეტი სტიპენდია გაიცა. სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა აქედან 300-მდე სტიპენდია და უფრო მეტი გრანტი მოიპოვა, ვიდრე ბელორუსიის ყველა უნივერსიტეტმა.

თამარ დადიანი

სტუდენტთა საერთაშორისო საზაფხულო სკოლა ლაგოდეხში

25 ივლისიდან 5 აგვისტომდე ლაგოდეხში ულამაზესი დაცული ტერიტორიების მიმდებარე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ბაზაზე გაიმართა სტუდენტთა საერთაშორისო საზაფხულო სკოლა ენათმეცნიერებაში (EGG), რომელსაც ესწრებოდა 102 სტუდენტი მსოფლიოს 75 ქვეყნიდან. სკოლის ორგანიზატორები იყვნენ ტობიას შეერი (ნიცა, საფრანგეთი) და ჰედე ზაილსტრა (გოტინგენი, გერმანია). თანამედროვე ლინგვისტიკის აქტუალურ საკითხებზე ლექციებს კითხულობდა 12 პროფესორი სხვადასხვა უნივერსიტეტიდან: რობერტა დ'ალესანდრო (ლაიდენი, ჰოლანდია), ჯორჯ ვოლკდენი (მანჩესტერი, ინგლისი), ნომამ ფაუსტი (იერუსალიმი, ისრაელი), კლემენს მაიერი (ბერლინი, გერმანია), ვიოლა შმიდტი (ვენა, ავსტრია), მაქსიმ პაპილონი (მერილენდი, აშშ), სილკე ჰემანი (ამსტერდამი, ჰოლანდია), ევა დეკანი (ბუდაპეშტი, უნგრეთი), მარსელ დენ დეკენი (ლოს-ანჯელესი, აშშ), იასუ სუდო (ლონდონი, ინგლისი). ლექციები მიმდინარეობდა ყოველდღე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ თსუ-ის დაფინანსებით სკოლის მუშაობაში მონაწილეობის მიღების საშუალება მიეცათ უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის დოქტორანტებსა და მაგისტრანტებს: ანა კოლხიდაშვილს, ქეთი ჭილაიას, მარიამ ნავაძეს, მარიამ მათიაშვილს, ნათია კენჭიაშვილს, ელენე ქადაგიშვილს, მარიამ რუხაძეს, სალომე ქობალიას, ანა ვარდოსანიძეს. გამოჩენილი მეცნიერების ლექციების მოსმენა, თანატოლებთან კონტაქტების დამყარება უდავოდ სასარგებლო იყო ჩვენი სტუდენტებისთვის.

მსგავსი მასშტაბის საზაფხულო სკოლა საქართველოში პირველად გაიმართა. სკოლის ორგანიზებაში დიდი წვლილი შეიტანეს: ლაგოდეხის კლინიკის „კელაპტარი" ხელმძღვანელმა გია ლობჟანიძემ და მთელმა მედ-პერსონალმა, რომლებიც 2 კვირის მანძილზე ზრუნავდნენ სკოლის მონაწილეთა ჯანმრთელობაზე, ლაგოდეხის გამგეობისა და მუნიციპალიტეტის კულტურის თანამშრომლებმა - ნინო ბეზარაშვილმა, ვალერი ოღიაშვილმა, დიმიტრი ზურაბაშვილმა და სხვ., ლაგოდეხის ნაკრძალისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არაჩვეულებრივმა მუშაკებმა, ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებმა, საბალეტო სკოლის მოსწავლეებმა, მუსიკალური სკოლის დირექციამ, ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლებმა, ფეხბურთის ფედერაციის ბაზის თანამშრომლებმა, ერთი სიტყვით, მთელი ლაგოდეხის მოსახლეობა ორი კვირის განმავლობაში ცხოვრობდა და სუნთქავდა საზაფხულო სკოლის ცხოვრებით.

ალბათ, ამის გამოა, რომ სკოლის ხელმძღვანელობამ სპეციალური მადლობის წერილით მიმართა მათ და დახურვის ცერემონიალზე აღინიშნა, რომ მანამდე ჩატარებულ 23 სკოლასთან შედარებით ლაგოდეხის საზაფხულო სკოლას ბადალი არ ჰყოლია, რომ მას ჰყავდა "ყველა დროის საუკეთესო ორგანიზატორები". მადლიერების წერილების მიღება დღემდე არ წყდება. და მართლაც, ლაგოდეხის ულამაზესმა მთებმა, ლაშქრობამ ჩანჩქერზე, კამკამა ხევებმა, ექსკურსიებმა ნეკრესში, გრემსა და ყვარელში, საღამოობით გამართულმა ღვინის ფესტივალმა, კოქტეილისა და მარცვლეულის წვეულებებმა, ლუდსახარშში სტუმრობამ, ფეხბურთსა და კალათბურთში ლაგოდეხელთა ნაკრებებისა და სტუდენტთა "საერთაშორისო" გუნდების შეხვედრებმა წარუშლელი მოგონებები დაუტოვა ყველას. იმედია, მსგავსი სკოლები მომავალშიც გაიმართება.

საქართველოს მხრიდან საერთაშორისო საზაფხულო სკოლის საორგანიზაციო კომიტეტის წევრები, თსუ-ის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორები: რუსუდან ასათიანი, მარინე ივანიშვილი, ივანე ლეჟავა, დოქტორანტი ანა კოლხიდაშვილი

გზავნილი ადმინისტრაციას

რა უსამართლო კონკურსზე საუბრობს და რას ითხოვს ვახტანგ ჭარაია

თსუ-ის ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის ხელმძღვანელი ვახტანგ ჭარაია თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს უსამართლო აკადემიური კონკურსის ჩატარებაში ადანაშაულებს. ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ჩატარებულ კონკურსში ვახტანგ ჭარაია მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის მიმართულებით იღებდა მონაწილეობას. მის კანდიდატურაზე უარის თქმის საფუძვლად კომისიის დასკვნაში მითითებულია შემდეგი: „პრეტენდენტს აქვს ვაკანსიის პროფილის შესაბამისი პედაგოგიური გამოცდილება, თუმცა არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია სასწავლო მეთოდურ საქმიანობასთან დაკავშირებით. ვახტანგ ჭარაიას სამოტივაციო წერილის დიდი ნაწილი ეთმობა მის გამოცდილებას, მას აქვს მაღალი აქტივობა სხვადასხვა ღონისძიებებში, რაც საკონკურსო კომისიის მიერ შეფასდა დადებითად, თუმცა სამოტივაციო წერილში არ ჩანს, თუ რატომ აირჩია პრეტენდენტმა მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის პროფილი. შესაბამისად, არ იკვეთება მისი მოტივაცია - დაიკავოს ამ მიმართულებით ვაკანტური თანამდებობა. ამასთანავე, ვ. ჭარაიას მიერ შესაფასებლად წარმოდგენილ ნაშრომებთან დაკავშირებით საკონკურსო კომისიამ აღნიშნა, რომ სტატიას აქვს სათანადო მეცნიერული ღირებულება, მაგრამ არ შეესაბამება „მენეჯმენტის“ პროფილს. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკონკურსო კომისიამ ვ. ჭარაიას კანდიდატურის მიმართ მიიღო უარყოფითი გადაწყვეტილება აკადემიური თანამდებობის დაკავების შესახებ“.

ვახტანგ ჭარაია აცხადებს, რომ მისი კანდიდატურა და წარდგენილი დოკუმენტები, მათ შორის, სამეცნიერო სტატიებიც შეესაბამებოდა მენეჯმენტისა და ადმინისტრირების პროფილს. პარალელურად, მან გაავრცელა განცხადებაც, სადაც საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებას უსამართლოს უწოდებს. დოკუმენტში მოყვანილია შესაბამისი არგუმენტებიც, რის საფუძველზეც თსუ-ის ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის ხელმძღვანელი აკადემიურ კონკურსს ასეთ შეფასებას აძლევს:

უსამართლო კონკურსი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე

გვესაუბრება ვახტანგ ჭარაია

ადამიანისთვის, რომელიც დაიბადა და გაიზარდა საქართველოს ფარგლებს გარეთ და მხოლოდ 18 წლის ასაკში დაუბრუნდა ქვეყანას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პატივისცემის მოპოვებასა და ადგილის დამკვიდრებას თავის სამშობლოში. ამ მიზნის მისაღწევად არც თავის დაზოგვა არის გამართლებული და არც სიმართლის დათმობა, მით უმეტეს, თუ ზურგს პატიოსნება, გამოცდილება და კვალიფიკაცია გიმაგრებს.

2016 წლის შემოდგომაზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსზე ამავე ფაკულტეტის დეკანის ხელმძღვანელობით მოხერხდა და ჩატარდა იმდენად უსამართლო კონკურსი, რომლის მსგავსი უკვე „ბანანის რესპუბლიკებშიც“ კი არ იმართება.

ფაკულტეტმა 4 ხმით 1-ის წინააღმდეგ დაიწუნა კანდიდატი ასისტენტ-პროფესორის ვაკანსიაზე, რომელიც ამ კონკურსის ერთ-ერთი ფავორიტი გახლდათ; დაიწუნა კანდიდატი, რომელსაც სხვადასხვა დროს უსწავლია და უმუშავია ისეთ უნივერსიტეტებში, როგორიცაა: ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტი, ტარტუს უნივერსიტეტი, ბრემენის უნივერსიტეტი, პასსაუს უნივერსიტეტი, პეტერბურგის ევროპული უნივერსიტეტი და მრავალი სხვა; დაიწუნა ადამიანი, რომელიც 29 წლის ასაკში ეკონომიკის აღიარებული ექსპერტია საერთაშორისო ორგანიზაციების დონეზე და შესაბამისი მოწვევები აქვს ისეთი მნიშვნელოვანი ორგანიზაციებიდან, როგორიცაა მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი; დაიწუნა ადამიანი, რომელსაც მოპოვებული აქვს ათეულობით სხვადასხვა ქვეყნების და ორგანიზაციების ჯილდოები, გრანტები და სტიპენდიები; ბოლოს და ბოლოს, დაიწუნა ადამიანი, რომელიც თავისი პატიოსანი შრომით მთელი თავისი ცხოვრება ემსახურება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერესებს.

ზოგიერთმა შეიძლება გაიფიქროს და მართალიც იქნება (კონკურსი ხომ ყოველთვის — შედარებითობაა). დიახ, სწორედ ამაზე მაქვს საუბარი, რომ ჩემს კონკურენტთან შედარებით (რომელსაც თავის გზაზე წარმატებებს ვუსურვებ) აშკარა და თვალნათელი უპირატესობა გამაჩნდა:

ა) სტატიებში, როგორც რაოდენობრივად (33 სტატია 16-ის საწინააღმდეგოდ), ასევე ხარისხობრივად, მათი პუბლიკაციის ადგილებიდან გამომდინარე. კერძოდ, სტატიები გამოქვეყნებული მაქვს ევროპულ და ამერიკულ რეიტინგულ გამოცემებში, მათ შორის, მსოფლიოში ცნობილი საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით.

ბ) გამაჩნდა ციტირების ინდექსი 6 ერთეულის ოდენობით, რომელიც საკმაოდ იშვიათია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე და სულ რამდენიმე პროფესორს გააჩნია. სამწუხაროდ, ჩემი კონკურენტის ციტირების ინდექსი — 0-ის ტოლია;

გ) მოზიდული მქონდა 16 გრანტი, ჩემს კონკურენტს კი მონაწილეობა მიღებული ჰქონდა 1 საგრანტო პროექტში ბოლო 6 წლის განმავლობაში; უფრო მეტიც, ჩემ მიერ უნივერსიტეტში მოზიდული საგრანტო პროექტების წყალობით საზღვარგარეთ სასწავლებლად და სხვადასხვა კონფერენციებზე გაემგზავრა ათეულობით თსუ-ის სტუდენტი. ამჟამად თსუ-ის 3 პროფესორთან და 15 სტუდენტთან ერთად ვმუშაობთ მიმდინარე საგრანტო პროექტზე, რომელიც მნიშვნელოვან პროექტს წარმოადგენს ეროვნულ დონეზე.

დ) საერთაშოროსო კონფერენციების ორგანიზება და მონაწილეობის გამოცდილება მიმიღია მსოფლიოს ყველა კონტინენტზე, ათეულობით ქვეყანაში, რაშიც ჩემი კონკურენტი პრაქტიკულად გამოუცდელია; უფრო მეტიც, მოხსენებები მაქვს განხორციელებული მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მრავალი სხვა უმაღლესი დონის სამეცნიერო და პრაქტიკულ ღონისძიებებზე, რაც უკიდურესი იშვიათობაა არათუ თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დონეზე, არამედ ქვეყნის მასშტაბით.

ე) მაქვს კავშირები მრავალ საერთაშორისო ორგანიზაციასთან და უნივერსიტეტთან, რომელსაც ვიყენებ ჩვენი უნივერსიტეტის საკეთილდღეოდ და რომელიც არ გააჩნია ჩემს კონკურენტს; აქტიურად ვთანამშრომლობ 10-ზე მეტ სამეცნიერო ცენტრთან მსოფლიოს მასშტაბით, მათ შორის ჰარვარდის ბიზნეს სკოლასთან და ჯორჯ ვაშინგტონის

ვახტანგ ჭარაია

უნივერსიტეტთან, რომელთან ურთიერთობაც თავად განსაზღვრავს ჩემი შესაძლებლობების ხარისხს.

ვ) ვარ თსუ-ის მიერ დაფუძნებული ანალიტიკური ცენტრის ხელმძღვანელი და ვასახელებ ჩემს უნივერსიტეტს ყველა შესაძლო გზით, მათ შორის მედია სივრცეშიც, მაღალხარისხიანი პროდუქტის მიწოდების გზით. ხელს ვუწყობ ფაკულტეტის სტუდენტების პრაქტიკულ განვითარებას, მათ დასაქმებას, სტაჟირებას, კონფერენციებში მონაწილეობას, საზღვარგარეთ მივლინებებს, მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეებთან და საერთაშორისო ორგანიზაციების მმართველებთან შეხვედრების ორგანიზებას და მრავალ სხვა ღონისძიებებს, რისთვისაც აბსოლუტურად არავითარ ანაზღაურებას არც აქამდე ვითხოვდი უნივერსიტეტისგან და არც მომავალში ვაპირებ. ამ ყველაფრის პრაქტიკული გამოცდილება არათუ ჩემს კონკურენტს (არ მომერიდება და ვიტყვი), არამედ მთლიანად ფაკულტეტს არ გააჩნია, როგორც ერთიან ადმინისტრაციულ ერთეულს (საუბარი არ მაქვს ცალკეული პროფესორების ინდივიდუალურ აქტიურობაზე).

ზ) გამაჩნდა უმაღლესი შეფასება უნივერსიტეტის სტუდენტების მხრიდან — 5.0., რაც უიშვიათესი შემთხვევაა ფაკულტეტის მასშტაბით და, რა თქმა უნდა, ჩემს კონკურენტს სტუდენტების მიერ მათი ლექტორისადმი გამოხატული სიყვარულითაც ვჯობნი, რაც შესაბამის ქულებშია გამოსახული. და ეს ყველაფერი არ არის...

მოხარული ვარ აღვნიშნო, რომ მქონდა ბედნიერება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის მომეპოვებინა ჰარვარდის ბიზნეს-სკოლის სტრატეგიისა და კონკურენტუნარიანობის ინსტიტუტის პროექტი, რომელმაც გზა გაუხსნა ჰარვარდის ბიზნეს-სკოლაში აკრედიტირებული რამდენიმე კურსის წაკითხვას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და რომელიც „დიდი მონდომებით“ და კანონდარღვევით უარყოფილ იქნა უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მხრიდან, ფაკულტეტის დეკანის აბსოლუტურად გაუგებარი განმარტებით, რომ ჰარვარდის ბიზნეს-სკოლის კურსი „იყო სუსტი კურსი“, რაც, თავად განსაჯეთ, საკითხისადმი რამდენად ჯანსაღ მიდგომაზე მიუთითებს... დეკანის თემურ ბერიძის მოსაზრებით, ჰარვარდის უნივერსიტეტში უნდა გამეგზავნა წერილი, სადაც მე, როგორც თსუ-ის ლექტორი, ვიწუნებდი მათ კურსს და მას „სუსტ კურსად“ მოვიხსენიებდი. ჩემთვის მსგავსი დამოკიდებულება მიუღებელია და მე ამ საკითხის სასამართლოს გზით ვაპირებ გასაჩივრებას, რადგანაც დაირღვა ამერიკელებთან დადებული კონტრაქტის პირობები და აგრეთვე შეურაცხყოფილ იქნა ჩემი პირადი დამსახურება მოცემული შესაძლებლობის მოპოვების ნიველირებით, არადა აღნიშნული პროექტის ფარგლებში საჭირო იყო მხოლოდ და მხოლოდ 3 საათის დათმობა არჩევითი საგნის დასარეგისტრირებლად (ყველანაირი სხვა წინაპირობის გარეშე).

და ბოლოს, შეგახსენებთ, რომ ჩემ მიერ ზემოთ ჩამოთვლილ და კიდევ სხვა მრავალ უპირატესობას ჩემს კონკურენტთან მიმართებაში, რაც, ჯამში, 363 გვერდიან აპლიკაციაში გამოიხატებოდა სერტიფიკატების, დიპლომების, ჯილდოების და სხვა დოკუმენტაციის სახით, შესაბამისმა კომისიამ კატეგორია — საშუალო — მიანიჭა. ხოლო ჩემს კონკურენტს კი, რომელსაც ჩემთან შედარებით რაოდენობრივადაც და ხარისხობრივადაც ბევრად ცოტა და ნაკლები ღირებულების საბუთები გააჩნდა, მიანიჭა კატეგორია — მაღალი, რისთვისაც იგი არჩეულ იქნა მოცემულ ვაკანტურ ადგილზე, ასისტენტ-პროფესორის პოზიციაზე.

საუბარიც კი ზედმეტია იმაზე, რომ კომისიამ მისი უსამართლო გადაწყვეტილების გასამართლებლად შესაბამის დასკვნაში მოიყვანა სრულიად აბსურდული ახსნა-განმარტება ჩემი სტატიის არამიზნობრიობასთან და მოცემული ვაკანტური ადგილის დაკავების მოტივაციის არქონასთან დაკავშირებით. ეს ახსნა-განმარტება შემდგომი გასაჩივრების შემდეგაც სააპელაციო კომისიამ უცვლელი დატოვა.

ჩემი დასკვნით, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესურა, რომელიც, ერთი შეხედვით, მომავალი თაობების გამზრდელად და ხელისშემწყობად უნდა გვეგულებოდეს, მათი ჩაგვრისკენაა მიდრეკილი. რა თქმა უნდა, ამ სიტყვებში ყველა პროფესორი არ მოიაზრება, თუმცა სამწუხარო ფაქტია, რომ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესიონალი კადრების ნაკლებობაა და ორიენტირი — არა საქმესა და ხარისხზეა, არამედ ერთმანეთთან ბრძოლასა და კონკურენტების განადგურებაზე. ეს სამწუხარო რეალობაა.

მოვუწოდებ აკადემიურ საბჭოს, მოითხოვოს ხელახალი კონკურსის ჩატარება კონკრეტულად ჩემი მიმართულებით, ახალი და სანდო კომისიის მოწვევით, რომელიც დაკომპლექტებული იქნება არა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორების მიერ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვაპირებ, აღნიშნული გადაწყვეტილება გავასაჩივრო სასამართლოს გზით და გავაშუქო მოცემული საკითხი მედია სივრცეში.

წარმატებებს ვუსურვებ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს!

P.S. ვახტანგ ჭარაიას მიერ გავრცელებული განცხადების თაობაზე კომენტარი ვთხოვეთ თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი კომისიის თავმჯდომარეს, ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ თეიმურაზ ბერიძეს, თუმცა მან საკუთარი პოზიციის დაფიქსირებაზე უარი განაცხადა.

რაც შეეხება თსუ-ის ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის ხელმძღვანელის ვახტანგ ჭარაიას განცხადებას, ჩვენ მას უცვლელად გთავაზობთ.

ნატო ობოლაძე

თვალსაზრისი

გილდა სიხარულიძე: განათლების სისტემის რაციონალურ რეფორმას თან უნდა ახლდეს ჯანსაღი კონკურენცია

განათლების სისტემაში რომ ბევრი რამ არ არის კარგად, ამაში უკვე ეჭვი არავის ეპარება; არა და კარგად გვახსოვს, თუ როგორ კადრებს ზრდიდა უნივერსიტეტი თავის დროზე თითქმის ყველა სფეროში. ეს კადრები დღესაც წარმატებით მუშაობენ ამერიკაში, ინგლისში, გერმანიაში, რუსეთში და კიდევ სხვაგან. განსაკუთრებული მოთხოვნა ყოველთვის იყო ფიზიკოსებზე. დღევანდელი გადასახედიდან კარგად ჩანს, რომ მთავარი შეცდომა, რასაც ადგილი ჰქონდა განათლების სისტემის რეფორმის დროს, იყო ის, რომ არ ჩატარდა არსებული ტრადიციების სერიოზული გადასინჯვა, შეფასება და ანალიზი. შედეგად კი მივიღეთ ის, რომ დაინგრა სკოლა, მოიშალა სასწავლო პროცესი და განადგურდა მეცნიერება.

უკანონოდ ჩატარებულმა კონკურსებმა უნივერსიტეტის გარეთ დატოვა ბევრი ისეთი მეცნიერი და პედაგოგი, რომელთაც შეეძლოთ ყოველ დროს და ყველა დონეზე დაეცვათ და შეენარჩუნებინათ უნივერსიტეტის ღირსება და ავტორიტეტი. სწავლების ხარისხზე პასუხისმგებლობა აიღეს სრულიად ახალგაზრდა და გამოუცდელმა კადრებმა, რომელთაგანაც ზოგი, რაღა დასამალია და, ერთი ლექციით ძლივს უსწრებდა წინ სტუდენტებს თავისი საგნის ცოდნაში. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, არავის გაახსენდა, რომ უნივერსიტეტს ყველა სფეროში გააჩნდა კვლევის თავისი გამოცდილება და სწავლების საკუთარი მეთოდიკა, რომ ჩვენთან არსებობდა ბრწყინვალე სკოლები ფიზიკაში და მათემატიკაში, გაგვაჩნდა კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის საჭირო ბევრი საინტერესო ტრადიცია; ფიზიკის ფაკულტეტზე წლების მანძილზე ფილოსოფიის კურსი იკითხებოდა პროფილის მიხედვით და სისტემატურად ტარდებოდა სტუდენტთა საკავშირო კონფერენციები „მეცნიერების ფილოსოფიის“ საკითხებზე. უაღრესად საინტერესო კვლევები არსებობდა აზროვნების დიალექტიკის საკითხთა სფეროში, რასაც საფუძველი ჩაუყარეს ა. რაზმაძემ, ლ. გოკიელმა, ს. წერეთელმა, კ. ბაქრაძემ, ზ. კაკაბაძემ და სხვებმა. აი რას წერდა გ. ჭოღოშვილი ამ პერიოდზე: „ანდრია რაზმაძის მოწაფემ ლ. გოკიელმა ღირსეულად ჩაიბარა მისგან უმნიშვნელოვანესი საუნივერსიტეტო კურსის „სიმრავლეთა თეორიის დაფუძნების საკითხების“ ხელმძღვანელობა... მე მქონდა ბედნიერება ვყოფილიყავი მისი სტუდენტი.... არაჩვეულებრივად მომხიბლავი გახდა მაშინ ჩემთვის მათემატიკური ცნებები, ჩვენ ვხედავდით მათში გაცილებით მეტს, ვიდრე არიან ისინი წმინდა მათემატიკური აზრით... ეს იყო პრობლემატიკა, რაზეც მუშაობდნენ მათემატიკის უკვე სახელმოხვეჭილი წარმომადგენლები: პუანკარე და პეანო, უაიტხედი, რასელი და სხვ. ჩვენ გატაცებით ვკითხულობდით ყოველგვარ წიგნებს, ვეცნობოდით ცნობილ უცხოელ ავტორებს და გვახარებდა ის, რომ ანდრია რაზმაძის მოწაფის ახსნა-განმარტება და მიდგომა ყოველთვის უფრო ღრმა და ამომწურავი იყო, ვიდრე უცხოელი ცნობილი ავტორების“. ასეთივე თბილი და შემოქმედებითი მომენტებით იყო სავსე ს. წერეთლის კონტაქტები ლ. გოკიელთან, ხოლო კოტე ბაქრაძის მოწაფემ, ზურაბ კაკაბაძემ, სრულიად ახლებურად, შემოქმედებითად და უაღრესად საინტერესოდ მოახდინა ჰუსერლის ფენომენოლოგიის ინტერპრეტაცია; ეს აღარ იყო მხოლოდ ჰუსერლი, ეს იყო გაცილებით მეტი და ძალიან საინტერესო. ვფიქრობ, რომ უნივერსიტეტმა არ უნდა დაუკარგოს ყოველივე ეს ჩვენს ახალგაზრდებს.

ასევე, ფიზიკის ფაკულტეტზე, ვ. მამასახლისოვის და მ. მირიანაშვილის ხელმძღვანელობით ფუნქციონირებდა „მეცნიერების ფილოსოფიის“ მუდმივმოქმედი სემინარი, რომელზეც ასევე, დროის მოთხოვნების მიხედვით, მსგავსად მათემატიკოსებისა, განიხილებოდა ფიზიკის დაფუძნების საკითხები. ამ სემინარზე ერთმანეთის გვერდით მუშაობდნენ საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული დარგების ყველაზე ძლიერი წარმომადგენლები. აქ იკითხებოდა ლექციები ეთიკაში, ესთეტიკაში, ხელოვნების სფეროდან და მიმდინარეობდა ინტეგრირებული ცნობიერების ფორმირების სფეროს სერიოზული კვლევა და ანალიზი. ეს არის პრობლემა, რომელიც დღეს აქტიურად წამოწია წინ ჩვენმა ეპოქამ და განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში დააყენა რეფორმებმა განათლების სისტემაში.

აქ, ამ სემინარზე წაიკითხა თავის დროზე ლექცია ნილს ბორმა, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა ქართველი ფიზიკოსების მუშაობას. უნდა აღინიშნოს, რომ იმავე პერიოდში ბორი მიწვეული იყო რუსეთშიც, მაგრამ დროის უქონლობის გამო ორივე ქვეყანაში ვიზიტს ვერ ასწრებდა და მან საქართველო აირჩია. მაშინ ბორმა ძალიან საინტერესო ლექცია წაიკითხა ფიზიკის დიდ აუდიტორიაში, სადაც საკუთარი ხელით დაწერა დაფაზე თავისი მთავარი პოზიცია ფიზიკაში მომხდარი რევოლუციური აღმოჩენების პროგრესული ფილოსოფიური ინტერპრეტაციის შესახებ. შემდეგ ფიზიკოსებმა ამოჭრეს დაფიდან ეს წარწერა, ჩასვეს ჩარჩოში და დაკიდეს ფიზიკის დიდი აუდიტორიის კედელზე, იმის დასაფიქსირებლად, რომ აქ, ამ აუდიტორიაში ბორმა წაიკითხა ლექცია და დაწერა დაფაზე საუკუნის ფრაზა: მომავლის თვისებრივად ახალი მსოფლმხედველობრივი პარადიგმა. სამწუხაროდ, ეს ფაქტიც და ჩვენი მეცნიერების საინტერესო მუშაობაც ვერ შეამჩნიეს „ჩვენმა რეფორმატორებმა“, ხოლო ფიზიკოსებს, მგონი, დღეს აღარც უშვებენ იმ აუდიტორიაში.

ცნობილია, რომ ბორი იყო არა მხოლოდ დიდი ფიზიკოსი, არამედ ფილოსოფიურად ღრმად მოაზროვნე პიროვნებაც. მან თავისი დამატებითობის მეთოდით თვისებრივად ახალი ხაზი შემოიტანა გნოსეოლოგიაში და განავითარა შემეცნების თეორია. აღსანიშნავია, რომ სწორედ ბორმა უწოდა პოზიტივიზმს, დასავლეთში იმ დროისთვის საყოველთაოდ აღიარებულ ფილოსოფიურ მიმდინარეობას, სულელური ფილოსოფია. საყურადღებოა ისიც, რომ მაშინ, როდესაც თვით აინშტაინი ეკამათებოდა ბორს 20 წელი ახალი ფიზიკის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, ჩვენი ფიზიკოსები აღფრთოვანებით იზიარებდნენ ბორის მიერ წამოყენებულ პოზიციას და ეს იმ ქვეყანაში, სადაც არსებობდა დუბინინის ტრაგედია და გენეტიკასთან და კიბერნეტიკასთან დაკავშირებული მტკივნეული პრობლემები, ხოლო ბევრი ჩვენი ფილოსოფოსი თავს უფლებას აძლევდა ეთქვა, რომ ბორმა და ჰაიზენბერგმა ვერ გაიგეს თურმე თანამედროვე ფიზიკა. სამწუხაროდ, ვერც „ჩვენმა რეფორმატორებმა“ ვერ დაინახეს ამ მოვლენათა მსოფლმხედველობრივი სიახლე და მნიშვნელობა და ვერც ის, რომ ჩვენთან, უნივერსიტეტში, ტარდებოდა ეპოქის განმსაზღვრელი უახლესი ტენდენციების ღრმა და სერიოზული კვლევები და რომ მათი ცოდნა და გათვალისწინება აუცილებელი იყო განათლების სისტემის რეფორმის რაციონალურად წარმართვისთვის.

XX-ე საუკუნემ პრინციპულად შეცვალა ჩვენი მიმართება სამყაროსთან: შეიცვალა ჩვენი წარმოდგენები ბუნებაზე, განვითარდა კომპიუტერული მეცნიერებანი, ინტერნეტი, შემოვიდა შემეცნების ახალი ფორმები და მეთოდები, ადამიანს გაუჩნდა ახალი ემოციები და თვისებრივად ახალი სახე მიიღო ხელოვნებამ. ბუნებრივია, რომ ყველაფერმა ამან წარმოშვა პრობლემები აღმზრდელის და აღსაზრდელის წინაშეც და მოითხოვა რეფორმები განათლების სისტემაში. რა თქმა უნდა, არავის მოეწონება და არც არავინ გაამართლებს ზედმეტ თავისუფლებას და უხეშობას უფროსებთან სტუდენტების მხრიდან. მაგრამ მერწმუნეთ, რომ ახალგაზრდას, რომლის ოჯახიც უკანასკნელ კაპიკებს უხდის უნივერსიტეტს შვილის სპეციალისტად აღზრდაში, აქვს უფლება მოითხოვოს უნივერსიტეტიდან დროის შესაბამისი განათლება და გაღიზიანება გამოხატოს ლექტორის მიმართ, თუკი ის არ აძლევს მას საგნის ირგვლივ წამოჭრილი კითხვების დასმის უფლებას. ვინ გაუბედავდა, მაგალითად, ილია ვეკუას, მათე მირიანაშვილს, ვაგან მამასახლისოვს, კოტე ბაქრაძეს, სავლე წერეთელს და მრავალ სხვას რაიმე უხეშ სიტყვას ან მიმართვას? როგორც ჩანს, დღეს უნივერსიტეტში შექმნილია არაჯანსაღი ატმოსფერო და პროფესიულად და პიროვნულად ყველა ერთნაირად ვერ უძღვება სასწავლო პროცესს.

სხვათა შორის, ადრე უნივერსიტეტში არსებობდა ძალიან კარგი ტრადიცია: პერიოდულად პროფესორ-მასწავლებლები კითხულობდნენ საჯარო ლექციებს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში თავიანთი დარგის აქტუალური პრობლემების შესახებ. ისინი ამ დროს უჩვენებდნენ აუდიტორიას თავიანთი საგნის მსოფლმხედველობრივ მნიშვნელობას და კიდევ იმას, თუ როგორ არის ეს საგანი ინტეგრირებული სხვა დარგებთან, ანუ ვის როგორ, სად და რა ფორმით შეუძლია გამოიყენოს მიღებული ინფორმაცია თავის სფეროში. ასეთი ლექციები ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა და ბადებდა უამრავ კითხვას მსმენელთა მხრიდან. ამგვარ ლექციებს ხშირად კითხულობდნენ, მაგალითად, მათე მირიანაშვილი, ვაგან მამასახლისოვი, კოტე ბაქრაძე, ზურაბ კაკაბაძე, ალეკო თავხელიძე და ბევრი სხვა. უკანასკნელ ხანებში ამ პრაქტიკას აგრძელებდა ბატონი რისმაგ გორდეზიანიც.

თავიანთი მუშაობით პედაგოგები ეხმარებოდნენ ახალგაზრდებს აღმოეჩინათ საკუთარ თავში გარკვეული უნარები და უჩვენებდნენ აგრეთვე ამ უნარების გამოყენების გზებსაც, ანუ აძლევდნენ იმას, რასაც ვერასოდეს მისცემს ვერავის ვერავითარი კომპიუტერი. პირველად სწორედ ჩვენი პედაგოგებიდან გავიგეთ, რომ შეუძლებელია გარე სამყაროსთან ჰარმონიაში ზნეობრივი ცხოვრება ცოდნის, ძალადობაზე უარის თქმისა და საკუთარი თავისუფლების საზღვრების დადგენის გარეშე. სწორედ მათგან ვისწავლეთ ის ყველაზე მთავარი, რომ ადამიანი ადამიანია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც გააჩნია მას თვითშეზღუდვის უნარი და რამდენად ახორციელებს ის ამ უნარს ცხოვრებაში. ანუ რამდენად შეუძლია მას აღიაროს თავისი დამოკიდებულება სხვებისგან. თავიანთ მაგალითზე ისინი გვიჩვენებდნენ პასუხისმგებლობას, დისციპლინას და იმას, თუ რას ნიშნავს იცხოვრო ღირსეულად საკუთარი ძალებით. მათი ლექციები იყო არა უბრალოდ ინფორმაციის გადმოცემა, არამედ ძალზედ საინტერესო შემეცნებითი პროცესი, რითაც ზრდიდნენ ჩვენში არა მხოლოდ სპეციალისტებს, არამედ პიროვნებებსაც და, რაც მთავარია, გვასწავლიდნენ, რომ პირველ რიგში თითოეული ჩვენგანი უნდა ყოფილიყო თავისი ქვეყნის ღირსეული მოქალაქე.

ლექცია არის ცოცხალი დიალოგი ლექტორისა აუდიტორიასთან. დღეს ყველას შეუძლია მოიპოვოს ნებისმიერი ინფორმაცია ინტერნეტიდან, მაგრამ პედაგოგი სჭირდება ახალგაზრდას, რათა გაარკვიოს იგი თავისი პროფესიული, პიროვნული და მოქალაქეობრივი ფორმირების ლაბირინთებში, რათა მან შეძლოს საკუთარი პოტენციალის ეფექტური გამოყენება და რეალიზაცია. აქედან გამომდინარე, უდავოა, რომ პედაგოგიური მუშაობა დიდ ცოდნას და ენერგიას მოითხოვს და ყველას, ვისაც შეუძლია ამის კეთება, დიდი დაფასება სჭირდება ქვეყნისგან. სამწუხაროდ, განათლების რეფორმამ სწორედ ასეთი კადრები ჩამოაშორა უნივერსიტეტს და მათ „ჩარეცხილები“ და „ხულიგნები“ უწოდა. კიდევ დიდხანს გვემახსოვრება, ალბათ, უცნობი ჟურნალისტის მიერ გადაღებული ის კადრები, როდესაც ხელებაწეული „ხულიგანი“ თენგიზ სანაძე გამოჰყავს პოლიციას უნივერსიტეტიდან... გულნატკენი, ძალზედ გულნატკენი წავიდა ამ ქვეყნიდან ეს დიდი მეცნიერი „ხულიგნის“ სტატუსით. არა და სწორედ ამგვარ პედაგოგებთან პროფესიული, პიროვნული და მოქალაქეობრივი კონტაქტი ჰაერივით სჭირდება დღეს ჩვენს ახალგაზრდობას. უნივერსიტეტმა უნდა მოასწროს და გამოიყენოს ის ადამიანები, ვინც ჯერ კიდევ ცოცხალია.

და ერთიც: დეიდეოლოგიზაცია არ ნიშნავს უარესი იდეოლოგიის შემოტანას საზოგადოებაში ან ჩვენი ტრადიციებისა და კულტურის უარმყოფელი იდეების ძალით გავრცელებას და დანერგვას ჩვენს ქვეყანაში. განათლების პროცესი, პირველ რიგში, კრიტიკული აზროვნების განვითარების პროცესია, ახალი კვლევების და ცოდნის გაფართოების პროცესია, როდესაც ამავე დროს ხდება ძველი კულტურისა და ძველი ღირებულებების თაობიდან თაობაზე გადაცემა. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ყოველთვის ჰუმანიტარული დარგების სფეროში დაგროვილი ზოგადი ფასეულობების ათვისებას, რადგან მათ გარეშე შეუძლებელია თანამედროვე ინტელექტის შექმნა და ფორმირება. დრომ განსაკუთრებული სიმწვავით დააყენა დღეს ინტეგრირებული ცნობიერების ფორმირების საკითხი, რადგან სწორედ ამის ბაზაზე ვითარდება ყველაზე კარგად ინფორმაციული მენეჯმენტი და ტრანსფერების უნარი, ადვილდება ცოდნის დამოუკიდებლად მოპოვება და იზრდება შესაძლებლობა უფრო ეფექტურად ჩავებათ მრავალფეროვან პრაქტიკაში და ვიცხოვროთ ჩვენს დროსთან ერთად.

განათლების პროცესი აღარ არის დღეს ორიენტირებული მხოლოდ დამახსოვრების უნარზე. ინფორმაციის მოპოვება ძალიან ადვილია, მაგრამ ძნელია შემდეგ მისი დამუშავება, ანალიზი და გადაწყვეტილების მიღება, რისთვისაც ინდივიდს უკვე სჭირდება სხვა უნარები: კრეატიულობა, ინტუიცია, პასუხისმგებლობის გრძნობა და თავისი თავის მართვის უნარი; ხოლო ადამიანმა რომ მოახდინოს საკუთარი შესაძლებლობების სრულყოფილი რეალიზაცია, საჭიროა კიდევ მართვის ახალი პოლიტიკა, ურთიერთთანამშრომლობის ახალი კულტურა და მუშაობა ჰორიზონტალურ, დომინირებისა და მორჩილების რეჟიმისაგან თავისუფალ ფორმატში.

კარგია, რომ დღეს ხაზი გაესვა პედაგოგის მუშაობის მნიშვნელობას და დაისვა პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხი, რომ დაიწყო საუბარი პროფესიულ განათლებაზე და განათლების სახელმწიფო სტანდარტზეც. მაგრამ აუცილებელია აგრეთვე შემცირდეს განათლების სისტემაში არსებული ბიუროკრატიული „მაკონტროლირებელი მექანიზმები“, რომლებიც კი არ აძლიერებენ, არამედ ამახინჯებენ და ხელს უშლიან განათლების სისტემის მუშაობას. კარგი იქნება, თუ კონტროლის ნაცვლად ყურადღება, ძირითადად, გადავა პედაგოგის პირად პასუხისმგებლობაზე. განათლების სისტემაში არსებულმა კონტროლის უაზრო სისტემებმა შეასუსტეს პედაგოგის შინაგანი მოტივაცია, უკიდურესად დაძაბეს და გააუბრალოეს განათლების პროცესი. პედაგოგს უფლება აქვს შემოქმედებით ორიენტაციაზე, საავტორო პროგრამის შემუშავებაზე და გამოყენებაზე. კონტროლის ყოველი მექანიზმი კი სასურველია ამ დროს იყოს გამჭვირვალე და მხოლოდ ისეთი, რომელიც ადეკვატურად შეაფასებს პედაგოგის მუშაობას ანუ კი არ დათრგუნავს მას, არამედ, პირიქით, დაეხმარება მოტივაციური სფეროს შემუშავებაში, დააფასებს მას, თუ იგი ამის ღირსია და აგრძნობინებს ამავე დროს იმასაც, რომ თავისუფლებას ყოველთვის თან ახლავს პასუხისმგებლობა. მეტი ინოვაცია და ნაკლები ბიუროკრატიზმი! ასეთი უნდა იყოს განათლების სისტემის მთავარი დევიზი.

დრო ითხოვს თვისებრივად ახალ სინთეზს და ახალ მსოფლმხედველობრივ პარადიგმას. კარგი იქნება, თუ დავძლევთ პროფესიულ ჩაკეტილობას და ღია, საჯარო ლექციებით ხელს შევუწყობთ ინტეგრირებული ცნობიერების ფორმირების პროცესს ისევე, როგორც ამას წარმატებით აკეთებდნენ ჩვენი პედაგოგები. წამყვანი სპეციალისტების მხრიდან ხშირი საუბრები აქტუალურ პრობლემებზე გაუღვივებს სტუდენტებს ჯანსაღი დისკუსიის სურვილს, გაუჩენს მათ უამრავ კითხვას და მოთხოვნილებას უფრო დიდ ცოდნაზე და უფრო მაღალი ხარისხის განათლებაზე. დაე, გახდნენ ეს ახალგაზრდები ჩვენზე უკეთესი პროფესიონალები, ჩვენზე უფრო შორს და ჩვენზე უკეთ დაინახონ მომავალი და თანაც ყოველთვის ახსოვდეთ, რომ ყოველი სპეციალისტი პირველ რიგში უნდა იყოს პიროვნება და თავისი ქვეყნის ღირსეული მოქალაქე.

და ბოლოს: განათლების სისტემის რაციონალურ რეფორმას თან უნდა ახლდეს ჯანსაღი კონკურენცია, კორუფციის ალაგმვა და რაც შეიძლება ნაკლები ბიუროკრატიზმი. მხოლოდ მაშინ და მხოლოდ ასე მივიღებთ სასურველ შედეგს.

გილდა სიხარულიძე,
თსუ-ის მოწვეული პედაგოგი

ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში

ნებისმიერი ქვეყნის მთავარი ამოცანა ეკონომიკური მიმართულებით ისეთი კომპანიების ხელშეწყობაა, რომლებიც ქმნიან ახალ, მაღალტექნოლოგიურ პროდუქტს. მოწინავე ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, რომ მათ წინსვლას მეცნიერებასა და განათლებაზე დამყარებული ინოვაციური ეკონომიკის განვითარებით მიაღწიეს. განვითარებად ქვეყნებშიც მომავალი სწორედ ინოვაციური ეკონომიკის მშენებლობას უკავშირდება.

ინოვაციური ეკონომიკისა და მისი ფორმირების პრობლემებზე იმსჯელეს და საკუთარი შეხედულებები გამოთქვეს 1-2 ივლისს თსუ-ის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, რომლის თემა გახლდათ: „ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში“.

კონფერენციის ორგანიზატორი იყო თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, კონფერენციის სამეცნიერო-საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლები კი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, იოანე პავლე მეორეს სახელობის ლუბლინის კათოლიკური უნივერსიტეტის (პოლონეთი) და არაერთი სხვა სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრის ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორები და პროფესორები იყვნენ.

კონფერენცია 6 თემატურ სექციად დაიყო: ეკონომიკური თეორიის, ინოვაციებისა და ინოვაციური ეკონომიკის; მაკროეკონომიკისა და საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა; მიკროეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის; ეკონომიკის სექტორულ რეგიონულ და ეკოლოგიურ პრობლემათა, ფინანსებისა და საბანკო საქმის, საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის; სოციალურ და დემოგრაფიულ პრობლემათა სექციად.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რუსლან გრინბერგი, ეკონომიკის დოქტორები: ევგენია არუმოვა (რუსეთი); ელენა ბელიაევა (რუსეთი), ლუდმილა ბელოვა (რუსეთი), მარია ბიტაროვა (რუსეთი), ევა ბოიარი (პოლონეთი), აგნიეშკა რზეპკა (პოლონეთი), ტატიანა სობოლევა (უკრაინა), მარინა კუჟელი (უკრაინა), იზტელეუ ბიბატიროვა (ყაზახეთი), კურალაი ნურგალიევა (ყაზახეთი) და სხვა ქვეყნების სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები.

კონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი, თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი გიორგი ღვედაშვილი, თსუ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი არჩილ კუკულავა.

ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა რამაზ აბესაძემ კონფერენციის გახსნისას მადლობა გადაუხადა მონაწილეებს, უცხოელ მეცნიერებს და აღნიშნა, რომ კონფერენციის მიზანი ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პრობლემების გადაწყვეტის მექანიზმების შემუშავებაა, რომელიც ევროინტეგრაციის პროცესში ინოვაციური ეკონომიკის განვითარებას შეუწყობს ხელს.

„უპირველეს ყოვლისა მთავრობამ უნდა განსაზღვროს ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკა და ამის საფუძველზე ჩამოაყალიბოს ინოვაციური განვითარების სამართლებრივი ბაზა. სწორედ განვითარებადი და პოსტკომუნისტური ქვეყნების ამოცანას წარმოადგენს ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასვლა, თუმცა ეს პროცესი საკმაოდ რთულია, ვინაიდან იგი მოითხოვს ძირეული, სიღრმისეული, თვისებრივი ცვლილებების განხორციელებას, მაღალი დონის სამეცნიერო პოტენციალის, განვითარებული ტექნოლოგიების, მეცნიერებასა და წარმოებას შორის უწყვეტი და ძლიერი კავშირების არსებობას, რაც ბუნებრივია, ეკონომიკური განვითარების გარკვეულ დონეზე მიიღწევა.

საქართველოში არც ერთი წინა მთავრობა არ იხილავდა ინოვაციებს სახელმწიფო ინტერესების პრიორიტეტულ სფეროდ, ამიტომაა რომ ინოვაციების სამართლებრივი ბაზის ფორმირება ძირითადად ახლა იწყება, თუმცა შეიძლება დავასახელოთ დოკუმენტები, რომლებიც არაპირდაპირ ან პირდაპირ პასუხობს ინოვაციური განვითარების მოთხოვნებს. მაგრამ ისინი სრულიად არასაკმარისია ინოვაციური სისტემის შესაქმნელად და გასაძლიერებლად. სახელმწიფოს უდიდესი მოვალეობა ეკისრება სხვადასხვა ბერკეტის გამოყენებით ხელი შეუწყოს ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებას ქვეყანაში“, — განაცხადა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა რამაზ აბესაძემ.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა თავის მისასალმებელ სიტყვაში მადლობა გადაუხადა ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებს, რომელთა მეოხებითაც არსებობას განაგრძობს ეკონომიკის ინსტიტუტი: „თქვენ ღირსებით შეინარჩუნეთ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, რომელიც აქტიურად განაგრძობს საქმიანობას, მაშინ როცა სხვა სამეცნიერო ინსტიტუტები ან გაუქმდა, ან ფორმალურად განაგრძობს არსებობას. რაც ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა დაიწყო ზრუნვა ადგილობრივი, ეროვნული მეცნიერების განვითარებისთვის. სამწუხაროდ, ამ გზაზე ბევრი შეცდომაც დავუშვით... გასული ცხრა წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, განადგურდა მეცნიერების დიდი ნაწილი. 2002 წელს 50 000 მეცნიერ-თანამშრომელი (საშტატო ერთეული) ჰყავდა საქართველოს, დღევანდელი მონაცემებით კი, მისი რიცხვი მხოლოდ 1980-ია. ყველაზე მეტი ყურადღება, დღეს, ეკონომიკას უნდა მიექცეს. ჩვენ გვჭირდება უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე კადრები, რომელიც ეროვნულ ეკონომიკას განვითარების სწორ გზაზე დააყენებს. იმედი მაქვს, რომ მალე დადგება დრო მეცნიერებისკენ შემობრუნებისა, რომელიც ქვეყნის წინსვლას განაპირობებს“, — აღნიშნა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა.

მისასალმებელ სიტყვაში თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსმა გიორგი ღვედაშვილმა წარმატებები უსურვა კონფერენციის მონაწილეებს და აღნიშნა, რომ ეკონომიკის ინსტიტუტი თავისი მეცნიერული დონითა და მიღწევებით ყოველთვის გამოირჩეოდა სხვა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს შორის, რომელიც საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს ასეთი მასშტაბური, საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებას და მაღალ დონეზე ჩატარებას, რაც უდავოდ მისასალმებელია.

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა რუსლან გრინბერგმა ხაზი გაუსვა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისა და გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სტაბილურ, მეგობრულ ურთიერთობებს. „სამწუხაროდ, ჩვენი თანამშრომლობა, რიგი მიზეზების გამო, არ ატარებს რეგულარულ ხასიათს, მაგრამ მიუხედავად ამისა, დღესაც გრძელდება ის ტრადიცია, რომელიც სათავეს წარსულიდან იღებს. იმედი მაქვს, ეს ურთიერთობები მომავალშიც გაგრძელდება.

ჩვენ, რუსი მეცნიერების ნაწილი ვწუხვართ საბჭოთა კავშირის დაშლის გამო. ერთმა უკრაინელმა პოლიტიკოსმა თქვა: ის, ვინც არ ნანობს საბჭოთა კავშირის დანგრევას, მას გული არა აქვს, მაგრამ ის, ვინც ფიქრობს მის აღდგენას — უტვინოა. დღეს რუსეთი მძიმე გეოპოლიტიკურ „მარტოობაში“ იმყოფება. მეოთხედი საუკუნის წინ, ჩვენ, ყველანი ილუზიებით ვიკვებებოდით, რომ მომავალში კარგი ცხოვრება გვექნებოდა. მაგრამ ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა.

არ ვცემ თაყვანს კრემლის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, მაგრამ ისეთივე რეაქცია მექნებოდა დასავლეთის ქვეყნების ტრიუმფალიზმსა და პატივმოყვარეობაზე, როგორიც აქვს ჩვენს მთავრობას დღეს. რუსეთის ეკონომიკა სტაგნაციას განიცდის, რომელიც კიდე რამდენიმე წელი გაგრძელდება. მე და ჩემი თანამოაზრეები, ეკონომიკის გამოცოცხლების მიზნით, გამოვდივართ ინფრასტრუქტურული ობიექტების მასიური დაფინანსების მოთხოვნით.

რუსეთს უნდა ყოფილ საბჭოთა კავშირის სივრცეში შექმნას რეგიონალური ბლოკი, მაგრამ უკრაინის გასვლის შემდეგ ეს ადვილი საქმე არ არის. ევროკავშირი თავისას ცდილობს და რეაგირებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე... დღეს მსოფლიოში ისეთი გეოპოლიტიკური მდგომარეობაა, რომ მოსალოდნელია ძალადობრივი რევოლუციები. საფრთხის წინაშე დგება ის ფასეულობები, რომელიც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაშია გაწერილი. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ერთმანეთის გარეშე შევძლებდით ცხოვრების ნათელ მხარეზე დადგომას, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ეს მხოლოდ ფუჭი ოცნებაა და მეტი არაფერი. ჩვენ ყველამ უნდა დავინახოთ სინამდვილე და არ ვიკვებოთ ილუზიებით! კარგად დავფიქრდეთ, ვის და რატომ ვირჩევთ, სოლიდარობა უნდა გავუწიოთ ერთმანეთს და რეალურად დავეხმაროთ. ყველაზე კარგი პერსპექტივა ქვეყნებს შორის წარმატებული ურთიერთობისა, ეკონომიკური თანამშრომლობაა. მთავარია, ერთმანეთთან ვითანამშრომლოთ, როგორც ორმა თანასწორუფლებიანმა ქვეყანამ და ეკონომიკური პრობლემები საერთო ძალისხმევით გადავწყვიტოთ“, — განაცხადა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო ხელმძღვანელმა რუსლან გრინბერგმა.

„არ მწყდება გული საბჭოთა კავშირის დაშლის გამო“, — ამ რეპლიკით დაიწყო თავის გამოსვლა აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ, რომელმაც პატარა ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ საშუალებად ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების და ხელშეწყობის აუცილებლობა დაასახელა. მან თავის გამოსვლაში გააკრიტიკა საქართველოს ხელისუფლება იმის გამო, რომ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ მიხედვით არ შესრულდა ის რეკომენდაციები, რომელიც საჭირო იყო ინოვაციური სისტემის შესაქმნელად და გასაძლიერებლად. „მართალია კანონპროექტით განსაზღვრულია სახელმწიფო სტრატეგია ინოვაციების სფეროში, მაგრამ ეს ყველაფერი ქაღალდზე დარჩა, რეალურად კი, არაფერი გაკეთებულა. საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბების პერსპექტივები კი დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი ორიენტაცია ექნება ქვეყანას საერთაშორისო არენაზე: ევროპული თუ ევრაზიული.

აშკარაა, რომ ტექნოლოგიურად ჩამორჩენილი ევრაზიული კავშირის წევრობისას ბევრად უფრო რთული იქნება საქართველოსთვის ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბება და განვითარება, ვიდრე ევროკავშირის წევრობისას, რომელიც უმთავრესად ორიენტირებულია მოხმარების უფრო მაღალ სტანდარტებზე. ამის მიღწევის შესაძლებლობა კი მხოლოდ ინოვაციური ეკონომიკის პირობებში იქნება შესაძლებელი“, — განაცხადა აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების კოგნიტიურ-ინოვაციური მოდელების შესახებ ისაუბრა თსუ-ის პროფესორმა ელგუჯა მექვაბიშვილმა, რომელმაც ხაზი გაუსვა მცირე ინოვაციური ბიზნესისადმი ქართული სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერის აუცილებლობას და ის მიმართულებები წარმოადგინა რომელიც სამომავლოდ უნდა განხორციელდეს.

საინტერესო მოხსენება წარმოადგინა თსუ-ის პროფესორმა თეიმურაზ შენგელიამ კორუფციის გრძელვადიანი ექსტერნალიებისა და მათი გლობალურ ბიზნესზე ზეგავლენის შესახებ.

პლენარულ სხდომაზე ასევე საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს უცხოელმა მეცნიერებმა, აკადემიურმა დოქტორებმა, პროფესორებმა: ევა ბოჟარიმ, აგნიეშკა რზეპკამ, იზტელეუ ბიბატიროვამ და ტატიანა სობოლევამ.

ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობდა 179 მეცნიერი, საქართველოს, რუსეთის, პოლონეთის, ჩეხეთის, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, უკრაინის, მოლდოვეთის ქვეყნებიდან. რომლებმაც საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს ინოვაციური ეკონომიკის განვითარების პრობლემებისა და პერსპექტივების შესახებ. მათ ერთმანეთს ამ სფეროში დაგროვებული გამოცდილება და მიდგომები გაუზიარეს.

თამარ დადიანი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აწ გარდაცვლილმა იაკობ (იაშა) მესხიამ გამოჩენილი მეცნიერისადმი, რევაზ კაკულიასადმი მიძღვნილი საგაზეთო სტატია დასაბეჭდად ზაფხულში მოგვაწოდა. სამწუხაროდ, ბატონი იაშა ვერ მოესწრო ამ სტატიის გამოქვეყნებას.

რევაზ კაკულია – გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე

რევაზ კაკულია

გამოჩენილ ქართველ ეკონომისტს და საზოგადო მოღვაწეს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ნიუ-იორკის სამეცნიერო აკადემიის წევრს, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ „ეკონომიკური პროფილის“ მთავარ რედაქტორს ბატონ რევაზ კაკულიას დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

ბატონი რევაზი დაიბადა აბაშის რაიონის ულამაზეს სოფელ ნორიოში, მდიდარი ქართული ტრადიციების მქონე ოჯახში, საშუალო სკოლის მედალზე დამთავრების შემდეგ 1954 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე და წარჩინებით დაამთავრა იგი. მუშაობა დაიწყო საბანკო სისტემაში, შემდგომ სხვადასხვა დროს იყო პარტიული ხელმძღვანელი მუშაკი, ფინანსთა მინისტრის მოადგილე, აგრეთვე სოფლის მეურნეობის მინისტრის, სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრის მოადგილე. მან უდიდესი წვლილი შეიტანა ქვეყნის როგორც საბჭოურ, ასევე დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური მშენებლობისა და რეფორმირების საკითხებში.

პროფესორ რევაზ კაკულიას, მიუხედავად სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობისა, კავშირი არ გაუწყვეტია მეცნიერებასთან. თსუ-ის ასპირანტურის დამთავრებისთანავე დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1993 წელს სადოქტორო დისერტაცია. 1991 წელს იგი ინიშნება ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში, სადაც მისი ხელმძღვანელობით და მონაწილეობით შემუშავდა არაერთი პროგრამული დოკუმენტი საქართველოში ეკონომიკური რეფორმების სრულყოფის მიმართულებით.

პროფესორი რევაზ კაკულიას კალამს ეკუთვნის ქართულ და უცხოურ ენებზე გამოქვეყნებული 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი ეკონომიკური თეორიის და ფინანსების აქტუალურ საკითხებზე. მისი ავტორობით და რედაქტორობით გამოცემული მრავალრიცხოვანი ღრმაშინაარსიანი სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები, რომლებიც უდიდეს დახმარებას უწევს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტობას და პროფესურას. იგი წლების განმავლობაში კითხულობს ლექციებს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში და მის ალმა-მატერში — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პროფესორ რევაზ კაკულიას დამსახურება მეცნიერების ორგანიზაციისა და ახალგაზრდა მკვლევართა მომზადების საქმეში. მისი ინიციატივით ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდა ფინანსების და კრედიტის კათედრა, სადაც მოამზადა არაერთი მეცნიერების კანდიდატი და დოქტორი. მან ასევე დიდი წვლილი შეიტანა ქუთაისის უნივერსიტეტისა და საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ფორმირებასა და წარმატებული განვითარების საქმეში. იგი აკადემიის დაარსებიდან დღემდე მისი პრეზიდიუმის წევრი და მაკროეკონომიკის განყოფილების ხელმძღვანელია. აღსანიშნავია აგრეთვე რ. კაკულიას როლი სხვადასხვა სამეცნიერო და სადისერტაციო საბჭოების მუშაობაში წევრისა და თავმჯდომარის სტატუსით. იგი იყო საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს ეკონომიკური სექციის წევრი.

ბატონი რევაზის მრავალრიცხოვან ჯილდოებს შორის აღსანიშნავია „ივანე ჯავახიშვილის მედალი“, „ღირსების ორდენი“, მისი ბიოგრაფია ამშვენებს ქართულ ენციკლოპედიას.

პროფესორი რევაზ კაკულია ქართულ საზოგადოებაში ცნობილია როგორც ქვეყნის ეროვნული ინტერესების და ტრადიციების უკომპრომისო დამცველი, უშიშარი და მებრძოლი, სიმართლის პირში მთქმელი, პრინციპული და მომთხოვნი, სიტყვის კაცი, მისი დიდი მასწავლებლების აკადემიკოსების — პ. გუგუშვილის, ვ. ჩანტლაძის და სხვების ღირსეული მოწაფე და დამფასებელი. მისთვის დამახასიათებელია უშუალობა და თავმდაბლობა, მოყვასისადმი ჭირსა და ლხინში თანადგომა, ამიტომაც მას მუდამ გარს ახვევია მეგობართა დიდი წრე. იგი დღესაც თავის მდიდარ ცოდნას და გამოცდილებას წარმატებით ახმარს ეკონომიკური მეცნიერების განვითარებას და მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდას. ვულოცავთ ბატონ რევაზს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ახალ წარმატებებს.

იაკობ (იაშა) მესხია

გახსენება

ქართული ეკონომიკური მეცნიერების დიდი დანაკარგი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი და საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 69 წლის ასაკში, გარდაიცვალა იაშა (იაკობ) მესხია — ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის ხელმძღვანელი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

ქართულ საზოგადოებას, ქვეყნის განვითარების უაღრესად საპასუხისმგებლო ეტაპზე, გამოაკლდა დიდი მამულიშვილი, ნოვატორი მეცნიერი მაღალი კომპეტენციის მოღვაწე, თვალსაჩინო პედაგოგი, სიკეთით, ადამიანებზე ზრუნვით გამორჩეული მეგობარი, ეროვნული ტრადიციების ერთგული და დიდი ქომაგი.

ბატონი იაშას ცხოვრება რთული და წინააღმდეგობრივი იყო. იგი მეცნიერების წიაღში აღიზარდა და მან გაიარა მეცნიერული საქმიანობის თითქმის ყველა საფეხური — იყო წარჩინებული სტუდენტი, გამორჩეული ასპირანტი, დოქტორანტი. იაშა მესხიამ საქმიანობა დაიწყო უმცროსი მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზე და წლების მანძილზე ნაბიჯ-ნაბიჯ განვლო გზა, ყველა საფეხური, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტამდე. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ არა მხოლოდ ეკონომიკურმა მეცნიერებამ, არამედ მთლიანად საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებამ დაკარგა უნიჭიერესი მეცნიერ-მკვლევარი, რომელიც ხშირად დროს უსწრებდა ხოლმე, კარგად იცნობდა ეკონომიკური მეცნიერების თანამედროვე მიღწევებს, პრობლემებს, ხედავდა მათი გადაწყვეტის გზებს, ფორმებს, მიმართულებებს.

ბატონი იაშას მეცნიერად ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტმა, მსოფლიოში აღიარებულმა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურმა ეკონომიკურ-მათემატიკურმა ინსტიტუტმა, მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. სწორედ დასახელებულ სამეცნიერო დაწესებულებებში დაამთავრა ასპირანტურა და დოქტორანტურა, დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები მან. ბატონი იაშას მეცნიერად ფორმირებაში დიდი ღვაწლი აქვთ მსოფლიოში აღიარებულ მეცნიერებს, მის მასწავლებლებს და შემოქმედებით მეგობრებს: ნობელის პრემიის ლაურეატს ლეონიდ კანტოროვიჩს, აკადემიკოსებს აბელ აგანბეგიანს, ნიკოლოზ ფედორენკოს, სტანისლავ შატალინს და სხვებს.

ბატონმა იაშამ სამეცნიერო მოღვაწეობა დაიწყო საქართველოს საგეგმო კომიტეტთან არსებულ ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ მუშაკად და წლების მანძილზე იყო ამავე ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, განყოფილების გამგე და დირექტორი.

ბატონი იაშა 1985 წელს ინიშნება სსრკ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის აღრიცხვის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორად. სხვადასხვა დროს მუშაობდა ეკონომიკისა და ფინანსთა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, ფინანსთა და სტატისტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელად. აღნიშნულ თანამდებობებზე წარმატებულმა საქმიანობამ განაპირობა ბატონი იაშას აქტიური ჩართვა დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის პრობლემების დაუშავებასა და გადაწყვეტაში. მისი მეცნიერული შრომების დიდი ნაწილი სწორედ აღნიშნულ თემატიკას ეძღვნება. ამ პერიოდში მკაფიოდ და მასშტაბურად გამოვლინდა ბატონი იაშას უნიკალური ორგანიზატორული თვისებები, სამეცნიერო პოტენციალის მობილიზების და პრობლემების ფართო ხედვა, მეცნიერულ ლოგიკაზე დაფუძნებული მიდგომების მასშტაბები, რთულ საზოგადოებრივ პროცესებში ღრმად წვდომის უნარი. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენილა — საზოგადოებამ იგი ფართო ერუდიციის, ნოვატორული მიდგომებით გამორჩეულ მეცნიერ-მკვლევარად აღიარა. იგი გახდა საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (2004) და ორჯერ გახლავთ დაჯილდოებული ღირსების ორდენით (2001 და 2014).


იაშა მესხია

ბატონ იაშა აქვს გამოქვეყნებული 400-მდე სამეცნიერო ნაშრომი ქართულ და უცხო ენებზე. მათ შორის 35 მონოგრაფია და სახელმძღვანელო. მას მონაწილეობა აქვს მიღებული 40-ზე მეტ ადგილობრივ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში, მათ შორის ესპანეთში, თურქეთში, პოლონეთში, გერმანიაში და ა.შ.

სხვადასხვა წლებში იაშა მესხია იყო საქართველოში გამომავალი თითქმის ყველა სამეცნიერო და ორი უცხოური ჟურნალის სარედაქციო კოლეგიების წევრი. მისი მთავარი რედაქტორობით გამოიცემოდა ჟურნალები: „გადასახადები“ და „ფინანსური კონტროლი“.

ბატონი იაშა სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდის პროცესში ახალგაზრდობიდან ჩაერთო. იგი ლექციებს კითხულობდა ქვეყნის სხვადასხვა სასწავლებელში. იყო კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ეკონომიკური ინსტიტუტის რექტორი, თბილისის საფინანსო-ეკონომიკური აკადემიის რექტორი, ქუთაისის წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის კათედრის გამგე. უკანასკნელ წლებში ხელმძღვანელობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ბიზნესის კათედრას. პედაგოგიურ სამუშაოზე გამოავლინა ლექტორის, აღმზრდელის საუკეთესო თვისებები: ღრმა ცოდნა, გამჭრიახობა, კომუნიკაციის უნარი, დამაჯერებლობა და სხვ. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 30-მდე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. ბატონი იაშა სტუდენტ ახალგაზრდობაში მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა.

ბატონი იაშა მაღალი ნიჭის, ღრმა ცოდნის, კრეატიული აზროვნების წყალობით მუდამ ავლენდა დროის გამოწვევებით განპირობებულ სიტუაციებში ადეკვატური მოქმედების უნარს. იგი თავისი ცხოვრების წესით ყოველთვის დროის მოთხოვნების დონეზე იყო. ეს კარგად გამოჩნდა უაღრესად რთულ სიტუაციაში სახელმწიფოს მართვის ერთ-ერთ ცენტრალურ რგოლში - კონტროლის პალატის ხელმძღვანელად მუშაობისას. აქ გამოვლინდა მისი პრინციპულობა, საქვეყნო საქმისადმი ერთგულება, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის სულისკვეთება, განსაკუთრებით, ეკონომიკური უსაფრთხოების ყოველმხრივ დაცვის უნარი, მან მუშაობის საკუთარი სტილით დაადასტურა , რომ იგი დიდი ერუდიციის მოღვაწედ ჩამოყალიბდა.

მაღალი ნიჭი, შრომის მოყვარეობა, პრინციპულობა, თავმდაბლობა, პასუხისმგებლობა, საქმიანობის ყველა ეტაპზე და სიტუაციაში, ადამიანებზე ზრუნვის მომადლებული უნარი, ეროვნული ტრადიციებისადმი ერთგულება ერთ მთლიანობაში ქმნიდა მის პიროვნულ მომხიბვლელობას, რაც საზოგადოებაში მას უქმნიდა ლიდერი პიროვნების სტატუსს. იაშა მესხია ნდობის კაცი იყო.

ბატონმა იაშამ განვლო ღვთის და განგების მიერ მისთვის გამოყოფილი ცხოვრების გზა ღირსეულად, როგორც ჭეშმარიტმა მეცნიერმა, აქტიურმა მოქალაქემ, ერთგულმა მეგობარმა და უბრალოდ კაცად კაცმა.

გვჯერა, რომ იაშა მესხიასნაირ პიროვნებას ქვეყანა არ დაივიწყებს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი; საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია

ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

ᲓᲦᲔᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲯᲔᲠᲘᲐ ᲤᲔᲮᲖᲔ ᲐᲣᲓᲒᲔᲡ ᲓᲘᲓ ᲛᲐᲔᲡᲢᲠᲝᲡ!



გარდაიცვალა ნოდარ ტაბიძე. დასრულდა ქართული ჟურნალისტური განათლების ერთი დიდი ეპოქა. ბატონი ნოდარი - მაესტრო - ყოველთვის განსხვავებულ აურას ქმნიდა აუდიტორიაში: პოეტური ხედვით, იუმორით, კრეატიული მიდგომით შესასწავლი მასალისადმი, სიცოცხლის სიყვარულით...

ნოდარ ტაბიძე 1931 წლის 19 მარტს დაიბადა ტატიანა და პროკლე ტაბიძეების ოჯახში. როგორც მის ბიძას, გალაკტიონს, მასაც სიგიჟემდე უყვარდა მშობლიური ჭყვიში, ის მწვანედ აბიბინებული მოლი, რომელზე ფეხშველა გავლაც მამულს შეაგრძნობინებდა. უყვარდა უნივერსიტეტი. სწორედ ნოდარ ტაბიძე იყო ის ადამიანი, რომელმაც ბევრი თაობის სტუდენტს, პროფესიულ უნარ-ჩვევებთან ერთად, თეთრი ტაძრის სიყვარული და პატივისცემა ასწავლა.

„ფეხზე ავუდგეთ დედა უნივერსიტეტს!“ — ეს ნოდარ ტაბიძის საყვარელი სადღეგრძელო იყო. იგი გახლდათ პედაგოგი, მეცნიერი და მკვლევარი, მაგრამ, ყველაზე მეტად — პოეტი, რომელიც არ წერდა ლექსებს, მაგრამ სამყაროს ხედავდა ისე, როგორც ერთ დიდ დაუსრულებელ პოემას. ეს პოემა კი დასრულდა მის წასვლასთან ერთად. ბატონ ნოდარზე დაუსრულებლად შეიძლება საუბარი, ყველას, ვინც ერთხელ მაინც შეხვედრია მას, თავისი სათქმელი ექნება, თავისი მოსაგონარი, ტკივილი — იმდენად საინტერესო და მრავალმხრივი პიროვნება იყო ჩვენი მაესტრო. უამრავ ადამიანს დაწყვიტა გული, უამრავ მის შეგირდს დაუტოვა სიცარიელე, რომლის შევსებას, ალბათ, ძნელად თუ შეძლებს ვინმე. დღეს ჩვენ უკანასკნელ გზაზე ვაცილებთ ბატონ ნოდარს.

დღეს უნივერსიტეტის ჯერია ფეხზე აუდგეს დიდ მაესტროს!

ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ �თᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ

ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲡ ᲓᲐᲨᲝᲠᲔᲑᲣᲚᲡ, ᲬᲣᲗᲘᲗᲐᲪ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲧᲠᲘᲐ ᲤᲐᲠ-ᲮᲛᲐᲚᲘ...

18 სექტემბერს გარდაიცვალა ნოდარ ტაბიძე. გამოჩენილი მეცნიერის, პედაგოგის, ჟურნალისტთა არაერთი თაობის აღმზრდელის სახელი კარგადაა ცნობილი ქართული საზოგადოებისთვის. მაგრამ, ძნელია, იპოვო სიტყვის მარაგი, რომლითაც ჩვენი უნივერსიტეტის წინაშე ბატონი ნოდარის დამსახურებას გადმოსცემ. იგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ჟურნალისტიკის ფაკულტეტს, აწ უკვე სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ერთერთ დეპარტამენტს. თავისი ცოდნით, სიბრძნით, კალმით ემსახურებოდა ახალი თაობის აღზრდის, პროფესიონალებად ჩამოყალიბების საქმეს.

დიდი გალაკტიონის ძმისწული, თავისი საქმის ერთგული და მოამაგე, უხვად გასცემდა წლებით ნაგროვებ ცოდნასა და გამოცდილებას. ახალგაზრდებთან ურთიერთობის უნიკალური ნიჭით იყო დაჯილდოებული — როგორც მისი შეგირდები იხსენებენ, ერთდროულად მკაცრიც იყო და ლმობიერიც, მომთხოვნიც და მეგობრულიც...

იშვიათია ისეთი სიყვარული, ერთგულება და პატივისცემა, როგორც ამას ბატონი ნოდარის სტუდენტები, დღეს უკვე სახელოვანნი, საკუთარი საქმის პროფესიონალები, გამოხატავდნენ სათაყვანებელი ოსტატისადმი. ბევრი გულისტკენაც შეხვდა, დაუმსახურებელი წუხილი, მაგრამ მშობლიურ უნივერსიტეტს დაშორებულს, წუთითაც არ დაუყრია ფარ-ხმალი... უამრავი სამეცნიერო თუ მემუარული ლიტერატურის გვერდით, შესაშური მონდომებითა და ენერგიით დააარსა და გამოსცა სამეცნიერო კრებული „ჟურნალისტური ძიებანი“, რომლის არაერთმა ტომმა იხილა დღის სინათლე. გარს ახალბედა მეცნიერები შემოიკრიბა, სამოღვაწეო ასპარეზი გაუხსნა და ახალი პერსპექტივები დაუსახა, მათ შორის ჩვენი ფაკულტეტის პროფესურის დიდ ნაწილსაც. სიცოცხლის ბოლომდე პირნათლად ემსახურა საყვარელ პროფესიას, მომავალი თაობის აღზრდისა და მეცნიერებად ჩამოყალიბების საქმეს.

ნოდარ ტაბიძის ღვაწლი დაუვიწყარი იქნება დედა უნივერსიტეტისთვის, მათთვის, ვინც იცის ბატონი ნოდარის სიტყვის ფასი და მათთვისაც, ვინც ამიერიდან ეზიარება მის შემოქმედებას.

თამარ დოლბაია,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

ᲒᲘᲐ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲘᲮᲐᲠᲯᲔᲑᲝᲓᲐ...

ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲐᲓ გარდაიცვალა ცნობილი მათემატიკოსი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, თსუ-ის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი გრიგოლ (გია) სოხაძე.

გ. სოხაძე დაიბადა 1953 წლის 29 აპრილს ქალაქ ქუთაისში. 1970-1974 წლებში იგი სწავლობდა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა–მათემატიკის ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე პროფესორი გვანჯი მანია გ. სოხაძეს, რო-გორც განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდას, იწვევს მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე თსუ-ის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინს-ტიტუტში, მოგვიანებით მან მუშაობა გააგრძელა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ან-დრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში. 1983 წლიდან გ. სოხაძე ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და უმაღლესი მათე-მატიკის კათედრის გამგეა. 2009 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იგი მუშაობდა თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

1980 წელს გ. სოხაძემ კიევში, უკრაინის მათემატიკის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე, წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო მოგვიანებით, 1992 წელს, იმავე ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე მან ასევე წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

გ. სოხაძეს მრავალმხრივი სამეცნიერო ინტერესები გააჩნდა. იგი იყო ფართო ერუდიციის, მაღალი დონის მათემატიკოსი. სამეცნიერო ნაშრომების დიდი ნაწილი კი ალბათობის თეო-რიისა და მათემატიკური სტატისტიკის მიმართულებით აქვს გამოქვეყნებული. გასაოცარი იყო მისი სამეცნიერო პროდუქტიულობა — უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალში მის მიერ გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობამ 100-ს გადააჭარბა. მის ბოლოდროინდელ შრომებში გამოიკვეთა ახალი სიღრმისეული კავშირები ერთი მხრივ უსასრულოგანზომილებიან ანალიზსა და მალივენის აღრიცხვას შორის, ხოლო მეორე მხრივ, სტოქასტურ აღრიცხვასა და სტატისტიკური დასკვნების თეორიას შორის. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ბოლო 5 წელიწადში მისი ხელმძღვანელობით წარდგენილმა 3-მა სამეცნიერო პროექტმა მოიპოვა საგრანტო დაფინანსება, რითაც კიდევ ერთხელ გამოვლინდა გ. სოხაძის მეცნიერული კვლევების ხარისხობრივი დონე და ინტერესთა მრავალფეროვნება.

აღნიშვნის ღირსია ბატონი გიას მრავალმხრივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა. იგი იყო მრავალი სასწავლო კურსისა თუ სახელმძღვანელოს ავტორი, არაერთი ახალგაზრდა აზიარა მან მეცნიერული ცოდნის საფუძვლებს. იგი დაუღალავი და საინტერესო პედაგოგი იყო, მას ჰქონდა უნარი მომთხოვნელობა მამა-შვილურ სითბოსა და სიყვარულში გაეზავებინა, რაც მეტად ეფექტურს ხდიდა მის ახალგაზრდებთან მუშაობას. იგი იყო სტუდენტების საყვარელი ლექტორი, რაც ხშირ შემთხვევაში ადმინისტრაციას ლო-ჯისტიკურ პრობლემებს უქმნიდა — გაცილებით მეტი მსურველი ეწერებოდა მის არჩევით კურსებზე, ვიდრე ეს სასწავლო გეგმით იყო გათვალისწინებული. გ. სოხაძის ხელმძღვანე-ლობით დაცული იქნა მრავალი დისერტაცია კიევსა და თბილისში. ამჟამად, იგი ერთდროულად ხუთ დოქტორანტს ხელმძღვანელობდა სხვადასხვა უნივერსიტეტიდან.

ბატონი გია ინტენსიურ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად აქტიურ სა-ზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. იყო საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის სათათ-ბიროს წევრი, საქართველოს სტატისტიკური ასოციაციის გამგეობის წევრი, განათლების ხა-რისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტი, მასწავლებელთა გა-დამზადების ცენტრის ტრენერი, ჟურნალ „თსუ მეცნიერების“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „მათემატიკა“ რედაქტორის მოადგილე. გია ყველგან ბოლომდე იხარჯებოდა.

წავიდა ჩვენგან აღიარებული მეცნიერი, საერთაშორისო დონის მათემატიკოსი. ყველა, ვინც გიას იცნობდა, დიდად აფასებდა მის მაღალ პროფესიონალიზმს, პრინციპულობასა და ობიექ-ტურობას, გამორჩეულ ადამიანურ თვისებებს, ღირსების გრძნობას და კეთილგანწყობას კოლეგების მიმართ. მისი გარდაცვალება აუნაზღაურებელი დანაკლისია როგორც ოჯახისათვის, ისე მისი მეგობრებისა და კოლეგებისთვის.

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ,
ᲝᲛᲐᲠ ᲤᲣᲠᲗᲣᲮᲘᲐ

გიორგი შარვაშიძე თსუ-ის რექტორი გახდა

23 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად აკადემიურმა საბჭომ გიორგი შარვაშიძე აირჩია. თსუ-ის რექტორის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დემეტრე ეგნატაშვილის თქმით, „36 ამომრჩევლიდან არჩევნებში აკადემიური საბჭოს ყველა წევრმა მიიღო მონაწილეობა. კენჭისყრის შედეგად გიორგი ბარამიძემ მიიღო ამომრჩეველთა 6 ხმა, ცირა ბარამიძემ — 5, ხოლო გიორგი შარვაშიძემ 21 ხმა. 4 ბიულეტენი კი გაბათილდა“. არჩევნებს 2 არასამთავრობო ორგანიზაცია (სამოქალაქო საზოგადოების განათლების ცენტრი და ახალგაზრდა ადვოკატები) და 6 დამკვირვებელი ესწრებოდა. აკადემიურმა საბჭომ გიორგი

შარვაშიძის უფლებამოსილება ცნო, რის შემდეგაც გიორგი შარვაშიძე მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

„დიდი მადლობა მინდა გადავუხადო აკადემიურ საბჭოს იმ ნდობისთვის, რომელიც გამომიცხადა. ვაპირებ, რომ დავიწყო საქმიანობა იმ კონცეფციის მიხედვით, რომელიც წარვადგინე აკადემიურ საბჭოზე. ეს ეხება მეცნიერების განვითარებას, სტუდენტური ცხოვრების გაუმჯობესებასა და, საერთოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმიჯის ამაღლებას“, — განაცხადა თსუ-ის ახლად არჩეულმა რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

თსუ-ის ყოფილმა რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა დარეჯან თვალთვაძემ გიორგი შარვაშიძეს არჩევნებში გამარჯვება მიულოცა. გიორგი შარვაშიძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რიგით 30-ე რექტორი გახდა.

30 მარტს თსუ-ის აკადემიურმა საბჭომ დააკმაყოფილა თსუ-ის ყოფილი რექტორის ვლადიმერ პაპავას განცხადება გადადგომის შესახებ. 20 აპრილიდან რექტორის მოვალეობას დარეჯან თვალთვაძე ასრულებდა.

თსუ-ის სენატმა კანცლერად ნუნუ ოვსიანიკოვა დაამტკიცა

2016 წლის 30 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ფარული კენჭისყრით ნუნუ ოვსიანიკოვა დაამტკიცა.

კენჭისყრის პროცედურამდე, სენატის სხდომაზე კანცლერობის კანდიდატმა სენატის და აკადემიური საბჭოს წევრებს კიდევ ერთხელ გააცნო საარჩევნო კონცეფციის ძირითადი ასპექტები და სენატის წევრებისთვის საინტერესო კითხვებს უპასუხა.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი ლევან ლორთქიფანიძე დაინტერესდა, აპირებს თუ არა ქალბატონი ნუნუ ოვსიანიკოვა, უფრო გამჭვირვალე გახადოს უნივერსტეტის ბიუჯეტის ფორმირების პროცესი, რა საკადრო პოლიტიკის გატარებს გეგმავს იგი და როგორ დაარეგულირებს ფაკულტეტებს შორის აუდიტორიების განაწილების საკითხს, რადგანაც იმის გამო, რომ ზოგიერთ ფაკულტეტს უჭირს სხვა ფაკულტეტისთვის აუდიტორიის დათმობა, სტუდენტებს სასწავლო პირობები არ აქვთ: „თუკი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აუდიტორიებში შეიძლება იქნას განთავსებული სხვა ფაკულტეტების სტრუქტურები, რატომ არ გვეძლევა ჩვენ შესაძლებლობა, ვისარგებლოთ უფრო დიდი აუდიტორიებით სხვა კორპუსებში?“ — იკითხა მან.

ნუნუ ოვსიანიკოვამ აღნიშნული კითხვების საპასუხოდ განაცხადა, რომ ეთანხმება მოსაზრებას ბიუჯეტის ფორმირების უფრო გამჭვირვალე პროცესის დამკვიდრების შესახებ და აპირებს უფრო ხანგრძლივად იმუშაოს უნივერსიტეტის მთავარ ფინანსურ დოკუმენტზე დეპარტამენტებთან, ფაკულტეტების ადმინისტრაციებთან, სტუდენტებთან და დაიტერესებულ პირებთან ერთად.

ნუნუ ოვსიანიკოვამ, ასევე, ისაუბრა საკადრო პოლიტიკაზე, რომლის გატარებასაც გეგმავს. „თუკი აკადემიურ პერსონალს უტარდება კონკურსები და ეტაპობრივად ხდება მისი განახლება, რატომ არ უნდა ხდებოდეს იგივე ადამინისტრაციულ პერსონალთან მიმართებაში? თუ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მიზანშეწონილია აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის გაზრდა, რატომ არ უნდა ხდებოდეს ეს ადმინისტრაციის შემთხვევაშიც? მე შევადარე 2013 და 2015 წლების მონაცემები და მივიღე სურათი, რომლის მიხედვითაც — 2,4 პროცენტითაა გაზრდილი აკადემიური პერსონალის რაოდენობა, 12 პროცენტით — ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, 16 პროცენტით – შტატგარეშე დამხმარე პრესონალის და 7 პროცენტით – მოწვეული ლექტორების რაოდენობა. მათი სახელფასო ფონდი 6 მილიონს აღწევს. მე ჯერ არ ვარ მზად, გიპასუხოთ – ობიეტური რეალობით არის თუ არა ეს ზრდა გამოწვეული. ამიტომ, ვფიქრობ, უნდა გადაიხედოს ეს სტრუქტურა, უნდა შევისწავლოთ საჭიროებები, მოვიდეს ეს საჭიროებები შესაბამისობაში ფინანსურ, მატერიალურ და ადამიანურ რესურსებთან, გაიწეროს ყველა პერსონალის სამუშაო აღწერილობა და ფუნქცია და ამას თქვენთან ერთად მივაღწევ, თუმცა, მთავარია, რომ უნდა იყოს დაცული თანასწოროების და სამართლიანობის პრინციპი. მოგვიწევს ზოგიერთი არაპოპულარული გადაწყვეტილების მიღებაც“, — განაცხადა მან.

რაც შეეხება აუდიტორიების გადანაწილებას, კანცლერობის კანდიდატმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის აუდიტორიებზე ადმინისტრირებას მხოლოდ ფაკულტეტები ახორციელებენ, მაგრამ ეს არ უნდა იყოს შემაფერხებელი ფაქტორი სტუდენტებისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ აუდიტორიების საკითხი მიბმული უნდა იყოს სტუდენტების

რაოდენობაზე და მათ დატვირთვაზე. ცხრილები და, ზოგადად, სასწავლო პროცესი უნდა დაიგეგმოს და გადანაწილდეს ისე, რომ სტუდენტს მაქსიმალური კომფორტი შეექმნას სწავლისათვის.

სენატის სხდომაზე ასევე დაისვა კითხვები, აპირებს თუ არა ქალბატონი ნუნუ ადმინისტრაციაში უფლებამოსილებების გამიჯვნას, რას ფიქრობს იგი სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში პირობების გაუმჯობესებისთვის დამატებითი თანხების მოზიდვის თაობაზე და აპირებს თუ არა ისევ პრივილეგიების მინიჭებით თვითმმართველობისთვის თანხის გამოყოფას? ამ საკითხებით დაინტერესდნენ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი თორნიკე ართქმელაძე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი თორნიკე შევარდნაძე და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი გიორგი ჯავახაძე.

ნუნუ ოვსიანიკოვამ აღნიშნულ კითხვებზე განაცხადა, რომ იცნობს ყველა პრობლემას და აქვს კონკრეტული გეგმა მათ მოსაგვარებლად. კერძოდ, ეთანხმება უფლებამოსილებების გამიჯვნის საკითხს, თუმცა მიაჩნია, რომ მას თან უნდა სდევდეს პასუხისმგებლობის ზრდაც — „არ შეიძლება ერთი ადამიანი აგებდეს პასუხს ყველაფერზე,“ — განაცხადა ნუნუ ოვსიანიკოვამ და ასევე გამოთქვა მზაობა სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში პირობების გაუმჯობესებისთვის გარკვეული ღონისძიებების გატარების თაობაზე.

რაც შეეხება სტუდენტთა დაფინანსების საკითხს, მან აღნიშნა, რომ აქამდე არსებული მონაცემებით, წელს 350 000 ლარია დახარჯული სტუდენტურ ღონისძიებებზე. „მიმაჩნია, რომ ეს არ არის ბევრი. ათჯერ მეტი უნდა იყოს გამოყოფილი სტუდენტური ღონისძიებებისთვის, რადგან უნივერსიტეტი მათთვის უნდა იყოს არა მხოლოდ სწავლის, არამედ კულტურული და სამეცნიერო საქმიანობის კერა, მაგრამ ამ სიკეთით ერთნაირად და თანასწორად უნდა ისარგებლოს ყველამ,“ — განაცხადა ნუნუ ოვსიანიკოვამ.

ამის შემდეგ სენატმა დაიწყო ფარული კენჭისყრის პროცედურა.

შედეგად: საარჩევნო ყუთში აღმოჩნდა 62 ბიულეტენი (სენატის სხდომას 72 წევრიდან ესწრებოდა 62).

ნუნუ ოვსიანიკოვას დამტიკიცებას დადებითი ხმა მისცა 53-მა წევრმა; უარყოფითად – 1-მა; ბათილი იყო 8 ბიულეტენი.

ამდენად, უნივერსიტეტის კანცლერის თანამდებობაზე 53 ხმით სენატმა ნუნუ ოვსიანიკოვას კანდიდატურა დაამტკიცა.

შეგახსენებთ, რომ ნუნუ ოვსიანიკოვას კანდიდატურა თსუ-ის აკადემიურმა საბჭომ 30 აგვისტოს ერთხმად (სხდომას აკადემიური საბჭოს 36 წევრიდან 32 ესწრებოდა) შეარჩია და სენატს წარუდგინა.

მაია ტორაძე

ნუნუ ოვსიანიკოვას ბიოგრაფიული მონაცემები

დაამთავრა თსუ-ის ქიმიის ფაკულტეტი ქიმიკოსის სპეციალობით, რის შემდეგაც სწავლობდა თსუ-ის ასპირანტურაში ორგანული ქიმიის განხრით და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია;

სწავლობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში სამართალმცოდნეს სპეციალობით, რომლის დასრულების შემდეგაც დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

ფლობს დოცენტის სამეცნიერო ხარისხს.

1971-1972 წლებში მუშაობდა №8 აფთიაქში სანიტრად;

1981-1996 წლებში იყო თსუ-ის ორგანული ქიმიისა და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრის დოცენტი, უფროსი მასწავლებელი, ლაბორანტი, ასპირანტი, თსუ-ის ახალგაზრდული ორგანიზაციის კომიტეტის მდივნის მოადგილე, ფლობდა სხვადასხვა პარტიულ თანამდებობას;

1996-1998 წლებში მუშაობდა სახელმწიფო კანცელარიის ეროვნებათაშორისი ურთიერთობის განყოფილების უფროსად, ადგილობრივი მმართველობისა და რეგიონალური პოლიტიკის საკოორდინაციო სამსახურის უფროსის მოადგილედ;

1998-2003 წლებში იყო თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს თავმჯდომარე;

2003-2006 წლებში მუშაობა დაიწყო თსუ-ის ორგანული ქიმიისა და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრის დოცენტად;

2005 წელს იყო სოფლის მეურნეობის სამინისტროს კვების პროდუქტების ექსპერტიზისა და მონიტორინგის სამსახურის ლაბორატორიის უფროსი;

2006-2009 წლებში იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი; 2009 წლიდან დღემდე — არის ამავე უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

2006 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიის უფროსია;

1985 წელს აირჩიეს ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრად;

2003 წელს მიენიჭა ნამდვილი სახელმწიფო მრჩევლის საკლასო ჩინი;

არის 75 ნაშრომის, მათ შორის, 4 წიგნის ავტორი.

მთავარი რედაქტორი ნინო კაკულია
მთავარი სპეციალისტი მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი მანანა ჯურხაძე
ფოტოკორესპონდენტი ანა ბოლქვაძე
კომპ. უზრუნველყოფა ზაზა გულაშვილი

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ეთერ ხარაიშვილი, ლადო პაპავა, მანანა შამილიშვილი, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, მორის შალიკაშვილი, ნინო ჩიხლაძე, გიორგი ჯაიანი, არსენ გვენეტაძე, მარიამ ცისკაძე, ნინო ჭალაგანიძე, ირმა რუხაძე

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 13
(თსუ-ის მე-8 კორპუსი)
tsunewspaper@tsu.ge
2 22 36 62